ქრონიკა

საქართველოს მწერალთა კავშირის გაზეთი

№8 (256)

1-30 ნოემბერი 2017

ფასი 1 ლარი

გამოდის თვეში ორჯერ

მურმან თავდიშვილი

მას შემდეგ, რაც სამწერლო ასპარეზზე გამოჩნდა, ის გვაოცებს ნიჭიერებით, გამომგონებლობით, ორიგინალობით, სხვათა მიერ შეუნიშნავი ცხოვრებისეული ნიუანსების შემჩნევისა და ოსტატურად გამოსახვის უნარით. თავდაპირველად სამწერლობო ნაკრძალს მორიდებით უვლიდა ირგვლივ. უფრო მეტად მის მისადგომებს ზვერავდა, აკვირდებოდა, სწავლობდა და წარმოსახავდა.

მწერლობაში პირველი ნაბიჯების გადადგმისთანავე „ჭკუის დარიგება“ დაუწყეს და თანაც ,,იწროდ“ მიანიშნეს: კაცმა ალავერდზე უფრო მაღალი ეკლესია არ უნდა ააშენო და თამადაზე ვრცელი სიტყვა არა თქვაო!

,,ამაზედაც გმადლობთ, უფალო!“

ნიჭი ხალთაში ვერ დაიმალება და ეგ ფაქიზად მითითებული დარიგება ამაყმა და გაბედულმა კალმოსანმა ცალ ყურში შეუშვა და მეორედან გაუშვა. მალე კრიტიკაში სცადა ბედი და მისი თაობის სიტყვის ფალავანთა შორის პირველმა გამოსცა მწვავე და აქტუალური სტატიების კრებული იმ დროისათვის მეტად თამამი სახელწოდებით - „კრიტიკა“.

ამან ბევრი გააღიზიანა, მავანნი გააცოფა კიდევაც. და ატყდა ერთი კრიახ-ყაშყაში. ჩვენი წერილის პერსონაჟი გულდრეკია როდი გამოდგა, მყისვე მიხვდა, რომ ფრიად ორიგინალურ კრიტიკოსად ჩამოყალიბებულიყო. ეგ კრიახ-ყაშყაში სწორედ ამას მოასწავებდა და სხვას - არაფერს.

კაცი, რომლის დევიზია, თავი მოიკლას და სხვისი ნათქვამი ირიბადაც არ გაიმეოროს, ოდნავ მოგვიანებით მეცნიერულ კვლევას იწყებს და აქაც ერთობ თავისებურია, გამორჩეულია. მისი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები ერთხმად მიიჩნიეს სიახლედ როგორც შინაარსის, ისე ფორმობრივი დალაგების მიხედვით, წერის მანერით.

მაგრამ დაუდეგარი კაცი, რომელმაც არაერთი სახელმძღვანელო და კულტუროლოგიური ნარკვევი შემოგვთავაზა, მიღწეულს ვერაფრით დასჯერდებოდა. ყოველივე ეს ხომ მას უმაღლესი მიზნის მისაღწევად სჭირდებოდა; ყველაფერი ეს ის სასინჯი ბილიკებია, მთავარი მწვერვალისკენ რომ მიემართებიან. და სათანადო პლაცდარმის შემზადების შემდეგ ჩვენი გმირი უმაღლესი მწვერვალის დალაშქვრას შეუდგა, აქამომდე რომ ასე ელაციცელამაზებოდა თვალმიუწვდომელი მანძილიდან, როგორც ,,შორი ალპების წყაროზე წმინდა, სამხრეთის მზეზე უდიადესი“.

და იგი ჯიუტი გაბედულებით მიადგა მხატვრული შემოქმედების იმ ურთულეს უბანს, რომელსაც ნოველისტიკა ჰქვია.

ბარემ აქვე ვიტყვი, რაც გულში მიტრიალებს და არასოდეს არავისთვის გამიმხელია. აი, ეს „მკრეხელური“ აზრიც: მოთხრობის, რომანის, მინიატურის, მით უფრო ლექსის დაწერა იოლი საქმეა. ესენი ფორმობრივად ერთგვარად შეუკვრელი და ამორფული ტექსტებია. და, რაკი მარტივი და პრიმიტიული ხერხემალი აქვთ, სალიტერატურო ბაზარზედაც დაბალი ფასი ედება. სულ სხვაა ნოველა. ის ჟანრთა ჟანრია; სამეფო ტერმინოლოგიას თუ მივმართავთ, მეფეთ მეფეა, შაჰინშაჰია, ადამიანის შემოქმედებითი მოღვაწეობის ურთულესი და უმაღლესი ფორმაა. ამიტომაც ყველაზე ძვირად ღირებული მწვერვალია.

მაგრამ ნოველაცაა და ნოველაც!

როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენმა მესიტყვემ აქაც თავისი კორექტივები შეიტანა, სულმა მოსთხოვა და გულმა უგუნებოდ.

ჩამებუდთა მსატვრული ამაღლება

მანა, რომ არა მარტო შინაარსობრივი სიახლე მოეწოდებინა, არამედ ჟანრობრივადაც წინ წაეწია ეს დარგი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნოველას აუცილებლად სჭირდება სამი კომპონენტი: პერსონაჟთა სიმცირე, ერთი ეპიზოდის გერგილიანად მოთხრობა და უმთავრესი და უძნელესი - მოულოდნელი ფინალი, რაც გადამწყვეტი ,,შპინუნგია“ და მკითხველის გაოგნებას იწვევს.

ჩვენი ავტორი ამ ხერხებს იოლად და ზედმიწევნით დაეუფლა, მკაცრად დაიცვა ისინი და ზედიზედ შექმნა ჟანრის შედევრები, ოღონდ მათში შეიტანა ბევრი ინდივიდუალური რამ: ეროვნულ ძირებზე აღმოცენებული იუმორი, ქუთაისურ-იმერული აქცენტი, რაც ენობრივ კოლორიტსა ქმნის, ენის კანონებს დამორჩილებული და არა დამონებული თხზული სიტყვები, რომლებიც წარმატებულ ნეოლოგიზმებად აღიქმება, ასევე, მარტივ და რთულ წინადადებათა ის ჰარმონიული შერწყმა, რაც სინტაქსური წელგამართულობის შთაბეჭდილებასა ქმნის.

ყოველივე ეს მანამდელი ქართული ნოველისათვის უცხო ხილი იყო.

შეიძლება უფრო შორსაც გავიხედოთ და მაშინ ჩვენი წერილის პერსონაჟის სხვა სიკეთესაც დავლანდავთ.

საქვეყნოდ აღიარებული ანტონ ჩეხოვის ნოველებს ყველა ის აუცილებელი კომპონენტი ამშვენებს, რაც საამჟანროდ აუცილებელია, ოღონდ რუსი ავტორი ხატავს ადამიანის სულის მარტოოდენ უკანა მხარეს, არა სადარბაზო შესასვლელს, არამედ არეულ სამეურნეო ეზოსა და ალაყაფის შელანძღულ კარებს; ამავე დროს, ენობრივად ერთობ მარტივია, რადგან ნოველის იმ მკაცრ გაგებას მისდევს, რაც სამი კომპონენტის საკმარისობას გულისხმობს (ენობრივად მდიდარი მისი მხოლოდ დიდმოთხრობა ,,სტეპია“); რევაზ მიშველაძე ამ ორ კომპონენტში უფრო წინ მიდის და მართალიცაა: ყოველ შენობას აქვს არა მხოლოდ ,,უკანა ეზო“ (,,ზადნიი დვორ“), არამედ წინა, საპარადო შესასვლელიც. და ზოგჯერ ჩვენს სულს ამ საპარადო შესასვლელის ხილვაც ისევე მოსწყურდება, ,,ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო, ანკარა“. და რევაზ მიშველაძე ამის შესაძლებლობასაც გვაძლევს. და, მეორეც, მისი ყველა შედევრი ენობრივადაც მდიდარი და ნაირფეროვანია, მათ სიტყვიერ-სინტაქსური სიმწირე და პრიმიტივიზმი სათოფეზედაც კი არასოდეს მიახლოვებია.

ყოველივე ამის გამო მწერლის ნოველათა სახელების ჩამოთვლას აზრი ეკარგება და აი, თუ რატომ: რომელი ერთი ვახსენოთ და მეორე მივაფუჩეჩოთ?! ან კიდევ რა სიგრძის ნუსხა გამოგვივიდოდა, ეს რომ მოგვემოქმედებინა?! ამიტომ მკითხველს ნიმუშად ერთ კრებულს დავუსახელებ. ეგ გახლავთ ,,ასი ნოველა“, სადაც გალაკტიონის ასი ლექსივით ყველა შედევრია!

ამასობაში დიდებაც თავისით მოვიდა - საქართველოსა და უცხოეთის არაერთი ჯილდო და, ბოლოს, უმთავრესი: რუსთაველის პრემია.

ერთი სიტყვით, შემოქმედის სათვალმზერა ბროლის კოშკი ისე აღმაღლდა, რომ მისი სამზერი აივნიდან ძირს ,,თვალნი ძლივს გარდმოსწვდებიან“.

უკანასკნელ ხანებში პროზაიკოსმა ზედიზედ გამოაქვეყნა სამი რომანი. სამივეს ახასიათებს ის ნიშანი, რითაც საზოგადოდ ტვიფარდადებულია ამ მწერლის მთელი შემოქმედება. ესაა პირველობა მიგნებისა, სიახლის აღმოჩენისა. ვინც ეს რომანები ყურადღებით წაიკითხა, მიხვდებოდა: მანამდე ქართულმა რომანისტიკამ არ იცოდა ამ მანერის ტექსტები. რა ქმნის სიხარულივით ნათელ სიახლეს? რა და - მოზაიკური სტილი!

ამგვარი რომანის ჩანასახი შეიძლება დავინახოთ კონსტანტინე გამსახურდიას ზოგიერთ ქმნილებაში, ოღონდ ოდენ ჩანასახის სახით. აქ კი ეს სტილისტური მიდგომა პრინციპული ხერხია, თავისებური მეთოდია.

ვრცელი თხზულების აგების ამგვარი ხერხი უკვე 50 წელიწადია, რაც მოწინავე გერმანულმა ლიტერატურამ გამოსცადა. ამის ნიმუშია გიუნტერ გრასისა და სხვათა მოზაიკური რომანები. 30-50 წლით წინსწრება გასაგებია, რამდენადაც დიდად განვითარებული ევროპის ცენტრში მოქცეული ქვეყანა ჩვენს სამშობლოს, ალბათ, ამდენივე ხნით უსწრებს წინ არა მარტო სოციალურ-ეკონომიკური, არამედ კულტურულ-საგანმანათლებლო თვალსაზრისითაც და, ბუნებრივია, ლიტერატურული სიახლეებიც უფრო ადრე იქ ჩაისახოს, გაღვივდეს და განმტკიცდეს; მაგრამ მშვენივრად ვიცი: ამგვარი გერმანული ლიტერატურა სულ ახლახან (4-5 წლის წინათ) გადმოთარგმნეს ქართულად და რევაზ მიშველაძეს ის წაკითხული არა ჰქონდა, როდესაც თავად მივიდა ნოვატორულ აზრამდე, დაეწერა სამი სრულმასშტაბიანი მოზაიკური ტიპის რომანი.

სიტყვის აღიარებული ოსტატის მესამე რომანი ,,წამება“ სწორედ იმ დროს დაიბეჭდა, როდესაც მისი მეორე ქმნილება ,,ციყვი ბორბალში“ (2016) ნობელის პრემიის მოსაპოვებლად არის წარდგენილი.

აქვე უნდა ვიგულწრფელო:

500-მდე ნობელის პრემია გახლავთ გაცემული და მხოლოდ ებრაელი ერის წარმომადგენლებს მიერგუნათ 170-ზე მეტი. ჩვენს ხალხს კი ჯერჯერობით ერთისთვისაც კი არ გამოუკრავს ხელი. ეგ პრემია ქვეყნის სახელის გარეთ გასატანადაა საჭირო, თორემ ყველამ კარგად ვიცით, ,,ვინ როგორ ზის შინ“ (აკაკი გაწერელია). არ იქნება დიდი გადაჭარბება, თუ ვიტყვით: ამ საერთაშორისო ჯილდოს ბევრ მფლობელს ჩაისვამენ ჯიბეში გოგლა და გალაკტიონი, მიხ. ჯავახიშვილი და კონსტანტინე გამსახურდია, თუნდაც კონსტანტინე ლორთქიფანიძე და ლეო ქიაჩელი. და ამ ჩვენი ქვეყნისათვის სავალალო საგარეო ფონზე რა გულის მოსაოხებელი და აბობოქრებული სირცხვილის დამაშოშმინებელი იქნებოდა, თუკი ქართველი სახალხო მწერალი (რომელიც, კითხვადობის თვალსაზრისით, მართლაც რომ სახალხოა!) ამ ჯილდოსაც მოივარგებდა და თავის ერს კიდევ ერთხელ გაახარებდა!

ნოვატორი გერმანელი პროზაიკოსი მეოცე საუკუნეს წარმოგვისახავს სხვადასხვა პირთა მონათხრობის მიხედვით. ერთი მემაღაროეა, მეორე - მეომარი, მესამე - პედაგოგი და ა.შ. ისინი გვიყვებიან თავიანთი თვალით დანახულ დროის ამა თუ იმ მონაკვეთზე და საბოლოოდ ჩვენ თვალწინ წამოიმართება საკმაოდ მრუმე, უხეში და არაჰუმანური მეოცე საუკუნე. თხრობის ამავე მოზაიკურ ხერხს იყენებს რევაზ მიშველაძე თავის წინა ორ რომანში, ოღონდ მესამეში, რომელსაც ზედმიწევნით მორგებული სათაური აქვს (,,წამება“), პერსონაჟი ერთია - პროფესორი ლევან კაკაბაძე და იგი სტუდენტებს ცალკეულ თემასა და საკითხზე, ასევე, დროის ამა თუ იმ მონაკვეთზე, ლექციებს უკითხავს. ლექციათა ამ ციკლში იხატება ქართველი ერის ტანჯული ყოფა-ცხოვრება ამ ბოლო 300 წლის განმავლობაში. მით უფრო შავბნელი ხდება ეს სურათი, თუ ერთ შედარებასაც მივმართავთ: ბოლო 500 წლის განმავლობაში რუსეთს არ ნაუგია არც ერთ მნიშვნელოვანი ომი და ექსტენსიურად გამალებით ფართოვდებოდა; ჩვენ თითქმის ყველა საბედისწერო

▶ 2 გვ.

▶ 1 გვ.

ომი დავთმეთ და სასიცოცხლო არეალი ათჯერ შეგვიმცირდა, თუმცა ვერც ინტენსიური განვითარება მოვახერხეთ.

რომანს კომპოზიციურ ჩარჩოდ შემოვლებია პროფესორის ცხოვრების ორი კარედი, როგორც მთვარის განათებული ორი რკალი. პირველია მისი ღრმააზროვანი საუბარი განდეგილ ბერთან და ლექციათა ციკლის ტექსტის მისთვის გადაცემა. ამის შემდეგ ლექციებია წარმოდგენილი და, ბოლოს, რკალი იხურება - ულმობელი სიცხადეა ჩვენ წინაშე: პროფესორი თავს იხრჩობს, თუმცა ამის ნებასაც არა რთავენ და იძულებული ხდება, ბერად აღიკვეცოს, მაშასადამე, მისთვის არადსაღირალი საერო ცხოვრება მაინც მიატოვოს. მისი იდეა ასეთია: ქვეყანას მაინც ვერა ვშველი და საკუთარ სულს მაინც ვარგოო.

მართლაცდა, რა ძნელია ამქვეყნად ყოფნა იმ ადამიანისთვის, ვინც შეიცნო ორი ძირმწარე ჭეშმარიტება: საერო პირის ცხოვრების სწრაფწარმავლობა განდეგილის ყოფასთან შედარებით და საკუთარი დიდმნიშვნელოვანი შრომის (როგორც მას ეგონა) უსაფუძვლობა.

სიცოცხლის მომაბეზრებელი ეგ ორი ვითარება ასეა აღწერილი: 1. პროფესორი მწირს არწმუნებს: ,,ვერ წარმოიდგენ, გეთაყვა, რა ბედნიერი ხარ, მე, ოთხმოცს გადაშორებული, შენ, ახალგაზრდა მორჩილს, რომ მამას გეძახი არა მარტო შენი ეკლესიური ხარისხის გამო, იმიტომაც, რომ ჭეშმარიტად მამად მეკუთვნი. არ დაიჯერებ და შენ ჩემზე უფრო დიდხანს იცხოვრე ამ ქვეყანაზე. შენი ერთი დღეც კი დროსა და ქიჩმაჩის ბორბალზე გამობმული ჩემი სიცოცხლის ნახევარზე მეტია; მე რომ შეუბრალებლად მიმარბენინებს წუთისოფელი, შენთვის დრო შეჩერებულია, მამაო: ალიონზე გაიღვიძებ, ილოცებ, გამოხვალ და ამ ქვაზე დაჯდები, ამ უდაბნოს გასცქერი, ერთნაირსა და მკაცრად საშიშს, მაგრამ არა მოსაწყენს. აუ, რამდენი დრო გაქვს შენს თავთან დასარჩენად, შენს გულთან სალაპარაკოდ. ეს ხომ განუზომელი ბედნიერებაა!“ (6); 2. პროფესორი უნივერსიტეტიდან სრულიად უდანაშაულოდ გააძევეს და როგორ მოექცნენ იქ დარჩენილნი? თავის ღრმა გულისტკივილს იგი განდეგილს ასე უზიარებს: ,,ჩემი სტუდენტებიდან და, სტუდენტს რომ თავი გავანებოთ, ჩემი ასპირანტ- დოქტორანტებიდან და კოლეგა პროფესორებიდან ერთიც არ აღმოჩნდა, რომ გამომქომაგებოდა, ერთსაც არ დაუწუწუნია, ასეთი რა დააშავა ბატონმა ლევანმაო. ახლაც ის დრო ხომ არაა, გამოქომაგებისათვის რომ ციხეში გზავნიდნენ! ჩანს, ჩემი ბრალია, ჩემი სამოცდაათწლოვანი მათთან ყოფნით თავი ვერ შევაყვარე“ (13).

მაშასადამე, რომანს ხსნის და ხურავს პირადი ტრაგედიის ფურცლები, ოღონდ ქმნილების პერსონაჟის ტრაგედიის მთავარი მიზეზი ეგ როდია, მთავარი სწორედ ის ვარამია, რომელიც მისი ლექციების ციკლიდან მოჟონავს და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სულს უწეწავდა და გულს უფლეთდა.

პირველი ლექცია ასურათხატებს მე-17 საუკუნის დამდეგსა და ლევან მეორე დადიანის მცდელობას, როგორმე უშველოს თავის ქრისტიანულ სამთავროს, დაუკავშირდეს მძლავრ რუსთ-ხელმწიფეს, მაგრამ მიზანს ვერ აღწევს; მეორე აღწერს ბაზალეთის ომის ტრაგედიამდე ძმათა შორის არშემდგარი ომის ამბავს და აქ იხატება სახელოვანი სიმონ მეფე; მესამე მონათხრობი ტოტლებენის იმერეთში გადასვლასა და სოლომონ პირველის ამბებს გვაცნობს. ავტორი მისთვის დამახასიათებელი გამომგონებლობით და ჯავარიანი სიტყვის მომარჯვებით ზოგჯერ ერთ პატარა აბზაცში ათავსებს და ატევს მთელი ამბის დედააზრს: ,,ტოტლებენმა კივერის შიგნით მათრახის ტარით კეფა მოიფხანა და სოლომონ პირველს ხელი ისე გაუწოდა, როგორც სოფლიდან ჩამოსულ ღარიბ ნათესავს ჩამოართმევდა გაქსუებული რუს-გერმანელი ჩინოვნიკი“ (42).

და აქაც ნოველისებური მოულოდნელი დასასრული: მეფე ბრძანებას გასცემს, თვით ქართველებმავე დაანგრიონ უქიმერიონის ციხესიმაგრე. საგულისხმოა საამრიგო საბუთი: ,,იკითხავთ, რატომ ვანგრევთო და მართალიც იქნებით. ამ ციხეებმა დაგვღუპა ჩვენ. ჯერ ერთი, ჩვენ რომ შვიყუჟებოდით ციხეში და მტერი ალყას შემოგვარტყამდა, რა გამაგრებულიც უნდა ვყოფილიყავით, ბოლოს მაინც სამარცხვინოდ დანებება გვიწევდა; თუ მტერი მოვიდოდა, დაიკავებდა ჩვენს მთავარ ციხეებს და იყო შიგნით მშვენივრად დაცული. როგორ ფიქრობთ, უქიმერიონში რომ ასი წელი ისხდნენ თურქები, რისი ბრალია? თვითონ მშვენიერი და ძნელად ასაღები უქიმერიონისა. დამთავრდა ასწლიანი პარპაში უქიმერიონზე თურქების. ახლა რუსები შევლენ შიგ და იქნებიან ერთი ასი წელი მაინც, თუ მეტი არა! ჰოდა, ისე უნდა გავიხადოთ საქმე, რომ შემოსეულ მტერს გამზადებული თავშესაფარი მაინც არ დავახვედროთ!“ (50); მომდევნო საუბარი ერეკლე მეორის მიერ აღებულ პრორუსულ პოლიტიკურ კურსს ეხება და იმას, თუ ვითარ დაისაჯა ამ კურსის წინგამხედვარი პაატა ბატონიშვილი. იგი რუსეთში იყო აღზრდილი და ხელმწიფე იმედოვნებდა, აღებულ კურსს მოუწონებდა. პირიქით კი მოხდა; შემდგომი მხატვრული მასალა ეხება ნიკოლოზ პირველის სტუმრობას საქართველოში. ეგ სწორედ ის იმპერატორია, სუფრაზე მის მომსახურე ნიკოლოზ ბარათაშვილს რომ უთხრა, შენ ჩემი ორდინარეცი ხარო! ქართველთა მისდამი შეურიგებლობაზე მოგვითხრობს ეგ ტექსტი და აქ ოთხიოდე საყურადღებო ამბავია წარმოდგენილი: ჯერ იმპერატორის კარეტა განგებ უღრან ტყეში მიატოვეს, მერმედ ტლაპოში საგანგებოდ ჩააგდეს, შემდგომ ეკლესიაში შესულ ხელმწიფეს არავინ მიჰგებებია ლოცვითა და დითირამბებით, მეოთხედ ისე ,,მოუხერხეს“ საქმე, რომ ვერეს ხიდთან ცხენები დაფეთდნენ და ხიფათს ძლივს გადაურჩა (61-70).

ასე მთავრდება პირველი ნაწილი.

საინტერესოა მეორე მონაკვეთის სიმბოლური სათაური ,,ბეღურა გემის ანძაზე“. ბეღურად საქართველო იგულისხმება, გემად - ცხოვრების ბობოქარ ტალღებზე მოქანავე ყოფიერება. აქ მოთხრობილია საქართველო-სომხეთის ომზე, წითელი არმიის შემოსვლაზე თბილისში, 1924 წლის აჯანყების პერიპეტიებზე, 1930-იანი წლების კომუნისტურ რეპრესიებსა და მაშინდელ მწერალთა კავშირში მიმდინარე პროცესებზე, ზვიადისტებსა და 1990-იანი წლების გულშემზარავ მოვლენებზე.

მწერალი ყველგან ხედავს მნიშვნელოვანს, ხელჩასაჭიდებს და ამგვარ ფაქტებს მხატვრული განზოგადების საგნად აქცევს, საერთოდ, უფრო ღირებულისა და საგანგებოს შემჩნევა ჩვენი ავტორის კიდევ ერთი ფასდაუდებელი უნარია. ამ ციკლიდან თავისი მხატვრულობით, საავტორო ფანტაზიის გაშლით პირდაპირ გამაოგნებელია ამბავი პირველ პრეზიდენტთან დაახლოებული კაცისა. აქ უნებლიეთ გვაგონდება იმპერატორთან დაახლოებული კისა ვოროზიანინოვისა და რევოლუციის წინააღმდეგ დარაზმული ელიტის ურთიერთობა სახელგანთქმული ,,თორმეტი სკამიდან“. მართალია, თანამედროვე ქართველები დიდი ბრძოლისა და შრომისუნარიანობით არ გამოირჩევიან, ოღონდ გარდაცვლილ გმირ პრეზიდენტს დიდ პატივს მიაგებენ (ვიდრე მიაგებდნენ მაშინ, სანამ ცოცხალი იყო) და მზად არიან, მისი დამხმარე პიროვნება ხელისგულებზე ციმციმ ატარონ. საიდუმლო სტუმარს ჯერ ერთი ოჯახი მალავს და ინახავს, შემდეგ - მთელი სოფელი და, ბოლოს, უშიშროების ის აგენტიც ჩაერთო ამ პატრიოტობანას თამაშში, ვისაც ამგვარ მიმალულთა და შეხიზნულთა გამოვლენა-შეპყრობა ევალებოდა. აი, რა იუმორისტული ჩანჩქერის გამოყენებითაა ყოველივე ეს გადმოცემული: ,,რა იყო, რავა ამოგვიღე გულიდან, ბახვაო, - ჭიჭიამ, - შე კაი კაცო, შენი სტუმარი მარტო შენი სტუმარი კი არაა, მთელი ჩვენი ქუჩისა და, თუ გინდა, მთელი საიხვის საპატრონოა მაგიო; გიცადეთ ამდენი ხანი, გვეგონა, შენ თვითონ გაგვიმხელდი, გაგვენდობოდი და გვთხოვდი პრეზიდენტის თანამებრძოლის შენახვაში შემწეობასაო; ა, გამომართვი ეს კალათა, თუ მაინცდამაინც გინდა, ბატონ კარლოს ნუ ეტყვი, ვინ მეიტანა. ასე ჩემსავით ამოგიდგება, ჩემო ბახვა, ხვალ და ზეგ მთელი მეზობლობა შენს კაცურ საქმეშიო. მთავარია, არ შევრცხვეთ სტუმრის წინაშე, ამ უბედურ დროს არ შეგვეტყოს, ხელმოკლედ რომ ვართ დიდიანპატარიანად სუყველაო“ (132).

მალე მთელმა სოფელმა იცოდა, რომ ბახვა ჩამოგდებული პრეზიდენტის თანამებრძოლსა მალავდა და ინახავდა. ისინი ამ საოცარი და ჭეშმარიტი პატრიოტის სანახავად დაიძრნენ: ,,ყველას სურდა, თვალი შეევლო, ხელი ჩამოერთმია, თუნდაც ორიოდე საიმედო სიტყვა მოესმინა ლეგენდარული მებრძოლისაგან“ (133).

მოხდა სრულიად წარმოუდგენელი რაღაც:

,,ერთხელ საიხვის უშიშროების აგენტიც მოვიდა (თვითონვე გააცნო თავი კარლოს - ესა და ეს კაცი ვარო, თორემ ვინ აძალებდა), პოლიტიკურ ხიზანს ახალი გაზეთები, თბილი წინდები და ტყავის ხელთათმანები მოუტანა“ (134).

მწერლის ფანტაზია არც აქ წყდება, თუმცა რეალიზმის ლიანდაგებს არ ტოვებს. მას ეგ ლიანდაგები, ჩვენდა საოცრად, უფრო და უფრო მაღლა აჰყავს: ,,იმდენად პოპულარული გახდა კარლო საიხვეში, რომ სოცუზრუნველყოფის კანტორა ბახვა ხარაბაძის ოჯახს სტუმრისათვის დამატებით კარაქის ორ ტალონსა და ამერიკული ყვითელი სიმინდის ფქვილს აძლევდა“ (134).

და მთელი ,,ხოხმა“ და მარილი ამ ეპიზოდისა ის არის, რომ კარლო არა დევნილი პოლიტიკური მოღვაწე, არამედ ჩვეულებრივი თაღლითი აღმოჩნდა: ,,გაზეთმა ,,ახალმა თაობამ“ მეშვიდე გვერდზე წვრილი შრიფტით აწყობილი ინფორმაცია გამოაქვეყნა: ,,სამართალდამცველმა ორგანოებმა დააპატიმრეს გერმანე შეროზია და ნური ფიფია. ისინი თავს საქართველოს პირველი პრეზიდენტის მეგობრებად აცხადებდნენ, გულუბრყვილო მოქალაქეებს არწმუნებდნენ, რომ სამართალდამცავი ორგანოების მიერ იძებნებოდნენ და, თვეების განმავლობაში ცხოვრობდნენ რა ცალ-ცალკე ოჯახებში კონსპირატორი სტუმრის სტატუსით, ეს მუქთახორები ტვირთად აწვებოდნენ ისედაც შეჭირვებულ მოქალაქეებს“ (35).

რომანში ორგანულად ჩაწნული ეგ გენიალური ნოველა საერთო მოზაიკის იმ ხასხასა ფერს განასახიერებს, რომელიც მთელი ამ მონაკვეთის განათებას ემსახურება.

ვრცელი ეპიკური თხზულების ეს სამოზაიკო ჩანართი შედარებით ფართოდ იმად მოვიყვანე, რათა ერთგვარად მაინც განიცადოს მკითხველმა ის მწერლური ძალა და ფხიანი კალმის გერგილიანობა, წიგნის კითხვისას გამუდმებით რომა ვგრძნობთ.

მეორე ნაწილში XX საუკუნის საქართველოს თავს გადანახადი მთელი ვაივაგლახია ნაჩვენები. ეს მხატვრულად განსახებული ისტორია მოყვანილია 2012 წლამდე, თვით ,,მცოცავი ანექსიის“ გულისმომწყვლელ ფაქტებამდე.

მოცულობით ყველაზე მცირეა ,,შიში“, მესამე თავი. ეს არის მამულზე ილიასდარად გამუდმებით მოფიქრალი შემოქმედის სადარდებლის გამომჟღავნება. მწერალი ეყრდნობა ლოგიკას და წარმოისახავს ქვეყნის მომავალს. ამ ციკლის ლექციების შესავალში კი ლოცულობს, ღმერთო, ისე ქმენ, ეს ჩემი ნაბოდვარი მართლა არ ახდესო! ოღონდ მკითხველი ავისმომასწავებელსა გრძნობს: ამ ნაბოდვარში ფხიზელი გონება ურევია, ის საშინელი მეფისტოფელი, რომელიც მთელი ცხოვრება გონებას უწამლავს და უშხამავს კეთილგონიერ მამულიშვილებს.

მოზაიკის ერთი ნახევარი ასეთია:

საპრასიის რესპუბლიკაში, ადგილობრივი ქალდების გარდა, ყველას პატრონი ჰყავს, სამუშაო აქვს, ჰუმანიტარული დახმარება ეძლევა (397-399).

მეორე ნახევარი სურათს ამთლიანებს:

დგას 2096 წელი.

ქართველი ემიგრანტი ვაცლავ კვატაშიძე ჰოლანდიიდან შინ დაბრუნდა. რობოტმა ათ წუთში მისცა ქართული პასპორტი, ოღონდ სამოსახლე მიწა ველარ გამოუძებნა. მას უკვე სხვები დაჰპატრონებოდნენ. მისი პაპის მამას ბუთხუზ კვატაშიძეს ჰოლანდიაში ლტოლვილად გაქცევისას მუხათწყაროში არსებული საგვარეულო ნაკვეთი ალი უსუფ ოღლისათვის, ხოლო თბილისში არსებული ოროთახნახევრიანი ულოჯო ბინა, თეიმურაზ ჩალაბაშვილის ქუჩის მეორე ჩიხში რომ ჰქონდა, მოქალაქე სარვაროვისათვის მიუყიდია. აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ თავისუფალი მიწა აღარ აღმოჩნდა. ერთადერთი, რაც ნამდვილად მისი დარჩენილიყო, გახლდათ მამაპაპისეული საფლავი. ეგ ეპიზოდი მრავლისმთქმელად, არცთუ მწუხარე იუმორით, სრულდება: ,,2096 წლის 14 აპრილს, შუაღამისას, ქუთაისში, ოღასკურას სასაფლაოზე, თავისი პაპის პაპის გიგლაია კვატაშიძის საფლავის ლოდზე იჯდა ქართველ ემიგრანტთა შთამომავალი ვაცლავ კვატაშიძე და ცხარე ცრემლებით ტიროდა“ (404).

მთლიან მოზაიკას თავზე გვირგვინივით ადგას მაჰიდოს ტომის ამბავი:

ეთნოგრაფი წაქა ლომოური აპაჩების სოფელშია. დიდი გულისყურით უკვირდება მათ ქცევებს, ჩვევებს, მოძრაობებს, სიმღერებს, ცეკვას, ოღონდ ის აოცებს, რომ სოფელში ჩვილის ჩხავილი არსაიდან ისმის. აგერ აპაჩ ტატუმახერს რიგი დასდგომია და ისიც გულმოდგინედ ირჯება - ფულს აკეთებს. სოფლელებმა საინტერესო დოღიც გამართეს, ყაბახობა მოაწყვეს და ოქროს თასიც სულ ბზრიალ-ტრიალით ჩამოაგდეს. აი, ხელმარჯვე ხალხი, აი, საინტერესო და მჩქეფარე ცხოვრებით მცხოვრები პატარა ტომი, - სიამოვნებით ფიქრობდა ქართველი და თავისი მცირერიცხოვანი ხალხის მომავალი ეიმედებოდა. მას, ისევე როგორც სხვა ტურისტებს, ამ სოფელში მოსახვედრად გარკვეული თანხა გადაეხადა.

რა იცოდა ერთნოგრაფმა, რომ გამაოგნებელი მოულოდნელობა აფთარივით ჩასაფრებოდა: როცა ტურისტების ორსართულიანი ავტობუსი წავიდა, აპაჩები კარვებში შეიმალნენ, მალე ტანსაცმელგამოცვლილები, ანუ ,,ჩაჯინსჩაჰალსტუკებულები“, გამოვიდნენ, ფერად ჯიპებში ჩასხდნენ და ქალაქში წავიდნენ. ,,წაქა ახლაღა მიხვდა ყველაფერს... თეატრალური მაჰიდო ხვალ დილამდე რჩებოდა ცარიელი ცისა და დარაჯი პოლიციელების ანაბარა“ (419).

- ჩვენც ხომ არ მოგველის ეს დღე?! - აი, ის გულის შემაძოძგინებელი მგლოვიარე შეკითხვა, რომელიც მწვავე მათრახივით გადმოგვიშხუილა ბეჭებზე მწერალმა.

საინტერესო ენობრივი მოსაქცევები, ახალი კომპოზიტები, მხატვრული ფიგურები თუ შედარებები ყოველ მოზაიკურ მონაკვეთში უხვად არის მიმობნეული. გულმოდგინე კაცს მათი არათუ დასაბეჭდავად მოხმობა, დათვლაც კი გაუჭირდებოდა. არადა, ისინი ცალკეული მხატვრული ფორპოსტებია, რომლებიც რომანის ემოციურ ძალას მაღლა და მაღლა მიაქანებენ. ჩემს წიგნში ისინი წითელი ჯვრებით ისეა მონიშნული, თითქოსდა ღვთაებრივ მტრედებს თავიანთი ნაფეხურები დაეტოვებინოთ.

ჯანსულ ჩარკვიანი

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ უმძიმესი, აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერალი, საქართველოს სახალხო პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის საპატიო თავმჯდომარე ჯანსულ ავდიდის ძე ჩარკვიანი.

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა XX საუკუნის დიდ სამოციანელთა გუნდის ერთ-ერთი უპირობო ლიდერი, გუნდისა, რომელმაც ახალი ფერებით, ახალი წახნაგებით გაამდიდრა ათასექვსასწლოვანი ქართული სიტყვაკაზმული ლიტერატურა, განვითარებისა და წინსვლის ახალი გზები და ორიენტირები დაუსახა და ათწლეულების განმავლობაში მედროშედ, მებაირახტრედ მოევლინა თანამოკალმეებს... ჯანსულ ჩარკვიანი თავისი არცთუ ისე ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში მუდამ ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე იდგა და ხმალამოღებული იცავდა იმ ტრადიციებს, რომლებმაც აქამომდე მოიყვანა მისი საესავი სამშობლო...

ჯანსულ ავდიდის ძე ჩარკვიანი დაიბადა 1931 წლის 30 სექტემბერს ცაგერის რაიონის სოფელ სურმუშში.

1951 წელს, თბილისის ვაჟთა მეორე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, მისაღები გამოცდები ჩააბარა და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე, რომელიც 1956 წელს დაასრულა.

მას შემდეგ ჯანსულ ჩარკვიანი, ეს ჭეშმარიტი ერისკაცი და სრულიად საქართველოს მეციხოვნე, დიდ და ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა; სხვადასხვა დროს მუშაობდა ჟურნალ `ცისკრის~ კორექტორად, ლიტმუშაკად, პასუხისმგებელ მდივნად, თორმეტი წელი კი `ცისკრის~ მთავარი რედაქტორი იყო. ამავე დროს მუშაობდა ჟურნალების `დილისა~ და `დროშის~ მთავარ რედაქტორად, გამომცემლობა `საქართველოს~ დირექტორად, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველ მდივნად. როგორ შეიძლება, სიამაყის გრძნობით არ აღინიშნოს, რომ მისი რედაქტორობის ჟამს ჟურნალი `ცისკარი~ ქართული სულიერების ოაზისად იქცა. ბოლო წლებში ჯანსულ ჩარკვიანი მისსავე დაარსებულ გაზეთ `ქართულ სიტყვას~ ხელმღვანელობდა და იქაც ქართულ სიტყვას, ქართულ სულიერებას ემსახურებოდა.

ჯანსულ ჩარკვიანი არჩეული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, საქართველოს პარლამენტის სამი მოწვევის დეპუტატად, გამსახკომის კოლეგიის წევრად, ჟურნალების `მნათობისა~ და `ნიანგის~ რედკოლეგიების წევრად, მსოფლიოს პენ-კლუბის ქართული პენ-ცენტრის დამფუძნებლად და პირველ პრეზიდენტად, საზოგადოება `თბილისელის პრეზიდენტად... ყველგან, სადაც კი იღვაწა ჯანსულ ჩარკვიანმა, ყველგან თავისი კვალი დაამჩნია, როგორც ჭეშმარიტმა პროფესიონალმა, ჭეშმარიტად კაცთმოყვარე პიროვნებამ და მოქალაქემ...

ჯანსულ ჩარკვიანის სამწერლო დებიუტი 1951 წელს შედგა, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სალიტერატურო ალმანახ `პირველ სხივში~ პირველი ლექსები გამოაქვეყნა. ამ ლექსებმა ყველას დაანახა, რომ მაშინდელ ქართულ პოეზიას მოევლინა დიდად ნიჭიერი შემოქმედი, რომელმაც საქართველოს უერთგულეს, უებრო სამსახურს მთელი სიცოცხლე უძღვნა ზვარაკად.

და რა გასაკვირია, თუ ჯანსულ ჩარკვიანის ვაჟკაცური, ომახიანი და, ამავე დროს, უნაზესი ლირიზმით გამსჭვალული პოეზია შეიყვარა ქართველმა მკითხველმა, შეიყვარა სინათლისა და სისადავისთვის, ლირიკული ელვარებისთვის, ფერადოვნებისთვის, მუსიკალობისთვის, ფერადოვნებისთვის...

ჯანსულ ჩარკვიანი დიახაც რომ პოეტი – ტრიბუნი იყო და თავისი ხაფი ხმით მუდმივად აფხიზლებდა თანამოძმეთ, მოდუნების საშუალებას არ აძლევდა და ქართველობას თავისი არსებობით შეახსენებდა, რომ ნებისმიერი ტირანიის, დიქტატურის თუ ავტოკრატიის პირობებშიც კი თავისუფლებისაკენ, თავისთავადობისაკენ, ქედუხრელობისაკენ დაუოკებელი სწრაფვა ქართველი კაცის ხასიათის, ზნეობის ლიბოს წარმომადგენდა და წარმოადგენს დღესაც.

მისი პოეზია მუსიკალობით გამოირჩეოდა და ამიტომაც მის ლექსებზე არაერთი დიდებული სიმღერა შეიქმნა. მათ უმრავლესობას ბატონი ჯანსულის დიდადნიჭიერი ვაჟიშვილი მამუკა ქმნიდა და თავად ასრულებდა ისე შთამბეჭდავად, რომ ის ღვთაებრივი ჰანგები მტლედ და სალბუნად ედებოდა ჩვენს სულსა და გულს.

ჯანსულ ჩარკვიანის პოეზიას ორგანულად ერწყმოდა მისივე მებრძოლი პუბლიცისტიკა, პროზაული ნაწარმოებები, ჯანსულისეული ვაჟკაცობისა და შემართების დასტური.

ჯანსულ ჩარკვიანის შემოქმედებას დიდი ინტერესით ეცნობოდნენ ინგლისელი და გერმანელი, ფრანგი და იტალიელი, პოლონელი და რუსი, ჩეხი და სერბი, ხორვატი და ბულგარელი, უკრაინელი და სომეხი, იაპონელი და აზერბაიჯანელი, ესპანელი და უნგრელი მკითხველები...

მშობელი ქვეყნის დიდი პატრიოტი იყო, მაგრამ ჯანსულ ჩარკვიანის პატრიოტიზმი არასოდეს გადაზრდილა შოვინიზმში, სხვა ერთა სიძულვილში. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, თუ რა დიდი სიყვარულით თარგმნა ტარას შევჩენკოსა და ლესია უკრაინკას, ივან დრაჩისა და ვიტალი კოროტიჩის, ალექსანდრ პუშკინისა და ბორის პასტერნაკის, ბელა ახმადულინასა და ევგენი ევტუშენკოს, ჰაინრიჰ ჰაინესა და ეუჯენიო მონტალეს, ბულატ ოკუჯავასა და სილვა კაპუტიკიანის, ოვანეს თუმანიანისა და ნარიმან ჰასან-ზადეს ლექსები...

ჭეშმარიტად სახალხო პოეტი იყო. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიები, სრულიად სომეხთა პრემია, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადეიის საპატიო დოქტორის წოდება. ქართული პოეზიის რაინდი გახლდათ და ღირსეულად ატარებდა ვახტანგ გორგასალის პირველი ხარისხისა და ღირსების ორდენებს. არჩეული იყო თბილისის, მცხეთის, სოხუმის და ბორჯომის საპატიო მოქალაქედ.

ჯანსულ ჩარკვიანი უყვარდათ მის კოლეგებს, მის მკითხველებს, მის მშობელ ერს, უყვარდათ იმიტომ, რომ მტკიცე და შეუვალი იყო მისი რწმენის კედელი, რომლის დუღაბიც საქართველოს უპირველეს შვილთა სისხლით იყო განსპეტაკებული. ამ რწმენის კედელს ბატონი ჯანსულიც მთელი ცხოვრების განმავლობაში აგებდა და ახალი ქონგურებით ამაგრებდა...

წავიდა ჩვენგან ეს დიდებული პოეტი, პიროვნება, ერისკაცი და თან ჩვენი _ მისი თანამოკალმეებისა და თაყვანისმცემლების, ქართველი ხალხის დაუმადლებელი ცრემლი გაიყოლია, ის პატიოსანი ცრემლი, ხშირად კათარსისის მაუწყებელი რომ არის ხოლმე...

საქართველოს მწერალთა კავშირი

საქართველოს მწერალთა კავშირს, პოეტ ჯანსულ ჩარკვიანის ოჯახს

მწერალთა კავშირების საერთაშორისო საზოგადოება ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გამოჩენილი ქართველი პოეტის, საქართველოს მწერალთა კავშირის საპატიო თავმჯდომარის, საქართველოს სახალხო პოეტის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის ჯანსულ ჩარკვიანის გარდაცვალების გამო. მას რუსეთში ძალიან ბევრი მეგობარი და მკითხველი ჰყავდა, ისინი თქვენთან ერთად ღრმა მწუხარებას გამოხატავენ. მიიღეთ ჩვენი გულწრფელი თანაგრძნობა.

ჩვენ გულებში მუდამ იცოცხლებს ჯანსულ ჩარკვიანი!

მწუხარებით,
მწერალთა კავშირების საერთაშორისო
საზოგადოების თავმჯდომარე – *ივანე პერეველზინი*

შენი ადგილი მთაწმინდაზე

ორი თვე მინის სარკოფაგში მწოლი, აპარატზე მიერთებული სიკვდილს ებრძოდი, ჯანსულ.

ორი თვე ხავსს ვეჭიდებოდით.

ერთმანეთს ვატყუებდით: „დღეს მოიხედა„, „დღეს უკეთესადაა„.

ავმა სენმა რომ ბჭყალები ჩაგასო, შენ უკვე იმ ქვეყანას ეკუთვნოდი, მაგრამ ჩვენ მხოლოდ თავს ვინუგეშებდით.

სარეცელს მიჯაჭვულიც კი დიდი იმედი იყავი.

თითქოს მიტევებას გვიქადაგებდი. თითქს ჩურჩულებდნენ შენი გამშრალი ტუჩები: „ვისაც ვუყვარვარ, მიყვარს და ვისაც ვძულვარ, არ მძულს„.

ახლა აღარა ხარ.

შენი უიღბლო ქვეყნის ჭირისუფალს სიკვდილმა დაღლაც არ დაგაცალა.

ბოლო დღემდე მამულის საგუშაგოზე იდექი.

შენი ადგილი მთაწმინდაზეა.

კიედვ ერთ დიდ შეცდომას ჩაიდენს საქართველო თუ იქ არ მიგიჩენს სამუდამო სასუფეველს, სადაც შენი სულიერი ძმები ნათობენ.

რევაზ მიშველაძე

წავიდა „რწმენის კედლის“ ავტორიც...

საქართველოს აღარა ჰყავს „რწმენის კედლის„ ავტორი.

ჯანსულ ჩარკვიანს დიდად აფასებდნენ და პატივს სცემდნენ მისი კოლეგები და მკითხველები საქართველოს ფარგლებს გარეთაც: რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში, ისრაელში, სომხეთში...

მე ამის თქმის საბაბს მაძლევს ჩემი უკვე მრავალწლიანი მოღვაწეობა საქართველოს ფარგლებს გარეთ. ადვილი არ არის აქ ემსახურო ქართულ სიტყვას, მწერლობას, ლიტერატურას, კულტურას...

ამ საშუარ საქმეში, სხვებთან ერთად, მხარში მედგა ჯანსულ ჩარკვიანი, მისი დიდი სახელი და ავტორიტეტი. სულ მცირე სამსახურსაც არ დაგიკარგავდა. ყოფილა შემთხვევა, ტელეფონით პირადად დაურეკავს, სულ მცირეოდენი სამსახურისთვის მადლობაც გადაუხდია... ეს განსაკუთრებით, მაშინ, როცა მოსკოვში გალაკტიონის ლექსების თარგმანების არაერთი პუბლიკაცია განვახორციელეთ, სხვადასხვა ავტორიტეტული ჟურნალ–გაზეთებში.

ადამიანი რწმენას გადარუჩენია ყოველთვის და გადაარჩენს მომავალშიც. ამაში მას ჯანსულ ჩარკვიანის „რწმენის კედელიც„ დაეხმარება...

მტრის თვალებიდან მოწვეთავს წყევლა,
მაგრამ შენ დგახარ მაინც საჩვენოს,
ვერ შემირყიოს ვერავინ რწმენა
და შენი ძილი ვერ დამაჯეროს...

ასე მიმართავდა ჯანსულ ჩარკვიანი საქართველოს თავის ამ გახმაურებულ პოემაში, ჯერ კიდევ, თითქმის ორმოცდაათი წლის უკან...

ამ სტრიქონებს ცხოველმყოფელობა დღესაც არ დაუკარგავთ...

მშვიდობით, ბატონო ჯანსულ!

დალოცვილი დატოვე თქვენი დიდი ოჯახი და სრულიად საქართველო! თქვენ ღოცვას ღმერთი შეისმენს!...

ბეჭან ნამიჭეიშვილი,
მწერალი და დიპლომატი
მოსკოვი

სიბერეგამწარებული

ბატონო ჯანსულ როგორი სიბერეგამწარებული წახვედით ამ სამზეოდან. რას ვიზამთ, ასეთი ყოფილა წუთისოფელი, რაც ადამიანთა განსასჯელი არ არის. მე ვერ განვსჯი, ერთს კი დავსძენდი: – ღმერთმა განსაჯოს!

მერე და, რა დამაიმედებელი სიტყვა იცოდით, რა თაკარა, რა მადლიანი. გვერდში დგომა კი თქვენი ცხოვრების წესი იყო. ახლა ცხელ გულზე სხვას ვერაფერს გეტყვით. იძინეთ მშვიდად ქვეყნისთვის ქედდახრილო, პირნათელო ქართველო და დიდებულო პოეტო.

თემურ ჩალაბაშვილი

ჯანსულ ჩარკვიანს

სხვა შენებრი არვინაა,
სახე _ კაცურკაცობის,
შენი სიტყვით მოხიბლულა
უცნობიც და ნაცნობიც.
თუმცა ავი კაცუნები
შენი შურით კვდებიან,
სკამზე შედგნენ, ვიცი მხრამდე
მაინც ვერ მოგწვდებიან,
ავი სიტყვით, ავი საქმით
შეგიხსნიან იარებს,
ვისაც შენი წილი პური
უხვად გაუზიარე,
ვინც მადლის წილ მოგიტანა
ეკალი და ცრემლები,
ვინც მიიღო შენი ლექსი
ჩუმი თავდაჯერებით.
კაცმა არა, ღმერთმა იცის
ყველას გულთამხილველმა,
რომ ეგ გული _ ზღვა სიკეთის
არასოდეს ილევა.
ლხინისა და ჭირის სუფრის,
ქართულ ლექსის თამადავ,
გენაცვალე, ნუ იმღერებ,
ავადა ვარ, ავადა.
ვინც შენ ავად შემოგხედოს,
ავად გახდეს თავადა.
გაიხარე შენი ფესვით,
შენი მძლავრი გენებით,
მომღერალი შვილებით და
ამღერებულ ლექსებით...
ლომის ძეო, ლომის ძმაო,
ლომო, ლომად ბერდები,
მხრებში როდი იხრებიან
შევერცხლილი ქედები.
ქედუხრელო, ქედმაღალო,
გული ხომ არ ბერდება,
გული ცაზე მზედ დაჰკიდე,
დილა გულით თენდება.
მაგ მზე გულით გაგითბია
უცნობიც და ნაცნობიც,
გულმოწყალევ, გულმართალო,
სახევ კაცურკაცობის.

მაყვალა გონაშვილი

ჯანსულ ჩარკვიანს

...არ გიძებნია ცხოვრება მშვიდი,
შენ სხვანაირი არ გწამდა ბედი;
თუ რამეს წერდი, თუ რამეს შლიდი
მამულისათვის შლიდი და წერდი...

მხრებზე გეკიდა სიზიფეს ლოდი
და ეკლის გზებზე შემდგარი ოდით,
შენი ბედკრული სამშობლოსათვის
მამაზეციერს გაძლებას სთხოვდი...

იყო გრიგალი და იყო დელგმა,
იყო რწმენა და იყო ღალატიც,
მაინც გმირულად ელავდა ყველგან
შენი ფარ-შუბი და მუზარადი...

და მწვერვალისკენ გეჭირა თვალი,
წინ გასავლელი გელოდნენ გზები;
გადაუხდელი გიხმობდა ვალი,
შესაწამლავი გიხმობდნენ ზვრები...

შორს, მზის სხივებში წვანან ქედები,
ქარს მიაქვს სევდა, როგორც ნაცარი;
ისევ დგას შენი რწმენის კედელი,
ისევ დგას შენი ლექსის ტაძარი!

ბაღათერ არაბული

ბატონ ჯანსულ ჩარკვიანს

პოეზიის პატრიარქო,
ღირსეულო ქართველო!
საქართველოს სადიდებლად
ანთებულო სანთელო.
უკვდავებას დაემგზავრე,
უკვდავებად შობილო,
ქართულ სიტყვის, ქართულ ლექსის
მამამთავრად ცნობილო,
მთაწმინდიდან გაგვიღიმებს
შენი სული ნათელი,
ვიცი, მუდამ იამაყებს
შენით ყველა ქართველი.

ეთერ ზარიძე

მშვიდობით ჯანსულ!

ვისაც შენს დიდკაცობაში
შეუტანია ეჭვი,
შენმა „ლამაზმა სიკვდილმა„
სუყველა დასცა ბეჭით.
გემშვიდობებით დასტაქარ –
მგოსანს, სამშობლოს მწვავე
ტკივილებისთვის მალამოს
ცხებაში ეგზომ ბეჯითს.

ჯემალ ინჯია

ჯანსულ ჩარკვიანი

1974 წლია, ჩემი ლექსების პირველი კრებული გამოვიდა და რას ვხედავ, წინ უძღვის ჯანსულ ჩარკვიანის არაჩვეულებრივად თბილი წინასიტყვაობა.

წიგნის რედაქტორმა გრიგოლ ჯულუხიძემ ამიხსნა: თურმე, გამომცემლობა „მერანში“ გამოსაცემად გამზადებულ ჩემ ლექსებს დასჭირვებია დამატებითი რეცენზია და ისინი ჟურნალ „ცისკარში“ გადაუგზავნიათ.

მაშინ „ცისკრის“ რედაქტორი იყო ჯანსულ ჩარკვიანი, თავისი გუნდით: გივი გეგეჭკორი, მამია მალაზონია, ოტია პაჭკორია, გივი ძნელაძე ტარიელ ჭანტურია...

„ცისკრის“ რედაქციას გამომცემლობისთვის დადებითი რეცენზია გამოუგზავნია, ხოლო რედაქტორს - ჯანსულ ჩარკვიანს, როგორც აღვნიშნეთ, არაჩვეულებრივი თბილი წინასიტყვაობით, ასე ვთქვათ, ბეჭედი დაუსვამს რედაქციის საერთო აზრისთვის.

ჯერ კიდევ მაშინაც ჰქუხდა ჯანსულ ჩარკვიანის სახელი და რამხელა სიხარული იყო ჩემთვის პოეზიაში ასეთი ადამიანის მიერ გზის დალოცვა. თანაც სალმითაც არ ვიცნობდი მას.

გაბრუებული ვიყავი, დღე ერთი იყო და ვინ იცის, რამდენჯერ წავიკითხავდი სტამბისსურნელოვან პაწია ლექსების კრებულს.

წინასიტყვაობამ ლამის ლექსები დამავიწყა. შეფარდება ასეთი იყო:

ლექსებს თუ ერთხელ გადავავლებდი თვალს, წინასიტყვაობას - ათჯერ წავიკითხავდი გულდაგულ.

ბუნებრივია, პირველი წიგნის დაბადება დაილოცებოდა.

მივედი „ცისკრის“ რედაქციაში, რათა დაგვეთქვა დრო და ადგილი. შევთანხმდით, რომ ამა და ამ დღეს, ამა და ამ დროს, შევიკრიბებოდით ჩემთან სახლში.

მოხდა ისე, რომ ჩვენი შეხვედრა გადაიდო.

დავთქვით ისევ დრო.

გავიდა რამდენიმე დღე და მასმედიის საშუალებით გავიგე, რომ 14 მაისს, ანუ იმ დღეს, როცა მეორედ გვქონდა შეთანხმებული დრო, პირველად იმართებოდა დიდი სახალხო დღესასწაული - გარეჯობა.

გულმა რეჩხი მიყო, ჯანსულ ჩარკვიანის გარეშე ასეთი დღესასწაული არ ჩაივლის, მოგვიწევს შეხვედრის კიდევ ერთხელ გადადება-მეთქი და მივადექი ისევ რედაქციას.

ეტყობა, რახან ერთხელ გადაიდო ჩვენი შეხვედრა, ძალაში დარჩა შეთანხმება - ბატონი ჯანსული გარეჯობაზეც წავიდოდა და ჩვენთანაც მოვიდოდა.

დადგა ჩვენი შეხვედრის დღეც, დანიშნულ დროზე, თითქმის ერთად შემომწკრივდნენ სტუმრები სახლში. ბინის მხრივ არც ისე გაშლილად ვცხოვრობდით და იძულებული გავხდით, პირდაპირ გაშლილ სუფრას მივსხდომოდით.

არაცისკრელებიდან ჩემს სიხარულს იზიარებდნენ ჩვენი საერთო მეგობრები: ზაურ ბოლქვაძე, გურამ ფანჯიკიძე და თამაზ წივწივაძე.

ვუსხედვართ სუფრას, ხელს არ ვაკარებთ არაფერს, ველოდებით დავით გარეჯის უდაბნოდან კაცის მოსვლას.

მაშინ მობილური სად იყო, გაგვეგო, მოდის, არ მოდის, ვისაც ველოდები.

გავიდა ასე ხუთ წუთამდე.

-რა ვქნათ, დაველოდოთ ჯანსულს? - იკითხა ერთმა.

-კი, ბატონო, დაველოდოთ, მაგრამ დიდი იმედი არა მაქვს, მაგას ვინ გამოუშვებს იქიდან, თამადად ეყოლებათ გაქაჩული, – ჩაილაპარაკა მეორემ.

-მართალია, ჯანსულს ვინ გამოუშვებს იქიდან. - დაადასტურა მესამემ.

-არა, ჯანსულმა თქვა, მოვალო, ესე იგი, მოვა, - გამოხატა თავისი აზრი მეოთხემ.

ამ მარჩიელობაში ზარიც დაირეკა. გავიტრუნეთ ყველანი და დაველოდეთ კარის გაღებას. აი, გაიღო კარი და შემოდის ბატონი ჯანსულიც.

აღვივსენით სიხარულით. სიხარულთან ერთად, ცოტა არ იყოს, გაკვირვებაც გამოგვეხატა სახეზე. პირადად მე არ მეგონა თუ ბატონი ჯანსული რესპუბლიკის პირველ პირთან და მთელი რესპუბლიკის მასშტაბით რჩეულ პირებთან გაშლილ სუფრაზე დარჩენას ჩემთან პურისაჭმელად გამოქცევას ამჯობინებდა.

-ე, ბიჭებო, გამიშრა ყელი, მაჭამეთ და დამალევინეთო რამე! - შეგვეედრა, ბატონი ჯანსული.

-თამადა შენა ხარ და შენ თვითონ გვაჭამე და დაგვალევინეო რამე - შეაგება ოჯახის უფროსმა - მამამ და ერთხმად მივულოცეთ თამადობა ახლადშემოსულს.

მას მერე ოთხ ათეულ წელზე მეტი გავიდა და თქვენ, ბატონო ჯანსულ, რომელსაც იმდენი სიკეთე გაქვთ გაფრქვეული ირგვლივ, არ ვიცით გახსოვთ თუ არა ყოველივე ეს, თორემ მე აბა რა დამავიწყებს.

მადლობა დიდი ყოველივესთვის. ბატონო ჯანსულ, გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

P.S. ეს მოგონება დაწერილი მქონდა, როცა თავზარდამცემი ამბავი შევიტყვე...

მშვიდობით, ბატონო ჯანსულ!

ნომადი ბართაია

ნაფუძვარზე

მესამე წელია, რაც სოფელ ნიკორწმინდაში დოხნაძეების გვარი 28 აგვისტოს – მარიამობის დღეს, საგვარეულოს შეკრებას აწყობს და ორ დღესასწაულს ერთდროულად აღნიშნავს. საგვარეულომ ეს თავშეყრა, როგორც ტრადიცია ისე დაამკვიდრა და მომავალ თაობასაც უანდერძა გასაგრძელებლად.

ღმერთმანი, კარგი იდეაა. განა ცუდია, ადამიანებმა წელიწადში ერთხელ მაინც ხელი გაუწოდონ ერთმანეთს, ჩაეხუტონ, თბილად მოიკითხონ ერთმანეთი. უმრავლესობა ხომ ფუძიდან დიდი ხნის წასულია, – წინა თაობის შვილები კი ერთმანეთს ნაკლებად იცნობენ, თუმცა ახლა ისინიც ხანშიშესულები არიან, მაგრამ მომავალმა თაობამ ხომ მაინც უნდა იცოდეს საიდან მოდიან, სად არის მათი ფესვები.

ირგვლივ სიყვარულის და სიხარულის საამური სურნელი ტრიალებს, – ეფერება საგვარეულო ერთმანეთს. უხუცესები სინანულით იხსენებენ გარდასულ დღეებს, სიყმაწვილის გაზაფხულებს, მამა-პაპისეულ ფუძეს, წინაპრებს, ადამიანებს ვინც მათ გვერდით აღარ არიან და პატივს მიაგებენ მათ ხსოვნას ტკბილი მოგონებებით.

2012 წლის სექტემბერს უწმინდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქმა ილია მეორემ დოხნაძეთა გვარი შემდეგი სიტყვებით დალოცა: „ღმერთო, დალოცე, გაახარე, გაამრავლე დოხნაძეთა გვარი, მიეცი მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება! ღმერთო, დალოცე ამ გვარის ყველა შთამომავალი და ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანი“. და კურთხეული ანგელოზთა დასის ხატი დოხნაძეთა გვარს საოხად გადასცა.

გასაოცარი ხალხია რაჭველები. სიყვარულით შედუღაბებულ უწყვეტი ჯაჭვის რგოლებს ჰგვანან. ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, ყველა რაჭველი ერთი ბაბუისშვილი გეგონება.

ამჯერად სუფრა „ნაფუძვარზეა“ გაშლილი, – სოფლიდან ცოტა მოშორებით, კალოსუბნის გავლით, სადაც ახლა თვალუწვდენელი ასწლოვანი ხეებია, ძველ ნამოსახლარზე კი დიდი მინდორია და სიმინდის ყანები და სახნავ-სათესი მიწებია განთავსებული. კრიალა ცა, მთის წყაროს ლიკლიკი, ფრინველების საოცარი გალობა, ფერდობზე ბეჭებგაშლილი საუკუნოვანი ხეების ძირში მოწყობილი ფანჩატური, გარემოს უფრო მიმზიდველს ხდის და საოცარი განწყობა გეუფლება: გინდა ყველა და ყველაფერს მოეფერო, მადლობა უთხრა უფალს, სიცოცხლე რომ გაჩუქა, ეს ქვეყანა რომ განახა. ნეტარებისგან წამიერად თვალები დავხუჭე, ეს ყველაფერი უფრო მეტად რომ შემეგრძნო და გამეთავისებინა.

შესასვლელი ხის მესერით იყო გადაღობილი. შევაღეთ და დიდ მინდორზე აღმოვჩნდით, რომელსაც გარშემო ტყე აქვს დარაჯივით შემორტყმული. ნაკვეთებად დაყოფილ მინდორს ზოგან ადამიანის გამრჯე ხელი ეტყობა, ზოგან კი ბალახია გადავლილი. შორიდანვე შევამჩნიეთ მაღალ ხეზე გადმოკიდებული საქართველოს ხუთჯვრიანი დროშა. სიამაყით ავივსე, იდღეგრძელე, ჩემო ქვეყანავ!

ირგვლივ ფაცი-ფუცია, სამფეხზე შემომდგარ ქვაბებს მზარეული დასტრიალებს, გვერდით მაყალს დასტრიალებენ შამფურზე აცმული ხორცით. ცოტაც ჩავივაკეთ და მთელი სანათესაო იქ დაგვხვდა – ცივ წყაროსთან. აფერუმ, რაჭველებო! ბუმბერაზ ხეზე დამაგრებული საგვარეულოს გერბი სუფრას ღირსეულად გადმოჰყურებდა და საზეიმო განწყობას კიდევ უფრო ამაღლებდა.

ფანჩატური გემოვნებით იყო გაკეთებული. ხის მასალისაგან ლამაზად მოპირკეთებული იატაკით და ჭერით, მაგიდა-სკამებით, სადაც დაახლოებით ოცამდე კაცი მოთავსდებოდა. მადლიან ადამიანს განათებაზეც ეზრუნა. ასე შორ მანძილზე სოფლიდან შუქის გადმოყვანა არც ისე იოლი იქნებოდა. მართლა გამაოცა მათმა ერთსულოვნებამ.

ფანჩატურში ხანდაზმულები მოვთავსდით – ასე, სამოც წელს გადაცილებული ადამიანები. მისი მოპირდაპირე მხარე კი ასე 30-40 წლის ადამიანებმა შეავსეს. დოხნაძეების გარდა სუფრაზე სტუმრებიც იმყოფებოდნენ: ზოგს დედა ჰყავდა დოხნაძე, ზოგს ცოლი და ა.შ.

სუფრის გამრიგე – ერეკლე დოხნაძე მეტად განათლებული და სიტყვაკაზმული პიროვნება აღმოჩნდა, ჭეშმარიტი ქართველი, თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი. პირველი სადღეგრძელო, რა თქმა უნდა, უფლის სადიდებელი ითქვა. შემდეგ საქართველო ადღეგრძელეს. სალბუნივით მესმოდა ერეკლეს სიტყვები: „ძნელად მოსაძებნია დედამიწაზე საქართველოსნაირი ქვეყანა. მან გაუძლო ისტორიულ ქარტეხილებს, ჟამთა სიავეს, ფიზიკურ მოსპობას და გადაშენების საფრთხეს, ქართველი ერი გადაარჩინა ძალამ, ქართველი ხალხის თვითმყოფადობამ, სიმტკიცემ და ერთად ყოფნის სურვილმა“. შემდეგ რაჭა და რაჭველები დალოცა:

„არ გაგივლია რაჭაში?
არც ძველი ციხე გინახავთ?
წადი, იხილე და მაშინ
მკითხე წინაპრად ვინა მყავს!“

– ბრძანა თამადამ და ალავერდი სოფლის უხუცეს კოლორიტთან ნიგრადი დოხნაძესთან გადავიდა. შემდეგ კი ის ტრადიციული სადღეგრძელოები გაგრძელდა, რომელიც ყველა ქართველის სისხლშია დავანებული. შინმოუსვლელთა სადღეგრძელო ყველამ ფეხზე ადგომით შესვა. ამას მოჰყვა ძმების ჯუმბერ და ზაურ დოხნაძეების სიმღერა: „შინ მოუსვლელო, სადა ხარ“. სულში ნანასავით იღვრებოდა ჩემი უსაყვარლესი პოეტის, ჩემი თანამემამულის – გოგლა ლეონიძის სიტყვები.

თამადა მეტად დიდსულოვანი ადამიანი აღმოჩნდა. სმას არავის აძალებდა, შეზღუდულიც არავინ იყო. იუმორიც მოზომილად ჰქონდა და სიტყვა-პასუხიც.შესანიშნავ იmპროვიზაციას ახდენდა. ქმნიდა ერთგვარ პოეზიას: დღის, სიტუაციის, თანამესუფრეების განწყობის და საუბრების მიხედვით.

მომდევნო სადღეგრძელოს წარმოთქმამდე სუფრაზე გულწრფელი საუბრები ისმოდა: მოხუცებს გული სტკიოდათ, რომ სოფელი ახალგაზრდებისაგან იცლებოდა. ჭირდა თავის შენახვა. მოხუცების გარდა აღარც მიწაზე მომუშავე დარჩა ვინმე და აღარც საქონლის მომვლელი. პური რომ აღარ ითესებოდა, სათიბები ხე-ბუჩქნარმა გადაფარა, ნაკლებადღა დარჩენილიყო ნახირისათვის საძოვარი ადგილები. ჩვენც აღარ შეგვიძლია, მინა დაუმუშავებელი რჩება, ჩვენს მერე ვინ მოუვლის ჩვენს მიწებსო – წუხდნენ.

მოულოდნელად, ჩვენს ადგილ-სამყოფელს თვითმფრინავმა გადაუფრინა. ერთი თანამეინახე ფეხზე წამოდგა და იხუმრა: „მტერმა ნამდვილად ჩვენი დროშა დაინახა, შტაბი არ ეგონოს და არ დაგbომბოსო“. სუფრა გამხიარულდა, მანამ ვინმე კიდევ რაიმე კვიმატიანს იტყოდა, ჯუმბერ დოხნაძემ დრო იხელთა და თანამოსაუბრესთან შეწყვეტილი დიალოგი გააგრძელა. ის, ისე თავდაჯერებულად და საინტერესოდ საუბრობდა, რომ სმენად ვიქეცი, ნაამბობიდან არაფერი გამომრჩენოდა: აქ, ამ ადგილას პირველად თურმე ერთი დოხნაძის ოჯახი დასახლებულა. მერე გამრავლებულა ის ოჯახაშენებული. გარკვეული დროის შემდეგ, გზიდან სიშორის გამო ცოტა ზევით ამოწეულა და გზასთან ახლოს დასახლებულა, ზუსტად იმ ადგილზე, სადაც ახლა ჩვენ ვსახლობთ. ჩვენი მოდგმა აქედან მოდის და ამიტომაც ვუწოდებთ „ნაფუძვრებს“. მერე კი ეს მინა, ჩვენს წინაპრებს ნაკვეთებად გაუნაწილებიათ. და დღემდე ასეა, ყველა ოჯახს თავისი საყანე და საპარკე (სადაც ლობიოს სთესენ) ადგილი აქვს. აქ, ჩვენი მამა-პაპის ნაფუძვარია, ჩვენი ადგილის დედაა, აქედან წამოსულა ჩვენი გვარი და მისი მოვლა-პატრონობა ჩვენი ვალია. მე უკვე 85 წლის ვარ. გადმოცემით ასე ვიცი ჩემი წინაპრისაგან, მან კიდევ თავის წინაპრისაგან და ასე ეცოდინება შემდგომში ჩვენს მომავალ თაობასაც.

პატარა შესვენების შემდეგ ძმებმა ჯუმბერ და ზაურ დოხნაძეებმა მრავალჟამიერი შემოსძახეს. მათ ამირან დოხნაძესთან ერთად სუფრის წევრებიც შეუერთდნენ და „გუგუნებდა ნაფუძვარი“.

კიდევ ერთხელ დაკვირვებით გადავავლე თვალი გარემოს. მინდორზე ბადით შემოკავებული ახლად დარგული ნორჩი ცაცხვის ნერგები შევნიშნე. – ეს ჩემი დარგულია, მითხრა ზაურ დოხნაძემ და პატარა ნერგთან მიმიყვანა. დავრგე, გავახარე, იშრიალებს, კაცს საჩრდილობელს მისცემს და მეც ცხონებას შემომითვლიანო. ისე კი წელს დავაწესეთ – რამდენი კაციc ჩვენს გვარს გამოაკლდება, იმდენი ცაცხვი დაირგვება მის სახელზე აქ – ჩვენს „ნაფუძვარზე“, მათ უკვდავსაყოფად და საპატივცემლოდ.

მოულოდნელად სიცილ-კისკისი შეწყვეტა. სოფლის ზრდასრულ ყმაწვილებს კუნტრუშით მიყვებოდათ თეთრი ბატკანი. ტრადიციების გამგრძელებელი ახალი თაობა მოკრძალებულად მოგვესალმა, მოგვილოცა ბრწყინვალე დღესასწაული და მხიარული ჟრიამულით გააგრძელა გზა მთის მწვანე საფარში.

ვიგრძენი როგორ გამითბა დროთი დაჯაბნილი სული, ჩემი ქვეყნის ტკივილით რომ კვნესოდა. ჩემი გულიდან ამოძახილი კი სიოს სამზეოსკენ მიჰქონდა:

.... შენგან გამოყოლილ სითბოს,
გადავმალავ ჩემს უბეში,
შენი სიმაღლეებიდან
არ მაკლია მზის ნუგეში.

... მტერო, თავს ნუ მოიტყუებ,
უკვდავება გვიდგას ფრთებში,
დღესაც ზრდიან დედებi შვილებს
არწივების საბუდრებში.

უფლის წყალობა, ღვთისმშობლის მფარველობა, დღეგრძელობა, რწმენის სიმტკიცე, სიკეთე და სიყვარული ნურასოდეს მოგკლებოდეს, ჩემო საქართველო!

ამინ!

ივეტა პავლიაშვილი-დოხნაძე

გოჩა ხარანაული

თუ იბადება...

ვის მიაჩნია სუნთქვა ხუმრობად,
როცა სიცოცხლით გული მიღელავს,
მე ისე მიყვარს აქაურობა
ყოფას ვუტირებ თავად მიქელას!

თვითონ უფალსაც შევეურჩები
თუკი სიცოცხლის მომთხოვს დათმობას,
სამოთხედ მიღირს ქალის ტუჩები,
მთელ საიქიოდ ერთი დათრობა!

მასხრად ავიგდე რწმენის სიბრმავე,
რაღას დამაკლებს ბედი ოხერი,
სუყველას ცოდვებს მე დავიბრალებ,
აქ ვარ სამოთხეც და ჯოჯოხეთიც!

ვერ მომქრთამავენ დროთა ღვარები,
სიკვდილის ყმები და ვეზირები,
თუ ჩემი არ ჭირს ნატყვიარები
დროჟამს,
გროშადაც არ ვეღირები!

ვისაც გსურთ წადით, მე აქ ვჭირდები,
მე გადავწყვიტე ვიყო მუდმივად,
მე იქით წასვლას ვერ შეგპირდებით,
სიყვარულს ჩემსას მე აქ ვუნდივარ!

მაგრამ, უფალო!
თუ იბადება ჩემი შემცვლელი
კაცის სადარად,
მიღირს სიცოცხლე
კვერთხის დადებად
და ერთ პასუხად:
„აჰა, მზადა ვარ!“

***

ძაღლი ძაღლის ტყავს არ ერჩის,
არ გაუხსენებს ცოდვებს,
პოეტი – ტვინის ნარეცხი
არა და არასოდეს!

მგელი კი მგლის ტყავს დარაჯობს
თუ ლეკვი ძუძუს წოვდეს,
პოეტი – შურის ხარაჩო
არა და არასოდეს!

ობობა წესს არ გადავა,
სულ ბადეს უნდა ქსოვდეს,
გველი წყლის სმისას დაგიცდის,
პოეტი არასოდეს!

ირემო! ტკივილნანახი
ჩამოხვეწილხარ ბარად,
აღარ მიხსენო ბალახი,
წყნარად რომ მოვკვდე, წყნარად!

ამინ

კოცონთან ჩამძინებია გუშაგს და
შუბი მკრეს.
ჩვენ გვანაწილებს სიკვდილი,
ჩვენ საქმეებს კი კრებს!
მკბენს ცოფიანი ძაღლივით
ყოფნა და კეტიც მცა,
მე ვიყო მაჩვის გაზრდილი
უშენოდ ღირდეს ცდა!
სეირი უნდა ვაჩვენოთ
დროს საცემად რომ მოგვდგა,
ღმერთმა არ გადააშენოს
თქვენი ჯიში და მოდგმა!

დიახ

სატენი როგორ ჩავტენო
ამას მასწავლის ღლაპი,
არ მოგწონს ავის ჩამდენო,
ხარანაულის ხაფი!
გწყინთ, რომ ვუჩოქებ გამზრდელებს,
ავად ჩურჩულებთ თემში:
„როდემდე უნდა გაგრძელდეს
ამ კაცის გაზრდა ფრთებში?!
ჰაი, თქვე უღმერთოებო!
საჩივლელს რომ არ ჩივით,
გოგრებში ხურმა გიყრიათ,
მკერდში კი ხურმის ჩირი!
ვისი ოჩანი „გაჭენდა“
ვისი ულაყის ცდაში?!
ჩემი ფარ-შუბის გაჭედვა
ჯერაც გრძელდება ცაში!

***

არ ვეკარები ღვინოს
აგერ, კვირაა ორი,
„ალადასტური“ მიდგას
გამოგზავნილი გორით.

სტუმარს მოველი შორით,
მე კი აღარ ვსვამ ღვინოს,
უღვინოდ როგორ მოვკვდე,
ან როგორ ვიღიღინო,

ვიღაც ყალბი და ფლიდი,
ჩემი გულის სისხლს ყიდის,
ალბათ ჩემი დრო მიდის,
მიდის, მიდის და მიდის,

მაგრამ შეჩერდით, ძმებო!
მე აქ ვერ დავსვამ წერტილს,
განა ჩვენ ასე ვმღერდით!
განა ჩვენ ასე ვწერდით!

ადგილებს ცვლიან მთებიც,
ხშირად შრებიან ტბებიც,
მიდიან ნაძირლები,
რჩებიან პოეტები!

***

იფაფხურონ დაღლამდე
მაჩვებმა და ვირთხებმა,
რაც მზაკვრობით დაგვმართეს
მწარედ მოეკითხებათ!

სასოების გველის ზღვა,
ვერ გავქრებით ვეროდეს,
ღმერთთან მისასვლელი გზა
გადის საქართველოზე!

***

ღმერთო! უშველე მაისს,
ღმერთო! უშველე ივნისს,
რადგან ქართველი მაინც
ქართული გზებით ივლის!

დრო აღარა გვაქვს ცდომის,
უამაყეს მუხლს ვიხრი,
არ გაალაღო, ღმერთო,
წაბირებულნი ლიქნით!

არ დაუტევო ერი,
გზებით ავლიე მართლით,
როდის უხილავს ზეცას
დამონებული ქართლი!

დაჟინებული ვითხოვ!
(ოდენ შენს გამო ჩანს ცა),
რადგან ჩემს საწყალ მამულს
ყველამ მახვილი ჩასცა!

თავს მოხვეული ბედის
ძლევის მოგვეცი ხანა
და შენი წმინდა დედის
გაგვამარგვლინე ყანა!

... თძმული გვამთა მაღალთა ლხინზე

მამულო! შენზე მდიდარი
არა ვყოფილვარ აროდეს,
ვიდრე შენ არ გიხარია,
მე აბა ვით მიხაროდეს!

ამ დუნიაზე, მამულო,
მომხრე არა გყავს არავინ,
როგორ მწყურია გავლეწო
მე შენი ამომბზარავი!

ვაი, რა ძაან მწარე ხარ!
ვაი, რა ძაან ტკბილი ხარ!
გეყოფა, ნუღარ დამტანჯე,
ოღონდაც ნუღარ სტირიხარ!

შე სიყვარულის სათავევ,
მათ მოგისროლეს გუბეში,
რომ დაგეზარდნენ გველებად,
ემაგ მადლიან უბეში!

უფალო! ვიდრე ცოცხლებში,
ვერ ამირანობს ვერავინ,
არ გამიხადო სამშობლო
ალქაჯთა დასაჩხვერავი!

კი ფიქრობს ზოგი სულელი,
ხმალი შეგვატყდა ვადაში,
შემოგვაშველე სულები
ილიასი და ვაჟასი!

ხომ წაიჩოქე ვაგლახად,
იდინე ცრემლთა ღარებით,
სისხლითამც შემაღებინა
მე შენი ნამუხლარები!

კონსტანტინე კიკნაველიძე

***

ცარიელ კედლებს დავყვები უხმოდ,
სიჩუმით დაღლილს ფიქრი გამიწყდა
წამით ხელთ მომხვდა ძველი კალამი
რომლის ხმარებაც გადამავიწყდა...
ფურცლებს, რომლებიც თან
დამყვებოდნენ
და მიცოცხლებდნენ სიტყვებად
სტრიქონს
თითქოს ძველ დარდებს
გავაყოლებდი..
და უხეიროდ ჩავკალი თვითონ
მე მოვიცილე ჩემი კალამი
და ვერც ატყობდა თურმე ვერავინ
როგორც უსულო სხეულში სისხლი
ისე შრებოდა ჩემი მელანი
როგორც კალამში მდგარი მელანი
ფიქრებიც დროსთან ერთად ქრებოდა
და უქმედობით დაცლილი გული
მწარე ტკივილად მეკუმშებოდა...
კვლავ ხელში მომხვდა ძველი
ნაცნობი...
მასთან შეხვედრის წამიდან მივხვდი,
რომ დაკარგული დროის საზღაურს
კალმის გაგდების წამიდან ვიხდი.
კვლავ დამიბრუნდნენ ძველი
ფურცლები
და როგორც სნეულს განკურნებისას,
ისევ ჩნდებიან ჩემი გრძნობები
მელნის ყოველი დაპკურებისას.
ისევ ტალღებად ისმის მუსიკა.
ისევ ჰანგების მოდის სარჩევი
და ჩემს გრძნობებში დავეძებ ნოტებს
წაპოეტებას გადანარჩევი...
თუმცა დღეს ვხვდები, რომ ძველ
მეგობარს
წავყროდი დილას ან თუნდაც გუშინ,
ვერ მივიღებდი, რადგან დღეიდან
ახალი ცეცხლი ანთია გულში.

***

ჭიქა მიჭირავს?
სადღეგრძელოს ვამბობდი
ალბათ,
მე მომიტევეთ სასმელმა თუ
დამრია ხელი,
გთხოვთ დღეს შემინდოთ,
ქალბატონო,
ყოველი წვეთი.
უბრალოდ ვსვამ, რომ დავივიწყო
თქვენი სახელი.
ფეხი მერევა?
თქვენ ფიქრებში თუ ჩაგიხედავთ?
ანდა... რას გკითხავთ,
თავად თავის განა არ ვიცი?
ამღვრეულია ერთმანეთში
ყოველი წამი
და გზა უფროა არეული,
ვიდრე ნაბიჯი.
ჩემი თვალები?
რატომ გიკვირთ, რომ ჩაქმრალია?
ანდა ამ ხელებს დაავიწყდათ განა
მოხვევნა,
უბრალოდ ახლა ჩემი ხატი გათელილია
და ცუდის უფრო მარტივია
დამახსოვრება.
მე გადიდებდით
დიახ, დიახ...
რად მიმზერთ ასე?
ყველა ტაძარში თქვენს სახელზე
სანთელს ვანთებდი,
რად გაიკვირვეთ?
თქვენს თავს ვფიცავ...
აჰ, მომიტევეთ...
ღვინომ შემათბო
და უეცრად ზღვარს გადავედი.
გთხოვთ,
გამიძეხით,
მიგაცილებთ სახლის კარამდე.
მე გზა არ მახსოვს?
თქვენს სარკმელთან კვლავ
მიდევს ბინა.
რად არ გითხარით?
ალბათ თქვენთან დამპატიჟებდით
და დრო არ მქონდა,
რომ ოდესმე
შემომერბინა.
დავიგვიანებ?
განა ახლა სად მივიჩქარი
მე დილას ველი
უმზეოს და უავდრიანოს,
ალბათ არ გახსოვთ,
აჩრდილია ჩემი სახელი
და გზა აღარ მაქვს,
რომ მე სადმე დავიგვიანო.
ალბათ არ მიწყენთ
საიდუმლოდ თუ გაგენდობით
და ნამთვრალევი
პირმართალი უფრო ვიქნები,
მე
თქვენ
მიყვარხართ,
თქვენზე ვდარდობ,
თქვენზე ვოცნებობ
და ისევ ვცხოვრობ თქვენს
სარკმელთან
თქვენზე ფიქრებით.
მე თქვენ მიყვარხართ,
გეფიცებით, არა ვარ მთვრალი
დავლევდი,
მაგრამ მიჯნურისთვის რა წამალია.
თქვენს სახელს ვფიცავ
დაგივიწყებთ,
მომეცით ხელი
და გულს შეახეთ,
ის დღეიდან გადამწვარია.
კვლავ მომიტევეთ სითავხედე,
მოდი
მე წავალ
და სანამ პასუხს მომაგებდეთ
დარცხვენილობით,
იცოდეთ,
თქვენთვის თავშეწირულს
ვერასდროს მნახავთ,
ჩვენი გზა უკვე გაიყარა,
ახლა...
მშვიდობით.

***

აბსტრაქცია?!
ისევ თენდება ბნელში... სისხამის
გრძნობა გაბნეულ უაზრო დილებს
უსასოობის ყურებით დაღლილთ
სუსხი უჭირავთ კბილით აჩრდილებს...
გათენებულის შეგრძნება უჭირთ,
დილის სხივები შანთივით ქარგავთ
და შეგუების მანტია მოსხმულთ
უკვე ტკივილის შეგრძნებაც არ აქვთ.
გაბეჩავებულ, დამფრთხალ აჩრდილებს
ხელში შემყურნეთ ამ საუკუნის
მზის სხივზე ადრე გამოჩენამდე
ფარდა ახურავთ უკვე უკუნის...
გარშემო მყოფთა სულის სიცივით
უკვე ერთმანეთს ერიდებიან
და წარსულისგან ნაგებ ბილიკის
ფიცრებით ცალ–ცალკე თბებიან...
სავალ გზას უკვე ვეღარ ხედავენ
თავისი ხელით დათხრილ თვალებით
წარსულ მინასთან გასწორებულნი
მომავალს თხვრიან უკვე ვალებით.
აღარ ადარდებთ ახლების ბედი,
აჩრდილთ შემყურეთ მხოლოდ
სარჩოზე...
დედიშობილა დგას საქართველო
ნარჩენი ქვეყნის სადარაჯოზე!
მაგრამ შუადღეც მალე მოაღწევს,
გულს გაუნათებს ჩათვლემილ შვილებს
და ათასობით აჩრდილთა ჩრდილში
ათობით ათას გამოაფხიზლებს
და თუ ათასში ათი თუ ასი,
თუ გულმხურვალე შვილი ერია
ლაჩრებო, ძრწოდეთ, ერი მყარად დგას
და დაჩოქება არ უწერია!

ქვეყანა მასშტაბური დესტაბილიზაციის წინაშეა!

როდესაც ქვეყანაში ყოველდღიურ პროგრესს განიცდის დესტრუქციული ძალების იერიშები და თითქმის ხელისუფლების კონტროლს აღარ ექვემდებარება არსებული პოლიტიკური ამინდი, სწორედ ასეთი რთული გამოწვევების პარალელურად ხელისუფლება ავლენს კრიზისმენეჯერის უნარის არქონას... ფაქტია, რომ დღეს ქვეყანას ჭირდება კრიზისმენეჯერი რომელიც ჯერჯერობით არ ჩანს სამთავრობო გუნდში. ადვილი შესამჩნევია სამთავრობო გუნდის სისუსტე ის, რომ ხელისუფლებაში შემავალი პირების გარკვეული ნაწილი ძალაუფლების გადანაწილების საქმითაა დაკავებული. არც კი იციან რა პასუხისმგებლობა აკისრიათ ერის წინაშე. შეიძლება ასეთ ადამიანებს დაეყრდნოს ქვეყანა?! – რომელ საგარეო პოლიტიკურ სვლებზეა საუბარი, ძაღლი პატრონს ვერ იცნობს ისეთ დღეშია ქვეყანა! დიდი ქაოსია შიდა პოლიტიკურ სამზარეულოში. გასაგებია „ნაცებმა“ მემკვიდრეობით მძიმე უღელი დაუტოვეს დღევანდელ ხელისუფლებას, მაგრამ, რატომ არ იყენებს მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენელი მანდატს ხალხის სასიკეთოდ?! – „ნაცებმა“ აუკრძალეს?! – ახლა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ სამთავრობო გუნდშიც სარეველა ბალახივით გამოერივნენ ვითომ პოლიტიკოსად წოდებული პირები, რომლებსაც არაფერი პოლიტიკის ცოდნის არ მოეკითხებათ.

დღეს აღარ უნდა იყოს საუბარი, მიწების უცხოელებზე გასხვისება არგასხვისების თაობაზე. – ეს თემა დიდი ხნის დახურული უნდა იყოს წესით. გაუბედურებული უფლებაშელახული ერი, ცოცხალმკვდარ მდგომარეობაშია. საწყალ ხალხს ყელში უჭერენ და გასაქანს არ აძლევენ. რაღაც გაურკვეველი კლანების და მევახშეების ხელშია ქვეყანა. ამით წინ ვერ წავალთ, ვერ დავნერგავთ ევროპულ ღირებულებებს, ეს ყველასთვის მარტივად გასაგები უნდა იყოს.

დღეს მიდის მასშტაბური ბრძოლა ერის სულიერების გასანადგურებლად. მე არ ვიცი, ამას ქართველი ერი თუ გაუძლებს და გადაიტანს ძალიან მეეჭვება. სულიერად დაცემული ერის არსებობას აზრი აღარ ექნება. გვართმევენ მორალს, მიწას, სარწმუნოებას. ეს არის უსაშინლესი ბრძოლა ქართველების ამოსაძირკვად. ამის გამოძახილია ის, რომ მშობლიურ მიწა–წყალზე უცხოელები დაგვისვეს ბატონებად. ყველაზე საგანგაშო ამაში კი ისაა, რომ ერი მთვლემარე მდგომარეობაშია. გვძინავს და თან როგორ:

დღითიდღე ეპატრონებიან გადამთიელები ჩვენს მიწებს! – სოფელი აღარ დარჩა ისე, უცხოელს რომ არ ქონდეს მიწა ნაყიდი. ფიქრობს ვინმე ზედა ეშელონებში ამას მომავალში რა მოყვება?! – ქვეყანას ჭირდება პროგრესულად მოაზროვნე პოლიტიკოსების პლეადა და არა თაღლითების და კლანების მფარველი ზოგიერთი შეუმდგარი პოლიტიკოსი... ასეთი პოლიტიკოსები შეიძლება შევადაროთ მტაცებელი მგლების ხროვას, რომლებსაც სრულიად შემთხვევით ბედი გაუღიმებს და ნადავლს წააწყდებიან, ამის შემხედვარე დახარბებულები არა მე დიდი ლუკმა შემხვდეს არა მეო, ერთმანეთის დაჭმას დაიწყებენ, ასეა ამათი საქმე... რა მნიშვნელობა აქვს ასეთი ადამიანები ხელისუფლებაში იქნებიან თუ ოპოზიციაში?! – ისე მოერგებიან ვითარებას, როგორც მათთვის იქნება მისაღები და არა ხალხისთვის...

ამ გაურკვევლობის ფონზე იმღვრევა ცხოვრების მდინარება, ვხედავთ გაცხოველებულ თარეშს ანტაგონისტი ძალების მხრიდან. ხელისუფლებამ ამ მოვლენების პარალელურად გამოავლინა სისუტე, რაც ძვირად უჯდება. ოპონენტს ძალა მისცა გაშიფვრის საშუალების და გადავიდა თვითგანადგურების რეჟიმზე. უდავოა, რომ „ნაცები“ და ეს არცაა გასაკვირი შესანიშნავად ფლობენ პოლიტექნოლოგიას, რასაც ვერ ვიტყოდით „ქართულ ოცნებაზე“. არ ჩანს პოლიტიკოსების კონსოლიდაცია მიზნის მისაღწევად. სამწუხაროდ ამ გუნდშიც გამოერივნენ ადამიანები, რომლებიც პოლიტიკისგან უბრალოდ შორს არიან. მათ აქვთ ბიზნესინტერესები, რომლის „დაკრიშვაც“ მაღალი თანამდებობიდან მარტივია...

რომელ კონტექსტში განვიხილოთ ის ფაქტი, რომ დღევანდელი ხელისუფლების ფონზე კვლავ პრობლემების წინაშეა ქართული მიწა, ერი, სახელმწიფოებრიობა, დიდი დარტყმის წინაშეა ქვეყნის სუვერენიტეტი. დიდი ალბათობაა იმისა, რომ გარკვეული დროის მერე ქართველი თავის სამშობლოში ეროვნულ უმცირესობაში აღმოჩნდეს და მივიდეთ დემოგრაფიული კოლაფსის საფრთხის წინაშე?! რა ძალებს მიყავს ქვეყანა უფსკრულისკენ?! ამ ყველაფრის მიზეზი ისაა, რომ პოლიტიკოსების უმრავლესობა მთავრობაში არაა მოსული იმ საქმის გასაკეთებლად, რომელიც ხალხს ხეირს მოუტანს. აქედან იღებს ყველა უბედურება სათავეს. ამდენი სამთავრობო უწყებაა და რას აკეთებენ, თითქმის არაფერს! თუ გამართულად მუშაობს ეს ინსტიტუტები შედეგი სადაა?! – ვის აინტერესებს ხალხი.

ამდენ უცხოელს, რომ მოერეკებიან რატომ არაფერს ეკითხებიან ქართველ ერს?! – ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოხდეს ისეთი კანონების რატიფიცირება და იმპლემენტაცია, რომელიც დაიცავს ეროვნულ ინტერესებს. დღეს რომ მიდის დიდი სჯა–ბაასი იმაზე, რომ საკონსტიტუციო დონეზე აიკრძალოს მიწების უცხოელებზე გასხვისება, ამდენი დავიდარაბა ამ კანონის მიღებას რაში სჭირდება გაუგებარია, რა ერი უპირისპირდება კანონის რატიფიცირებას, თუ ხალხის საკეთილდღეო საფუძველი აქვს მთავრობას, საქმე რატომ მიყავს ბოლომდე?! – სინამდვილეში ამ ყველაფრის მიზეზი „ნაცების“ და მათი მფარველების იდეაა... თუ არ აიკრძალა მიწების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გასხვისება. ეს იქნება ქართული სახელმწიფოებრიობის ნგრევის ხელშეწყობა მთავრობისგან. უცხოელების ჩამოსახლების შემთხვევაში ახლო მომავალში დავდგებით უდიდესი საფრთხის წინაშე, ის დასახლებები არაა გამორიცხული გადაიქცეს ე. წ. ცხელ წერტილებად, რომელიც პირდაპირ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას დაემუქრება...

ვის ინტერესებში შედის საქართველოში მასშტაბური დესტაბილიზაციის დაძვრა თუ არა „ნაცების“ და მათი მფარველების. უდავოა, რომ რაც ხდება ბოლოდროს ქვეყანაში. ამ ყველაფრის კვალი ქვეყნის გარეთ გადის, სადაც დაწერილია პოლიტიკური გეგმა, რომლის განხორციელებაზეც დაწყებულია თავდაუზოგავი ბრძოლა. ყველა რესურსს იყენებს ოპოზიციური ძალა, რომ შეასუსტოს სამთავრობო გუნდის შესაძლებლობები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საგარეო პოლიტიკის კუთხით. სამწუხაროა ამის თქმა, მაგრამ ხელისუფლებამ მოთარეშე ძალას თავადვე მისცა ხელჩასაჭიდი. ამაში მოიაზრება არაკონსოლიდირებულობა, რაც მთავრობაშია. ასევე ის გაუმაძღარი მატერიალური მიზნები რა მიზნითაცაა ზოგიერთი პოლიტიკოსი მოკალათებული სამთავრობო გუნდში. როდესაც ნაწილობრივ ასეთი ადამიანებისგან შემდგარი ძალა გადის ქვეყნის მთავარ პოლიტიკურ არენაზე საასპარეზოდ, თავიდანვე წაგებისთვისაა განწირული მათი სვლები. იმიტომ, რომ ასეთ ადამიანებს არ ამოძრავებთ ისეთი პრინციპები, რაც პოლიტიკას ჭირდება...

ხალხმა ვერ მიიღო ის კეთილდღეობა ბოლომდე, რასაც ელოდა ხელისუფლებისგან. გასაკვირი არცაა, რასაც დაპირდა სახელისუფლებო ძალა მთავრობაში მოსვლამდე, იმ ყველაფრის მთლად შესრულება წარმოუდგენელია. უნდა ითქვას, რომ „ნაცების“ პოლიტიკურ ინტერესებს ანგარიში ეწევა დღესაც. ჩვენ დავინახეთ რამხელა მხარდაჭერა ქონდა და აქვს „ოცნების“ ხელისუფლებას ქვეყანაში, მაგრამ ისიც კარგად ჩანს, რომ „ნაცებსაც“ ყავთ ყოველისშემძლე მოკავშირე ქვეყნის გარეთ. ის სახუმარო ძალა არაა, ის ძალაა რომელიც მსოფლიო დონის პოლიტიკას ქმნის და აყალიბებს. მას შეუძლია ჩვენი ეროვნული ინტერესები სამუდამოდ ჩაახშოს. რა გამოსავალი რჩება ამ ჩიხიდან ხელისუფლებას?! გამოსავლაი ისაა, რომ მთავრობამ კონსოლიდირებულ რეჟიმში იმუშაოს ყველა გამოწვევის საპასუხოდ. უბედურებაც იმაშია, რომ არ არის ამ გუნდში ერთსულოვნება. მოწინააღმდეგე ძალამ გამოიყენა არაჩვეულებრივი საბრძოლო მანევრი და ჩვენს რიგებში არეულობა შემოიტანა. ფაქტი სახეზეა, ამ ორ მსხვილ პოლიტიკურ ძალას შორის დღეს მიმდინარეობს პოლიტიკური ომი. ამ ომის მძევალია ის სახელმწიფოებრივი პროგრესი, რომლის განხორციელებაც დღეს შეფერხებულია...

ზინაიდა უძილაური



ერეკლე საღლიანი – 60

60 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ერეკლე საღლიანი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ერეკლე!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან პოეტსა და ერისკაცს, ქართული ცისა და მიწის მეციხოვნეს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში – დაბადების 60 წლისთავს.

თქვენი პოეტური ნათლობა 1967 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „პიონერში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსი „ენგური“ და მას შემდეგ, ათწლეულების განმავლობაში, მართლაც ენგურივით მიარღვევთ წუთისოფლის იწროებს და თანამოძმეთ ვაჟკაცობის, შეუდრეკლობის, თანალმობის საუცხოო მაგალითებს აძლევთ.

ქართველმა მკითხველმა შეიყვარა და გაითავისა თქვენი ისეთი პოეტური კრებულები, როგორიცაა „უსათაურო“, „რაშოუდა“, „უსათაურო“, „შამარირა“... შეიყვარა იმიტომ, რომ თქვენი ლირიკული გმირი იბრძვის ქართული სიწმინდეების გადასარჩენად, იბრძვის, რადგანაც იცის, რომ ბრძოლას მუდამ აქვს აზრი, იბრძვის, რათა ვერავინ შეძლოს იმ ღვთიური მადლის წართმევა, ჩვენს მიწაწყალს რომ ადგას შარავანდად, უპირველესად კი, საკუთარ თავს ებრძვის, საკუთარ ნაკლოვანებებს, რათა შემდგომ, ზნეობრივად განწმენდილს უფლება ჰქონდეს, შეუძახოს თანამოძმეთ, გამოაფხიზლოს საღათას ძილისგან, რათა ვერავინ მოღალოს საქართველოს მგლის მუხლი, ვერავინ შერყვნას ჩვენი ღვთიური ცნებები, რათა განკითხვის ჟამს პირნათელი იყოს უჟამო ჟამის წინაშე. ამიტომაც უდგას მცველად ჩვენს სინდისს, სამშობლოა მისთვის ყველაზე დიდი ჭეშმარიტება. ყველგან და ყველაფერში სამშობლოს სულს ეძებს და ელოლიავება, სამშობლოს სურნელით სურს დატკბობა. იმ კუთხის შვილია, სადაც ჭუნირის ხმებით აფრთხობენ სიკვდილს, სადაც კარგად მოეხსენებათ, რომ ქართული ლექსი ნათლისვეტად შედგომია დღევანდელ საქართველოს და მის გადასარჩენად იბრძვის...

თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია რუსულ და აფხაზურ ენებზე.

თავადაც ჩინებულად თარგმნეთ ფედერიკო გარსია ლორკას, სერგეი ესენინის, ივან კრინინის, იუზა კოლონიას, უილიამ ფროსტის ლექსები.

საინტერესო და მნიშვნელოვანი წერილები მიუძღვენით ოთარ ჭილაძის, შერმადინ ქალდანის, ლაშა გახარიას, თემურ ჩალაბაშვილის, მერაბ აბაშიძის, ტარიელ ხარხელაურის შემოქმედებას.

სხვადასხვა დროს მუშაობდით მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლად, ქართული ენისა და ლიტერატურის მადლსა და მირონს აზიარებდით თბილისის ბიზნესის სკოლის, რაინდთა სკოლის, პოლიტიკური აკადემიის მოსწავლეებს, ხართ ტელევიზია „ობიექტივის“ წამყვანი. დამფუძნებელი და რედაქტორი ბრძანდებოდით ისეთი ჟურნალებისა, როგორიცაა „ხატაურა“ და „ზედაშე“. საქართველოს პატრიარქის კურთხევით თავკაცობდით ქართველ ჩოხოსნებს.

მონიჭებული გაქვთ ილია ჭავჭავაძის პრემია და ამერიკის მართლმადიდებელთა კავშირის კონკურსის გრან-პრი...

ჩვენო ერეკლე!

თქვენ მარად თავისუფლების სიმღერას მღერით და ისიც კარგად გაქვთ გასიგრძეგანებული, რომ თუ კაცი ხარ, ტანზე უნდა შემოგაცვდეს წინაპართა საბრძოლო თორი...

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს საყვარელ კოლეგას, დღეგრძელობას და მზეგრძელობას გისურვებთ ჩვენი სათაყვანო მამულის სადიდებლად.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ერეკლე საღლიანი

მახვში

ასი წლის მახვში, დასავლის კართან,
სოფლის სამდურავს ამბობს და გზნებით
გულში ათასგვარ საზრუნავს მარხავს
და სიკვდილს აფრთხობს ჭუნირის
ხმებით.

სიკვდილს აფრთხობს და ხვაშიადს
ამხელს,
ათრობს ნეტარი წამების განცდა,
მაგრამ საკუთარ ფიქრსა და ზრახვებს
და წუთისოფლის ვალს ვეღარ გასცდა.

ფერი ეცვლება ხასხასა მინდორს,
ციდან მუჟღერის მზე მოწანწკარებს
და ნაღვლიანად იხსენებს იმ დროს,
როცა უშბაზე დასდევდა ქარებს.

წმინდა ნინო

ფარავნის წყალს ნისლის ჯარი
ფარავს... წმიდა ქალწული
მოდის, უძღვის წინ ხის ჯვარი -
ვაზის ცრემლით ასხმული.

გვერდზე გადგნენ თეთრი მთები,
სანთლად იწვის მაშვრალი,
მიწის ძახილს გრძნობენ თმებიც,
თმები, ქარში გამშრალი.

დრო - თვით სვავი მყივარი და
ბრუნავს, როგორც ფანტელი,
თავზე ადგას მყინვარი და
სულიწმინდის ნათელი.

მივა მცხეთას, ავა წობენს,
უფლის მადლის ტარებით,
ჩვენს სიმშვიდეს დარაჯობენ,
სადაც ზეცის კარები.

ტალანებში სისხლი მსხვერპლის
დუღს, ვით გესლი მამონის,
არა ქმნათო თქვენში კერპი,
არც უფსკერო ბომონი.

ფარავნის წყალს ნისლის ჯარი
ფარავს... წმიდა ქალწული
მოდის, უძღვის წინ ხის ჯვარი -
ვაზის ცრემლით ასხმული.

სისხლად დაღვრილ სიტყვებს ვმღერი

ზეცის ძახილს უერთდება
ცისარტყელას შვიდი ფერი,
მე დღეს, ერთი ამოსუნთქვით,
სისხლად დაღვრილ სიტყვებს ვმღერი.

მე დღეს, როცა ღვარცოფს ველი,
კლდის ნაჟური ცრემლად დამდის,
მიწის მწველი ჟრუანტელი,
მეკიდება ცეცხლად ძვლამდის.

ქარის ხმაზე ირწევიან
გაზაფხულის ყვავილები,
ჩემი საყდრის სანთლად ვიწვი,
ჩემს საყდარში დავილევი.

ოდეს გავცდე ნათლის კიდეს,
ოდეს გავცდე ჩემს წილ მიწას,
სამზეოს მზეს ნუ შევცინებ
ჩემი წილი სიცოცხლითა.

მედექ ქარში და სეტყვაში,
აუღებელ ციხედ, გულო,
აწყვეტილი ჩემი სრბოლა
ბოლომდე არ დავასრულო.

ზეცის ძახილს უერთდება
ცისარტყელას შვიდი ფერი,
მე დღეს, ერთი ამოსუნთქვით,
სისხლად დაღვრილ სიტყვებს ვმღერი.

***

ღრუბლების დაშლილი ტივი,
მილეულ სიცოცხლის სვე და...
სექტემბრის ცახცახა სხივი
და გულში ჩამხრჩვალი სევდა.

მინდვრებზე ტბორების რყევა,
ლოდებზე მთვლემარე ხავსი,
ფოთლების ყვითელი რემა
და სივრცე - საფლავის მსგავსი.

თითებში ჩამდნარი მთვარე,
სოფლად მორიალე თალხი,
უსაზღვროდ ფერმკრთალი ღამე,
მიწას რომ მქრქალ ფერებს ახლის.

ღრუბლების დაშლილი ტივი,
მილეულ სიცოცხლის სვე და...
სექტემბრის ცახცახა სხივი
და გულში ჩამხრჩვალი სევდა.

***

არც ვინ დამიხსნის სრულიად,
არც ვინ მომივა თავდებად...
აქ თვით დრო გაყინულია,
მზე კირქვასავით ქვავდება.

ძილ-ღვიძილში ვარ, ნათელს მფენს
დროშა მყინვარზე ნაფალი,
მოვკვდე? ისეთი ხვედრის მქმენ
არ ამიძაღლდეს საფლავი.

***

სიხარულს ვზომავ წამით მე...
მცნებას ვიმარხვი ამგვარად,
უნდა მოვასწრო, წავიდე,
ვიდრე წასვლის დრო დამდგარა.

მოსწრება უწინ მტვერს წაშლის,
ქცევას მიმითვლის ნებისად,
სულეთის მონატრებაში
მე ღმერთი მენატრებისა.

***

უმართლო დროში გულმა თუ გაძლო,
ბეწვისოდენი ძალვიდვე მეც ხომ...
შენ ამ წიაღში დამრჩენი სასძლოს,
მცირეოდენიც კი აღარ გეცხო.

გვხმილავს მრავალი მეჭორე ჩვენ კვლავ...
ვწყალობ სანაცვლოდ ბედშავთ ლმობითა,
შენ ახლა მხოლოდ მიდიხარ ჩემგან
და არა ჩემი არსებობიდან.

***

ჟამითი ჟამად ხვედრ გვაძევს მწირთა,
განმართ მივაგებთ სოფელს რა ვალსა,
განგვჰლევ ვით ხმიადს, გვიქმ სალბუნთ
მცირთა,
არ არს ბრალის-ბმა ჭირთა მრავალთგან.

უსჯულოების, სიმდაბლის ჩენის,
შიშს აჩენს ძალუმ ყოველსა სამანს,
აჰა, ესერა, წილხვედრ ზღვა ჩვენი,
ვითარ ირგუნოს, ირგუნოს სხვამან.

ჟამითი ჟამად...

***

ბედნიერი ხარ, კვლავ დახვალ მხნედა,
ჯერ არ არსებულ სინათლეს ხედავ,
წვიმს, თუ არა წვიმს, ჰყინავს თუ დაცხა,
რასაც შეიგრძნობ, ესა ხარ, რაც ხარ.

საწადელს ჩემსას შენით ვწვდე იქნებ,
მე ხომ გზას შენი წყალობით ვიგნებ,
ლოცვა, გალობა, ო, შენი დიდ არს,
დამამწყალობნე მე ღირს ვარ ვითარ...

ბედნიერი ხარ...

***

ქმედებას კაცთა კვლავ ზომავ ადლით,
რომ სათნო გიჩნდეს მარეკს მიზანი,
შეუნანებელ რამ არის მადლი
და ჩინებანი, სულო, ღმრთისანი.

წამის ყოფითა თვისით გაიგებ,
ესე სოფელი არის რა შიგან,
ოდეს ნამლევას არსთა გამრიგემ
გამცნოს ხმად ყოფა, ხმა ჰყავ მაშინღა.

ქმედებას კაცთა...

***

ქმნა შენი ხესა მიაგავს ხმელსა,
ვერ განეშორე საქმითა ბნელსა,
შენ შეგიძლია, თავად სინათლე,
თავად სინათლე გააკრა ძელსა.

აქამდე რასაც ღვარძლად თესავდი,
იმასვე თესავ და იმკი წელსაც,
ამრავლებ ავს და ამრავლებ ავზნეს,
უკუღმართობას კვლავ უწვდი ხელსა.

ქმნა შენი ხესა მიაგავს ხმელსა.

„ვეფხისტყაოსნის“

სოსო სიგუა

„ვეფხისტყაოსნის“ მთავარი პერსონაჟები არა მხოლოდ სამეფო წრეს განეკუთვნებიან და ამ ელიტური სიმაღლიდან უწვდიან ხელს ერთმანეთს, არამედ – ღვთაებრივი ბუნებისანიც არიან, რაც ვლინდება სახელების ეტიმოლოგიითა და სიმბოლური გააზრებითაც.

უძველესი დროიდან მეფე გაღმერთებული ზეცის შვილი იყო, რასაც პოემაში მზე ენაცვლება.

პროტოტიპები

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა პროტოტიპების კვლევა უკავშირდება სიუჟეტის საკითხს, პოემაში ისტორიული რეალიების ასახვა–არეკლვას. მაგრამ პროტოტიპი არ არის ერთსახოვანი ცნება. ავტორი შეიძლება ამოდიოდეს რეალობიდან, მაგრამ ახდენს ფაქტის ლიტერატურიზებას, როცა ოცნებით იცვლება საგნის ხატი. ან შეიძლება ფანტაზიიდან ეშვებოდეს სინამდვილეში და მოდელს სულს უდგამდეს ცხოვრებისეული მოვლენებით.

შეიძლება ერთ პერსონაჟში თავი მოიყაროს რამდენიმე პირის თვისებამ და მათი შერწყმით, სინთეზირებით მივიღოთ ახალი სახე, რასაც ბიოლოგიაში მუტაცია ეწოდება.

ხელოვანი არის შემოქმედი და არა ფოტოგრაფი.

აღიარებულია, რომ პოემის სიუჟეტის საფუძველია ისტორიული რეალობა, თამარის ისტორია, რაც ავტორმა დუბლირების პრინციპით გაიაზრა, როგორც განმარტავდა პავლე ინგოროყვა.

თინათინი და ავთანდილი ოცნებაა, ნესტანი და ტარიელი – რეალობა. პირველი აპოლონური ჰარმონია და წესრიგია, მეორე – დიონისური დისჰარმონია და მუდმივი ღელვა.

შესაბამისად თინათინ–ნესტანის პროტოტიპია თამარ მეფე, ავთანდილ–ტარიელისა – დავით სოსლანი, ხვარზმშას ძისა – გიორგი რუსი (ხვარაზმთა დინასტია არსებობას იწყებს 1194 წლიდან), როსტევან–ფარსადანისა – გიორგი III, თამარის მამა, დავარისა – თამარის გამზრდელი მამიდა, ხორასანის სულტანის ქვრივი რუსუდანი („რძალყოფილი დიდთა სულტანთა შამირამეთი და დედოფალი ყოვლისა ხუარასნელთა უფლებისა, რომელი სიქურივისათვის თვისადმე მამულად მოყვანებული“ – „ცხოვრება მეფეთ–მეფისა თამარისი“; „ხუარასნისა და ერაყისა სულტანთა სძლობითა გამეცნიერებული“ – „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“), რომელიც აღმოჩნდა მოთავე გიორგი რუსის მოყვანისა და თამარის ნების საწინააღმდეგო ქორწინებისა (პ. ინგოროყვა), ასევე – თამარ მეფის მეორედ კურთხევისა.

არათუ რუსთაველს, ნიზამი განჯელსაც კი (1141–1203) „ხოსროვ–შირინიანში“ (1180 წ.) თავისი გმირების პროტოტიპებად დაუსახავს თამარი (შირინი) და რუსუდანი (შამირა).

ისტორიული რეალიების ფანტაზიით გავრცობა–შეკვეცას, შევსებასა და გარდასახვას ერთვის ლიტერატურული მასალაც, ლიტერატურული წყაროები, როგორც ორიენტირი და შთაგონება.

მაგ., მ. თავდიშვილის აზრით, რუსთაველის პერსონაჟთა ლიტერატურული პროტოტიპებია ნიზამი განჯელის პერსონაჟები: ავთანდილისა – ნაუფალი, სალამი და ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი, ტარიელისა – ისქანდერი (ალექსანდრე მაკედონელი), ნესტან–დარეჯანისა – ნესტან დარჯეჰანი (რომელსაც ისქანდერი დევს წარსტაცებს), რამაზ მეფისა – ხატაელთა (თურქთა) ფლიდი ხაყანი...

საილუსტრაციოდ მკვლევარს არაერთი მაგალითი მოაქვს, როცა აჩვენებს კონკრეტულ დონეზე რუსთაველის შემოქმედებით ნათესაობასა და სიახლოვეს ფირდოუსთან და ნიზამი განჯელთან.

ეტიმოლოგია და სიმბოლიკა

სახელების ეტიმოლოგია, რაც თავისთავად, ტექსტისაგან იზოლირებითაც ატარებს სიმბოლიკას, განიხილეს ნიკო მარმა, იუსტინე აბულაძემ, ზვიად გამსახურდიამ, მურმან თავდიშვილმა.

საქართველოში XI საუკუნისათვის გვარების ჩამოყალიბების პროცესი დასრულებული იყო. მაგრამ რუსთაველი არჩევს მუსულმანების წესს და პერსონაჟებს აძლევს მხოლოდ სახელს.

ხაზგასმით აღინიშნება სახელთან ერთად ეროვნება, რაც შეესაბამება დღევანდელი მოქალაქის სტატუსს.

რელიგიას, მაჰმადის რჯულს, რომლის მიმდევარიც არიან ინდოელი ტარიელი და არაბი ავთანდილი, ნაკლები ყურადღება ექცევა.

ხოლო ენობრივი ბარიერი სხვადასხვა ერის შვილებს შორის არ არსებობს.

თ. აბულაძის აზრით, ტარიელი არის ირანული დარიელი. ეს სახელი ჰქვია ირანელ ერისთავს, რომელიც გამოგზავნეს საქართველოში და იხსენიება მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებაში“.

ზ. გამსახურდიამ იგი დაუკავშირა ტარ ფუძიდან წარმოქმნილ უძველეს სახელებსა და ტოპონიმებს, ღვთაებებს, საიდანაც წარმოსდგა კაბადოკიური „ტარჰუალა“, რაც ძლევას ნიშნავს. ეს კი სიმბოლურად არის უმამაცესი.

ფუძე Tar გავრცელებული ყოფილა მთელს სემიტურ და ინდოევროპულ სამყაროში. ამასთან ერთად ზ. გამსახურდია არ გამორიცხავს, რომ მისი მტკიცება და ი. აბულაძის ეტიმოლოგიური ახსნა კავშირშიც კი იყოს ერთმანეთთან, რაც მართებულია.

ტარი–ელ მოხსენებული ყოფილა 1225 წლის ანისის ერთ–ერთ წარწერაში („ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“).

ავთანდილსაც აღმოსავლური ძირი აქვს, კერძოდ – არაბული – „ვატანუდიან“, რაც იშიფრება როგორც „სამშობლოს გული“: vatan (სამშობლო) მრავლობით რიცხვში არის avtan (ი. აბულაძე), მეორე ვარიანტით – „სამშობლოს რწმენა“ (დილ/დინ–რწმენა).

ეს სახელი არსებულა ქართულში ასეთი ფორმითაც – „ვათანდილ“ (ი. აბულაძე).

როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს, ნესტან–დარეჯანი არის სპარსული „ნესთ ანდარე ჯეჰან“ (ნ. მარი, ი. აბულაძე) – „არ არის ამქვეყნად“ ანუ არაამქვეყნიური (ნ. ბართაია), სიმბოლურად – ულამაზესი.

ფარსადანი სპარსულად არის „ბრძენთაგანი“, შერმადინი – რწმენის სინდისი, როსტევანი – „შაჰ–ნამეს“ როსტემი (ქართული ვარიაციით – როსტომი), ნურადინი – არაბულად „რწმენის ნათელი“, ფრიდონი – სპარსული ფაჰრიდუნი („საღვთო მადლი“), „შაჰ–ნამეს“ ფაჰრიდუდინი, ფატმანი – არაბულ–სპარსული „ფაჰმატ“ – ცოდნა, გაგება, მიხვედრა (ზ. გამსახურდია) თუ ფატიმა – მეკავშირე (მ.თ ავდიშვილი).

სარიდანს ზ. გამსახურდია უკავშირებს სპარსულ სიტყვა ოქროს – სარ/ზარ. მაგრამ უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ იგი არის ასურული sarridum, რაც ნ. ხაზარაძის ახსნით ნიშნავს სახედრების გამრეკს.

ალბათ ეს სიტყვა უნდა გავიგოთ როგორც ჯოგის პატრონი, სიმბოლურად – მბრძანებელი.

ქართულია თინათინი, რაც ათინათიდან, სარკიდან არეკლილი სხვიდან მოდის და სინათლის ციმციმი და ნათებაა (შდრ – ნათელი, XIII საუკუნიდან ელიტაში შესული სახელი).

ზ. გამსახურდია მას უკავშირებს ელინურ ათინას სახელს, სოფიას, ანტიკურ სიბრძნეს, რაც სიმბოლურად არის უსპეტაკესი და უჭკვიანესი.

აქ უჩვეულო არაფერია – ასეთივე ეტიმოლოგიური ახსნა აქვთ სხვა ცნობილ სახელებსაც. მაგ., ადამი, ევა, თამარი, გიორგი, დავითი. შდრ – ნიზამი განჯელის შირინი – ტკბილი, ლეილი – ღამე, მეჰინ – ბანუ – დიდი ქალბატონი, როუშანაქი – ნათელი (მ. თავდიშვილი).

ეს ყოველთვის არც არის ავტორის გამომგონებლობა. ავტორი შეიძლება მნიშვნელობას ანიჭებდეს სახელის წარმომავლობას, ან თავად თხზავდეს მას, იძლეოდეს ახალ ვარიაციას, რადგან სახელი არის ნიშანი და სიგნალი, რომლის აზრობრივი დატვირთვა გადადის სიმბოლოში. მაგრამ ისე, რომ სიმბოლოთა რეალურმა თუ წარმოსახვითმა გამამ არ შეიწიროს მხატვრული სიტყვა.

რუსთაველმა წარმოსახა აღმოსავლური სამყარო, ფანტაზიით წარმოიდგინა უცხო ქვეყნები და პერსონაჟებსაც დაანათლა ამ გარემოს შესაბამისი სახელები, რათა ილუზიას მეტი რეალობა შეეძინა, სიმბოლურადაც შეაკავშირა ისინი.

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა არაქრისტიანულმა, არაებრაულმა, არაბერძნულმა სახელებმა, რაც უჩვეულო მოვლენა იყო ქართული კულტურისათვის, ძნელად, მაგრამ მაინც გაიკვლიეს გზა ქართულ სამყაროში ჰეროიკული სულისა და ქალის კულტის, სიყვარულის მეოხებით.

ამას ხელს უწყობდა სიტუაცია – მუსულმანური აღმოსავლეთის პოლიტიკურ–კულტურული აგრესია.

გავრცელების დრო და არეალი

რუსთაველამდე პოემის პერსონაჟთა სახელების მეტი წილი, განსაკუთრებით – მთავარი გმირებისა, უცნობია.

XII საუკუნეშიც ბატონობს ბიბლიურ–ბიზანტიური ონომასტიკა, დაბალ ფენებში – წარმართული (მაგ., თოვლაჲ, დუდა, მირაინგული, ქვაჩი, ღვთისია, უჩაკოჩი, მღილა, ნავარქაი, ლატკაი, ჯუჯულია, კაკვუონა). ხოლო ირანულ–მაზდეანური უკვე დავიწყებული იყო (მაგ., ფარსმანი, სერაფიტი, მიჰრდატი), გარდა ვახტანგისა.

ერთ–ერთი გამონაკლისი შეიძლება იყოს ასმათი:

თელეთის წმ. გიორგის ეკლესიის 1002 წლის წარწერაში იკითხება ასმათი, თუმცა ბ. არველაძე მას გვიანდელ ნაყალბევად მიიჩნევს.

XII ს–ში ცნობილია ფრიდონი – შაჰ–ნამეს პერსონაჟი და მსახურთუხუცესი აფრიდონი („ისტორიანსა და აზმანში“).

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (XIII საუკუნის 10–იანი წლები), რომლის ავტორი დიდ ერუდიციას ავლენს, იყენებს უამრავ საისტორიო და ლიტერატურულ მა-

ონომასტიკა

სალას, მათ შორის – ჩახრუხაძის „თამარიანს“, ასახელებს 12 სამიჯნურო წყვილს თამარის დიდების კონტექსტში, მათ შორის – „ამირანდარეჯანიანის“ ამირანსა და ხორაშანს (ხორასან – აღმოსავლეთი).

მაგრამ არ იცნობს „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებს.

არც XIV საუკუნეში ისმის მათი სახელი.

მხოლოდ XV საუკუნის II ნახევარში, ვაჰანის ქვაბის კედლის წარწერაში და ბერთის სახარებაზე გაჩნდება რუსთაველის სტრიქონები. მაგრამ მანამდე ელიტასა და მასაში უკვე ფიქსირდება პოემის პერსონაჟთა სახელი.

გავეცნოთ ზოგიერთ მონაცემს XI-XVII საუკუნეთა ლოკალში (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I-IV, თბ., 1991–2007):

კახეთის მეფე ალექსანდრე პირველის (1457–1503) მეორე მეუღლე იყო თინათინი. თავად ალექსანდრე ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი VIII–ის ძეა.

არაბეთის ე. ი. შოთას თინათინს ახსენებს „თამარიანის“ გვიანდელი ინტერპოლატორი („ეს თინათინ, ნუ ის თინათინ, არაბეთს იყო სულადიანი“).

ალექსანდრეს დედას, გიორგი VIII–ის მეორე მეუღლეს, ერქვა ნესტან–დარეჯანი, რაც აღნიშნულია 1476 წელს.

ასე რომ – მომავალ დედოფალს ეს სახელი დაანათლეს XV საუკუნის I ნახევარში.

დავით X ქართლის მეფის (1487–1523) სიდედრია ყვარყვარე ათაბაგის (ჯაყელის) მეუღლე ნესტან–ჯარი.

1508 წელს ქვათახევის წინამძღვარს ვენახის ნასყიდობის წიგნი დაუწერია ნესტარჯანისათვის.

როგორც ჩანს, იგი გლეხის ქალი იყო.

თინათინი ყოფილა ბარათა ქაჩიბაისძის (XV ს.) დედა და მეუღლესაც თინათინი რქმევია (1447–1459 წლების დოკუმენტით).

აქ უკვე გადავდივართ XIV საუკუნეში.

XIV საუკუნიდან არსებულა სახელი ავთანდილიც:

გორის მოურავი ავთანდილ ზევდგინისძე იხსენიება 1425 წელს, გლეხი ავთანდილა დოდიაშვილი – 1488 წელს, ავთანდილაშვილი ჟამიერი – 1465 წელს ანუ სახელი უკვე გვარად ქცეულა.

დულარდუხტი (სპარს. დულარის ასული) ერქვა ალექსანდრე I–ის (1408–1442) მეუღლეს.

ალექსანდრე II იმერთა მეფის (1467–1510) მიერ გელათისათვის 1484 წელს შეწირულ გლეხებს შორის არის მესხი ყმა–გლეხი „როსტევანი შვილებით“ ანუ ეს სახელი XV საუკუნის I ნახევრისათვის დაბალ ფენაშიც დამკვიდრებულა.

კახეთის მეფე ლევანს (1511–1574) ჰყოლია ჩოლოყაშვილების სამამულე დავის გამრჩევთა შორის როსტევანი ანუ იგი თავადი უნდა ყოფილიყო.

ამრიგად, XV საუკუნის I ნახევარში ქართლში, კახეთში, იმერეთში, სამცხეში როგორც მაღალ, ისე დაბალ ფენებში ფიქსირებულია თინათინი, ნესტან–დარეჯანი, ავთანდილი, როსტევანი, დულარდუხტი.

მანამდე ისინი დოკუმენტებში არ იხსენიებიან.

პოემის ხელნაწერთა გამრავლების პარალელურად უფრო და უფრო მკვიდრდება პერსონაჟთა სახელი (უძველესი ხელნაწერი განეკუთვნება XVI-XVII საუკუნეთა მიჯნას).

ასევე ჩნდებიან ფრიდონი, ფარსადანი, სარიდანი და რამაზიც: ფრიდონის სახელს კვლავ ვეცნობით XV საუკუნიდან (მძევალი ფრიდონი).

1580 წლის სვიმონ I–ის წყალობის წიგნში ვხვდებით ფრიდონ სააკაძეს, 1595 წლის სიგელში – გრკონელ ფრიდონ შვილობილაძეს, 1616 წელს – ქორდელ ფრიდონ ჩუბინასშვილს.

ფრიდონ ყორღანაშვილს შვილისათვის ფარსადანი დაურქმევია;

ფარსადან ამირახორი ჩანს 1565–1583 წლების სიგელში;

ცნობილია გიორგი სააკაძის მოდავე ფარსადან ციციშვილი (1619 წ.); გიორგი სააკაძისათვის ვენახი მიუყიდია ფარსადან ჯავახიშვილს (1607 წ.).

ასევე გავრცელებულია გულანშაროს ხელმწიფის – მელიქ–სურხავის სახელი, რაც სულხანად ქცეულა.

1532–1538 წლის დოკუმენტში ფიქსირდება მცხეთელი სარიდანა; 1634 წელს იხსენიება რუისელი გლეხის სარიდანაშვილის კომლი.

პოემის მთავარ პერსონაჟთაგან სახელი ტარიელი ყველაზე ნაკლები ინტენსივობით გვხვდება. მას არ ღებულობს სამეფო კარი, ბაგრატიონთა საგვარეულო:

1527–1556 წლების დოკუმენტის მიხედვით ხანდაკში უცხოვრია ვინმე ტარიელს.

ტარიელი რქმევია ქართლელ თაზიშვილს (1634 წ.).

თაზიშვილები არიან ავთანდილი და რამაზიც (ლ. მელიქსეთ–ბეგის აზრით, თაზი არის იგივე ტაშირი).:

1700 წელს ფიქსირდება ძმები ფრიდონ, ავთანდილ, ტარიელ, როსტომ და ბეჟინა იაგულაშვილები (დემურაშვილები).

ისინი ყოფილან სომხითის აზნაურები, როგორც ონომასტიკური წრე ცხადყოფს – გაქართველებული სომხები ანუ არაქართულ გარემოშიც შესულა „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა სახელები.

საინტერესოა, რომ XII საუკუნის შუაწლებში არსებულა გვარ–სახელი ტარიკასძე, რომელსაც ატარებდა ქვემო გველდისელი გლეხი.

ასე რომ – შესაძლებელია ტარიელს ჰქონდეს ქართული ძირი.

კანონიზებულ სახელთა გვერდით ადგილის დაკავება, როცა ძლიერია რელიგიური ფაქტორი, თავისთავად მეტყველებს თუ როგორი ძალა ჰქონდა „ვეფხისტყაოსანს“, რომ წიგნიერ თუ უწიგნურ ფეოდალს თავისი ასულისათვის დაერქმია თინათინი ან ნესტანი და იგი ეცნო ეკლესიას.

ერთი ფაქტიც უნდა შევნიშნოთ:

არც „ვეფხისტყაოსანის“, არც „ამირანდარეჯანიანის“, არც „ვისრამიანის“ პერსონაჟთა სახელები არ ჰქვიათ ქართველ მეფეებსა და ბატონიშვილებს, ეს მაშინ, როცა არჩევენ თეიმურაზს, ქაიხოსროს, როსტომს, ლუარსაბს, ერეკლეს, სულეიმანს, ელმირზას, ხოსროს.

გამონაკლისია რამაზ ბატონიშვილი (1512–1580), ქართლის მეფე დავით X-ის ძე, ლუარსაბ I–ის ძმა, რომლის ბებიაა ხსენებული სამცხელი ნესტან–ჯარი.

იგი 1580 წელს ბერად აღკვეცილა რომანოზის სახელით. სახელი რამაზი საკმაოდ გავრცელებულია XVII საუკუნეში.

რამაზისგან წარმოქმნილა გვარი რამაზაშვილი, როგორც ავთანდილისაგან – ავთანდილაშვილი, როსტევანისაგან – როსტევანაშვილი, სარიდანისაგან – სარიდანაშვილი, მოგვიანებით – ტარიელისაგან – ტარიელაშვილი, ქაჯისაგან – ქაჯაია, დავარისაგან – დავარაშვილი, როშაქისაგან – როშაქაშვილები.

როგორც ითქვა, ნესტან–დარეჯანი და თინათინი ერქვათ დედოფლებს, მაგრამ ისინი არ იყვნენ ბაგრატიონები.

მაგ., ლევან კახთა მეფის (XVI ს.) მეუღლე თინათინი გურიელია. მათ თავიანთი ასულისათვის ნესტან–დარეჯანი დაურქმევიათ.

იგი იყო ქართლის მეფე სვიონ I–ის მეუღლე.

ასე რომ – პოემის ქალთა სახელები მოგვიანებით დამკვიდრდა ბაგრატიონთა დინასტიაში, სადაც მუდმივად ბატონობდა თამარის სახელი, ისევე როგორც მთელს ელიტაში.

XV საუკუნიდან ისევ ვეცნობით შოთას (მაგ., ზევდგინისძე შოთა – 1412 წ.), რომლისგანაც წარმომდგარა გვარი შოთას ძე შოთასშვილი, ასევე – აშოთანსა და აშოთაძეს (აშოტის ვარიაცია).

ამ სახელს შეუღწევია ბაგრატიონთა წრეში და XVII საუკუნეში რამდენიმე მუხრან–ბატონს ჰქვია აშოთან (მაგ., თეიმურაზ მუხრან–ბატონის ძმისწული – XVII საუკუნის 20–იანი წლები).

შოთა გრიგოლის ძე იყო ჰერეთის მეფის ძმა XII საუკუნის დასაწყისში, პ. ინგოროყვას აზრით – ბაგრატიონი.

პ. ინგოროყვას მისი ძმის – მეფე ასათის შვილთაშვილი შოთა მიაჩნია „ვეფხისტყაოსანის“ ავტორად.

XI-XVII საუკუნეთა დოკუმენტებში ჩვენ ვერ ვპოულობთ დავარის, სოგრატის, ფატმანის, უსენის, უსამის, როსანის სახელებს.

სოგრატი სოკრატის ვარიაციაა. დანარჩენი რუსთაველის კუთვნილებაა. არც მასა, არც ელიტა არ ღებულობდა მათ, რადგან იწვევდა უარყოფით ასოციაციებს (მაგ., დავარის როლი, ვაჭართა წრე, ფატიმა ერქვა მუჰამედის ქალიშვილს, როსანი – ქაჯეთის დედოფლის დულარდუხტის ძმისწულს, რომელიც განეზრახათ ნესტანის საქმროდ).

„ვეფხისტყაოსანის“ პერსონაჟთა სახელები უცებ ვერ იქნებოდა მისაბაძი და სანიმუშო. მათი გავრცელება და აღიარება უნდა დაწყებულიყო XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან. უნდა გვახსოვდეს, რომ ეკლესია სდევნიდა არაქრისტიანულ ონომასტიკას, რომელსაც ძირი არ ჰქონდა ბიბლიაში, ბიზანტიურ სამყაროში, ვიდრე შეეძლო მუსულმანური ტაღლის მოგერიება.

სამეფო და ფეოდალური ელიტა ეკლესიის ნების მორჩილი და დამცველი იყო. ამით თუ ავხსნით, რომ, მაგ., ალექსანდრე I–ის (1408–1442) მრავალ დოკუმენტში ფიქსირებული სახელებიდან მხოლოდ ერთგან გვხვდება ავთანდილი, რომელიც შემდეგ პოპულარული გამხდარა, ისევე როგორც თინათინი და ნესტან–დარეჯანი. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ტარიელზე, რომელსაც თითქოს ტაბუ ედო, შეიძლება მეფეებთან დაპირისპირების გამო (როსტევანი, რამაზი, ხვარაზმშას ძე, ფარსადანი).

პერსონაჟთა ონომასტიკის გავრცელების დრო და არეალი გვიჩვენებს როგორ იზრდებოდა სამეფო–სამთავროების ყოველ ფენაში „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარობა. ეს კი ხელნაწერების სიმრავლესა და დამატებების თხზვასთან ერთად მოწმობს საზოგადოებაზე პოემის ზეგავლენას (შდრ – გრიგოლ რობაქიძის ლონდა, ლამარა, კონსტანტინე გამსახურდიას – თარაში, შორენა, გვანცა, ზვიადი, ვაჟა–ფშაველას – ლელა, მინდია, ბერდია, ვაჟა XX საუკუნეში), ხოლო პროტოტიპები, ეტიმოლოგია და სიმბოლიკები – ემოციურ–აზრობრივი მნიშვნელობის ერთ–ერთ ასპექტს.

ქუჩაში ვნახე გალაკტიონი

ვახტანგ ჭანკოტაძე

(მოგონება)

კარგად არ მახსოვს რომელი წელი იყო, უფრო 1953. ოთხმა სტუდენტმა (მანაველმა მიშა საგინაშვილმა, კავთისხეველმა გურამ მექანარიშვილმა, ზესტაფონელმა იუზა კვინიკაძემ და მე) გადავწყვიტეთ მოგვენახულა თბილისის ძველი უბნები.

მაისის მზიან კვირა დღეს შემოვიარეთ ორთაჭალა, ვინახულეთ ნარიყალა; აბანოთუბანი, შარდენი, მეტეხის ციხე, სიონი და სხვა.

დაღლილ–დაქანცულებმა და გახარებულებმა გადავწყვიტეთ თითო ჭიქის დალევა და ნელი ნაბიჯით გავუყევით ლესელიძის ქუჩაზე მდებარე პატარა სარდაფისკენ.

წინ მიმავალმა მამაკაცმა, რომელსაც მძიმე ჩანთა ეჭირა ხელში და ოდნავ გადახრილი მიაბიჯებდა, მიიქცია ჩემი ყურადღება. უცებ გამინათდა გონება – ეს ხომ გალაკტიონი იყო, მუზების მეფე... დიახ, არ ვცდებოდი, ის იყო, დიდი გალაკტიონ ტაბიძე, ყველასათვის საოცნებო და სანატრელი პოეტი, პოეზიის შედევრების დიდოსტატი (ხუთიოდ წლის წინ ვნახე თელავში, სეხნიაშვილების ოჯახში).

სიხარულმა და რაღაც უცნობმა შეგრძნებამ ჩამიარა მთელ სხეულში...

ბიჭებო, შეხედეთ, ჩვენ წინ მიაბიჯებს გალაკტიონი.

რის გალაკტიონი, რა გალაკტიონიო – არ დამიჯერეს ბიჭებმა.

ის არის–მეთქი, ვუმტკიცებდი დაბალი ხმით.

ვერ გავბედე წინიდან შემომევლო და შემეხედა. მივდევდით უკან და გული საგულეში აღარ ეტეოდა. სწორედ იმ დუქანთან შეჩერდა, სადაც ჩვენ ვაპირებდით შესვლას.

მძიმე ნაბიჯებით ჩაუყვა სარდაფში ჩამავალ კიბეს და თვალს მიეფარა.

კარგა ხანს ვიდექით დუქნის წინ. ვერ ვბედავდით ჩასვლას. მუხლები გვიკანკალებდა რაღაც უცნაურისა და საინტერესოს მოლოდინში. როგორც იქნა გავბედეთ და ჩავედით.

შორეულ ბნელ კუთხეში იჯდა მარტოდმარტოდ. ღვინის ბოთლი და ჭიქა ედგა წინ. გახსნილი ჩანთა გვერდით სკამზე ედო. რაღაც ქაღალდებს ათვალიერებდა დიდი სათვალეებით.

მაინცდამაინც ნუ იხმაურებთ, ბიჭებოო, – გაგვაფრთხილა მებუფეტემ, როცა სუფრას გვიწყობდა.

თვალს ვერ ვაშორებდით და ჩვენს „საქმეს“ დაბალ ხმაზე ვაკეთებდით.

ერთი სული მქონდა, მივსულიყავი და წარვდგენოდი და იქ ორიოდ სასიამოვნო სიტყვაც მეთქვა. მაგრამ ვერ ვბედავდი. ის კი, 10–15 წუთში ერთხელ ივსებდა ჭიქას და ნელ–ნელა სვამდა. მერე ისევ რაღაც ქაღალდებს ჩაჰკირკიტებდა.

ღვინომ თავისი გაიტანა. სავსე ჭიქით მივუახლოდი და მივესალმე.

სტუდენტები ვართ და გაგვიხარდა თქვენი ნახვა. ნება მოგვეცით გადღეგრძელოთ-მეთქი – ძლივს მოვახერხე სათქმელის ამოღერღვა.

შემომხედა და შემეკითხა:

სადაურები ხართ?

ორი კახელი, ერთი ქართლელი და ერთიც იმერელი. ვუპასუხე და გავიტვრინე.

ჩვენი სუფრისკენ გაექცა თვალი, ჭიქა აიღო, თავი დაგვიქნია, მადლობა მოგვიხადა და ისევ ქაღალდებში ჩაიფლო.

კიდევ ნახევარი საათი ვიყავით დუქანში. მებუფეტე მიიხმო თავისთან, რაღაც უთხრა, აკრიფა თავისი ნივთები და ნელა აუყვა კიბეს ისე, რომ ჩვენსკენ არც გამოუხედავს.

ჩვენც მალე ავიშალეთ, უზომოდ გახარებულები. გაოცება კი თურმე წინ გველოდა – მებუფეტემ რაღაც გამოკვეთილი სიამოვნებით გვაუწყა:

ბიჭებო, თქვენი დანახარჯი გადახდილიაო.

„ქუჩაში ვნახე გალაკტიონი
(ნატვრა ამიხდა მაისის თვეში),
იქ, სადაც ბრწყინავს თავად სიონი
და „ნარიყალა“ ჩამდგარა კლდეში.
დუქნის ღრმა კიბეს ჩაუყვა უტყვად,
სულგანაბულმა ვადევნე თვალი...
ამბობენ ლექსებს მაშინ წერს უკვდავს,
ოდნავ როცაა „კახურით“ მთვრალი.

მანანა გიუაშვილი

აზამბარში ვარ...

აზამბარში ვარ, პოეტებო, გოლიათებო, აზამბარში ვარ!
პარაკლისი მაქვს თქვენი სულის მოსაოხარი,
სანთელს დაგინთებთ ამორძალი, მოთქმის ტაძარში,
იქნებ გოდებამ დაგიამოთ სული საფლავში.
რამ დაგიგრაგნა, საბავ, საძვლე, ვაჟაუ – მირონი,
წვრილად დაჩეხეს სათამარო, ხერთვისი, გორი.
მზეს რად შეჰკვნესი უდაბნოდან, შოთავ – ვის კრძალავ,
რა ჯოჯოხეთმა აგიტირა სული ნიკალა!
მეც ხორცისა ვარ, გული მტკივა, ვღელავ, განვიცდი,
რად ვერ ისვენებს ვალმოხდილი თქვენი სულები?
დაუნჯებული წარმოვსდგები თქვენს სამსჯავროზე,
ვერც მე ვიქნები სასიკეთო მახარობელი.
მე – ჩემი სევდა მომითრევია, მისმა სიმძიმემ მიწა გაზნიქა,
მზეს შევჭიხვინებ, ხმა გამიხაფდა...
ჩვენი საშველი არა, არ იქნა.
ვინ დაგვიტოვა სამემკვიდროდ წყევლა მოლოქის?!
ისევ ახრჩოლდა,
თიხის კბოთა გასაბრძმედად – ნედლი კოცონი.
ტაკიმასხარას დაემსგავსა მთელი ზესკნელი,
თხების არვებს ჰგავს შემზარავი მათი ფუთფუთი.
გველთევზას ოქროს ქერექს ჰგლეჯენ, თვითონ ეშვებით,
სუნთქვა ჭირს ისე აამყრალეს ცა და ქვესკნელი.
წუმპეში მოველალებით, სხვები ცხოვრებას ნისიად,
ოცნებებს ვეთამაშებით, ოცნებაც – უმაქნისია,
ვირის ეჟვნებით შეგვკაზმეს, ყოფა გავირთოთ ვირული,
ვაცივით მთვარეს შეგვწირეს, სული გვაქვს გამოხიზნული.
მაგრამ ქვეყანა განა კაცის შეთითხნილია?!
ან ცისქვეშეთი ორფეხათა ჭკუით საწყობი!
მდგმურად მოვდივართ – მოკვდავთათვის ეს წეს–რიგია!
ღეშად ვბრუნდებით, კაცუნებად ნაგვემ–ნათრევი.
წყლის დასალევად ჩამოსულ მზეს ჰგავს ჩემი მამული.
დალოცვილი გვაქვს – ჯიში, ფუძე, ვაზის ნაჟური!
ერთს რომ მოგვკვეთენ, ცხრა ახალი ყრმა გვებადება,
ავაზებივით იზრდებიან, დღე – გვემატება!
ყველა ნაღვაწით შევფასდებით ერთ სამსჯავროზე,
ჰაი, ჰაი რომ არავისი არ მეხარბება!

ვინ რა იცის

რატომ ვტირივარ?!...
განა ცხოვრება ვაება და სევდა არ არის?
არც სიყვარული არ შეგშურდეს, ძმაო, არავის,
რადგან ამ ქვეყნად, ყველაფერი მიედინება,
დღეს კი! – მეფე ხარ!
ვინ რა იცის, ხვალ რა იქნება?!
ჰო, მე ვტირივარ,
ჩემი ჯვარი ცრემლიანია,
ჩემი ცხოვრება არ ემსგავსა ჯვანაკას გვირგვინს,
ვერ ავითვისე პანჩატატრა, რა გაეწყობა,
სიკეთით მოველ, სიკეთე კი სამარეს მითხრის.

***

უსამართლობამ ზეცას ძირი გააგდებინა,
გამდნარი ტყვია გაჩაჩხულა მიწის შიგანში,
პირველქმნილი და შეურყვნელი სადღაც წასულა...
ჰე, უმეცრებავ! სახედარივით რად იფშიკები?!

თორემ ჰე...

არ გეჩვენება, დედოფალო, მტკვარზე ტივია,
ტივზე ბატკანი იბრაწება, სთვლემენ ტიკები.
შაითნები და აშუღები კოცნას ჰყიდიან,
ამაღამ მტკვარი ისე მშვიდია...
თითქოს უბეში ანგელოზი მოუმშვილდია.
წუხელ კარდაკარ მომივარდა შლეგი ამური,
მთვარემ სამოსი შემოიხია,
შიშველ ძუძუზე დაეკონა ღამე მახათას,
არც ნარიყალას დაუძინია...
მოდი, ხოხობო, სიყვარულის თქეშით დამალბე,
ნეტარმა ჟრჟოლამ დაუაროს ტანში ანჩისხატს,
მე განა ვინმე ბოგანო ვარ, მოგთხოვ ოტებას,
სულში ჩაგისვამ და ტახტრევანს შემოგთავაზებ.
ბადაგის შხეფებს აგაყოლებ, ისეთს, ტუჩებზე,
პოეტს ჯერ რომ არ დაუწერია.
ყარყარა ქედანს დაგიკოცნი ისეთი ვნებით,
ხაიამს რომ არ დასიზმრებია.
თორემ, ჰე, გარბის ჟამი უბელო,
ცხოვრება განა სავსე ტიკია?!
ვალი მაქვს მიქელ–გაბრიელის, მიმეჩქარება,
მომაკითხავენ, მალე ჩემი წასვლის რიგია...

***

დგანან კაცები, თამბაქოს ბოლში გახვეულნი
ხინკალს ელიან,
და ამტკიცებენ, რომ ხინკალი ძველზე–ძველია,
დგანან კაცები ლუდსა წრუპავენ –
და ეჩვენებათ, ცივი ლუდიც, მგონი, ცხელია.

***

შენი უცნაური სურნელი დამყვება,
შენი ტანიდან ავარდნილი.
შენი უცნაური გალობა ჩამესმის,
შენი ბაგიდან დამარცვლილი.
შენი უცნაური საქციელი მაკვირვებს,
შენი უცნაური მზერა,
საწვიმარ ღრუბელს როგორ უმძლავრია,
მზე კავკასიონის მიღმა გადიწვერა.
ყველაფერს მოვერიე,
საუფლო დავილაგე,
ყველაფერს მივუჩინე ბინა,
ო... შენი სურნელი ავბედად დამყვება,
ხომ არ მოგიწვიო შინა?...

ჩემსას გადმოსახლდი

ცისკარზე ქალი შემეფეთა,
მთავარანგელოზზე სალოცავი,
მზის ჩასვლას ველარ დაველოდე,
ლანდივით ნატერფალზე ავეკარი.

ჩემი გასაჭირი გავუმხილე,
ჩემი სულის ნედლი სატკივარი,
ჩემსას გადმოსახლდი, – შევთავაზე,
კერა გამითბე, ვარდი გამისხალი.

არაო, – ისარივით დამაძგერა,
გული გამიფლითა დარდიანი,
ვერცხლი მოგიჩანსო საფეთქელთან,
ცრემლი მაღვრევინა გვარიანი.

ერთხელაც ისევ შემეფეთა,
ველარ გავუმკლავდი მაცდურს,
მოვიტაცე, სახლში მოვიყვანე,
ბედნიერება მაქუხს!

განსჯა

თუ ხერხემალიგადაგიმტვრიეს,
თუ სისხლში წყალი გაგირიეს,
სულის ნაცვლად თუ მჭვარტლი გიხრჩოლავს,
ლაგამი გმართავს,
აღარა გაქვს საფრენი სივრცე –
რაღაა ყოფა?
მოდი, ბარემ გულიც წაიღე,
გონიც წამართვი, დალოცვილო!
რაღა კაცი ვარ, ან რა თიხა, ან რა სათესლე,
თუ არც ძმარი ვარ, აღარც წყალი და არცა ღვინო!

***

ცა, ზღვაზე ჩამომჯდარიყო,
მსუბუქი დარდით დარდობდა,
მზეც მისი იყო, მთვარეცა,
ანგელოზებთან ვახშმობდა.

ჭექა–ქუხილის სასძლოსა,
ვარსკვლავთა სამოსახლოსა,
რა დარდი უნდა ჰქონოდა,
რას შესჩიოდა მტკნარობსა?!...

ტაშფანდურა

ტაშფანდურა გაუმართავთ ბეღურებს,
შემოდგომის ტაშფანდურა უდგათ,
შვინდის სახრით გამოენთო მეურმე,
შვინდის სახრე, მგონი, თვითონ უნდა.

ვერ გადაგატარებ გულზე

თმებში არჯაკელს გაგინასკვავ,
გვირილას შემოგაწნავ ყურზე,
ბაგეზე ალუბალს გადაგიფენ,
ვერ გადაგატარებ გულზე!
ფეხებში კვრინჩხი გაგებლანდება,
კაბას შემოგახევს ასკილი,
მე ღმერთს მადლობას გადავუხდი,
სიკეთისათვის ასწილად.
მოდი, ალუბლები დაგიკოცნო,
გვირილა მოგაწყვიტო ყურზე,
მოდი, ნუ გამირბი, მოდი ჩემთან,
ვერ გადაგატარებ გულზე!

აფაგ მესუდი -- აზერბაიჯანელი მწერალი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. რუსეთის მეცნიერებისა და ხელოვნების პეტრეს აკადემიის (პანი) ნამდვილი წევრი. აზერბაიჯანის მინისტრთა კაბინეტთან არსებული თარგმანის ცენტრის დირექტორი. დაამთავრა ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. მრავალი მოთხრობის, რომანის, ესეისტური წერილისა და პიესის ავტორია. ასევე გამოცემულია მწერლის თხუზულებების ორტომეული. მისი ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე. გარდა ფრიად წარმატებული ორიგინალური შემოქმედებისა, ეწევა ინტენსიურ მთარგმნელობით მოღვაწეობას. თარგმნის, როგორც დასავლურ, ასევე აღმოსავლურ ლიტერატურას, მათ შორის აღსანიშნავია სუფიური ლიტერატურის მისეული თარგმანები. ინსცენირებულია მწერლის არაერთი პიესა. მისი სცენარების მიხედვით გადაღებულია რამოდენიმე სატელევიზიო ფილმი. 2000 წელს ვენის უნივერსიტეტში დაცული იქნა სადოქტორო, რომელიც აფაგ მესუდის ნაწარმოებების განხილვას ეფუძნება. თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისათვის რამდენჯერმე დაჯილდოვებულია თურქსოის მედლებით. 2015 წელს გაიმარჯვა „საერთაშორისო სასცენო ნაწარმოებების კონკურსში“, რომელიც დაწესებულია თურქეთის კულტურის სამინისტროს, თურქსოისა და მწერალთა ევრაზიური კავშირის მიერ.

მომაყვდავი

ღია კარიდან მოსჩანდა მისი საწოლის კიდე, ზეწარი და საწოლთან მიდგმული პატარა შავი სკამი, რომელზეც ჭიქა იდგა. ეს ნახევრად სავსე ჭიქა, შორიდან პატარა აკვარიუმს მოგაგონებდათ, რადგან მასში სიძველისაგან ოდნავ ამღვრეული წყალი იყო, ჩანს წყალი დიდი ხანია არ გამოეცვალათ. ჭიქის ძირში კი რომელიღაც წყლის ბინადრის ჩონჩხივით კბილის პროტეზი ლივლივებდა.

საწვიმარი შემოსასვლელში დავკიდე. ან მის შრიალზე, ანდა სუნამოზე, რომელიც კარგახნის წინ დავისხი, იგი ამჯერადაც მიხვდა, თუ ვინ მოვიდა. ეს ჩემთვის მაშინ გახდა ნათელი, როცა საბანქვეშ მოინაცვლა გამხდარი ფეხები, რომელთაც წყლის უწონობაში ატივტივებული საგნებივით ამოძრავებდა. ბოლოდროინდელი დიეტების გამო კი საკმაოდ გაძვალტყავებულიყო.

ამასწინებზეც ჩემი მოსვლა ისე გაიგო, რომ ლოგინიდან თავი არ წამოუწევია, დერეფნის იმ ნაწილისკენაც არ გამოუხედავს, საიდანაც ჩემი დანახვა შეეძლო, უფრო მეტიც, თვალებიც კი არ გაუხელია. გასულ კვირასაც, როცა იმისათვის, რომ იგი არ გამეღვიძებინა, ოთახში თითისწვერებზე დავდიოდი, ვითომც ჩემს იქ არსებობას ვერ გრძნობდა, თვალებდახუჭული იწვა და რამდენიმე საათის განმავლობაში მომაკვდავი კაცის კონვულსიებს ასეთ მდგომარეობაში ებრძოდა. ასე, რომ სანამ მე ლოდინით გადავიქანცებოდი და შინ წავიდოდი, თვალი ერთხელაც არ გაუხელია. მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის კარგადაა ცნობილი მისი ეს სულთმობრძავის სპექტაკლი, რომელიც იმაზე იყო გათვლილი, რომ მე მოვცილებოდი ამ სახლსა და მიდამოს, ჯიუტად არ ვნებდებოდი ავადმყოფის ნებას და მთომინებით ველოდი სპექტაკლის დასასრულს.

ამჯერად მოხუცის საწოლ ოთახში ორი მნახველიც დამხვდა. ზღარბისმაგვარი ჭაღარა კაცი და ლოყებღაჟღაჟა ბიჭუნა, მგონი, მისი სოფლელი ნათესავები იყვნენ.

მამაკაცმა, როგორც კი დამინახა, ისე მომაძახა, გეგონება დიდი ხნის უნახავი ახლო ნათესავი ნახა:

– კიდევ კარგი, მოხვედი, შვილო, ისევ ცუდად გახდა.

მგონი, მოხუცი ახლა, მართლაც, ცუდად იყო. ცხვირი ანკესის კეხივით ჩამოვარდნოდა, თვალები ღრმა შავ ორმოში ჩაცვივნოდა, თითქმის არ სუნთქავდა, ნახევრად დაფჩენილი პირიდან ხახის ნახევარი მოუჩანდა.

– ხვალამდე გასტანს, – კაცმა თითქოს ყანყრატოში ჩაილაპარაკა, მერე შეტრიალდა და ფანჯარაში გაიხედა.

მე ავადმყოფის საწოლს მივუახლოვდი, დავიხარე და ყურადღებით დავაკვირდი მის სახეს.

მგონი, ამჯერად მართლა კვდებოდა... მის სუსტ სუნთქვას შორეული კვნესა ერთვოდა...

– საიდა სადაა? – ვიკითხე.

– მეზობელთან გავიდა, ექიმს უნდა დაურეკოს. ტელეფონიც გაუთიშიათ. საქმე რომ დაითარსება, ასე ხდება ხოლმე, – მამაკაცმა ეს თქვა და რატომღაც ჩემსკენ გამოიხედა.

მოხუცი ამასწინებზეც ასე იყო, თუმცა მაშინ ლაპარაკობდა. ერთმანეთთან არავითარი კავშირი რომ არ აქვთ ისეთ სიტყვებს თანმიმდევრულად ამბობდა, მერე თითქოს სულთმობრძავი და ქანცგაწყვეტილი ჩუმდებოდა, ნახევრად გახელილ თვალებს ოთახს მოავლებდა და თვალსაწიერზე მე რომ დამლანდავდა, უკმაყოფილოდ ხუჭავდა თვალებს და გონდაკარგული ისევ მომაკვდავის კონვულსიას მიეცემოდა ხოლმე.

ასეთი ბოდვების დროს მოწმე ვხდებოდით იმისა, თუ იგი ჩვენს თვალწინ როგორ აღმოჩნდებოდა ხოლმე უცხო, იდუმალ გარემოში და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას ადევნებდა თვალყურს. ასეთ მომენტებში ვერც მე და ვერც საიდა ვერ ვხვდებოდით, იგი მართლაც უგონოდ იყო, თუ ჩემი ყურადღების გაფანტვის მიზნით აკეთებდა ამას და თავს შეგნებულად იგდებდა ასეთ მდგომარეობაში.

საიდა ამბობდა, რომ იგი მხოლოდ მაშინ ვარდებოდა ასეთ მდგომარეობაში, როცა მე მხედავდა. მე როცა მივდიოდი, თურმე, გონს მოეგებოდა ხოლმე და ვითომც აქ არაფერი, ბალიშზე გადაწოლილი თავის წილ ვახშამს შეექცეოდა.

ანალოგიური კრიზისების, პულსის უკიდურესად დასუსტებისა და სახიფათოდ მისუსტებული სუნთქვის შემდეგ მრავალჯერ ყოფილა, რომ გამოძახებულ ექიმთა ბრიგადას იგი კარგად შეუმოწმებიათ და გულგრილად უთქვამთ:

– ამას ტყუილა აწუხებთ, ეს უკვე სააქაო არაა. – ექიმების ასეთი დიაგნოზის შემდეგ ჩვენ მართლაც გვგონებია, რომ იგი მომაკვდავია, მაგრამ მომდევნო წუთს, როცა იმის მოწმენი გავმხდარვართ, თუ როგორ ვნებიანად ებღაუჭება ახალგაზრდა ექიმი ქალის ფაფუკ მკლავს, რომელიც მას წნევას უსინჯავდა, ყველანი გაოგნებული დავრჩენილვართ...

ისე კი, არც მე და არც საიდას ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ მის ამ ავადმყოფურ მექალთანეობის კვალს სიკვდილის მერე ვულკანივით მინავლულ, მკვდარ თვალებშიც დავინახავდით. სულ ახლახანს, როცა მისი თითქმის ჩამქრალი მზერა გაურკვეველ სიცარიელეს იყო მიშტერებული და გამხდარი მკლავები ჩაცვივნულ მუცელზე გამხმარი ტოტებივით ეწყო, უცებ მის სანახავად მოსული მეზობელი ქალის მიმზიდველ წვივებს რომ ჰკიდა თვალი, როგორ მიაჩერდა მის ფეხებს და მერე კი ჩვენი მზერის მოტყუების მიზნით თვალი ერთობ ოსტატურად ქალის წვივებიდან მაგიდის ფეხისაკენ გააცურა. აი, მაშინ მე და საიდა მივხვდით, რომ მის ორგანიზმში მრავალი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანო ჯერაც ფუნქციონირებს.

დერეფანში ფეხის ხმა გაისმა. საიდა იყო. იგი აქოშინებული შემოვიდა და ისე, რომ არც მომსალმებია თქვა:

– ვერ დავრეკე... მანქანით ხომ არ წავიდე?

– სად უნდა წახვიდე? – ვკითხე.

– სასწრაფოში, – მიპასუხა საიდამ და მერე მამაზე მანიშნა, – ვერ ხედავ, რა დღეშია?

საიდას დაღლილი თვალები ჰქონდა. ცხვირი მამამისის ცხვირივით დაჰგრძელებოდა, თვალები ჩასცვენოდა.

– ექიმი რომც მოვიდეს, რა უნდა ქნას, შვილო!? – თქვა ზღარბ-კაცმა. – ეს უკვე საიქიოა. ლოცვანიც ვიცი. ნუ გეშინია. არსად წამსვლელი არა ვარ. ამ უბედურს ვინ ჰყავს ჩემს გარდა? დედისერთაა. დედა ჯერ კიდევ მაშინ გარდაეცვალა, ეს რომ მთლად ბავშვი იყო. მდინარეში დაიხრჩო. საწყალი დედინაცვლის იმედზე გაიზარდა. ერთადერთი ბიძაშვილი ვყავარ და აჰა, ჩამოვედი. მაგას მიწას მივაბარებ და დავბრუნდები.

კაცის ამ სიტყვებზე იატაკი შეინძრა. შეიძლება მე მომეჩვენა.

ჩვენ მერეღა მივხვდით, რომ იატაკი წეღანდელსაქეთ ზანზარებდა არა ამ კაცის სიტყვების გამო, არამედ კვნესანარევი ოხვრის შედეგად, რომელიც ლოგინში ძეგლივით გახევებულ მოხუცს აღმოხდებოდა ხოლმე შიგადაშიგ...

ავადმყოფის ამოოხვრის შემდეგ გაქრა სიამაყის ელფერი, რომელიც ბიძაშვილს დასთამაშებდა სახეზე.

– უფრო საინტერესო ამბები თურმე წინ გველოდა, – საიდამ ისე წამჩურჩულა, რომ მამისთვის თვალი არ მოუცილებია.

მგონი, ისიც მიხვდა, რომ თურმე მოხუცს, მის სიკვდილთან დაკავშირებით რაც ვილაპარაკეთ, ყველაფერი ესმოდა.

ბიძაშვილი წამოდგა და საწოლთან მივიდა. ჯიბიდან ამოიღო სარკე, რომელიც, მგონი, სოფლიდან ჰქონდა თან წამოღებული. იგი მოხუცს ცხვირთან მიუტანა. ორთქლს დააკვირდა, სარკე პიჯაკის სახელოზე შეიწმინდა, ჯიბეში ჩაიდო და თქვა:

– სულ ცოტაღაა დარჩენილი. – მერე თავის ადგილას დაბრუნდა, ჩამოჯდა და ხელები ამოიილიავა.

საიდა მოხუცთან არ მისულა, გვერდით დამიჯდა და შეშინებული თვალები მოხუცს მიაპყრო. ბოლო დროს საკმაოდ ბევრი შიში გადაიტანა. ეს გაცრეცილ ფერზე, ჩაცვენილ თვალის უპეებსა და მინავლულ ხმაში გარეული თრთოლვაზე აშკარად ეტყობოდა.

გასულ კვირას, როცა მოხუცი ჯერ კიდევ შედარებით კარგად გამოიყურებოდა, თავის ლოგინში ბალიშზე არხეინად გართხმული ცხელ ჩაის მიირთმევდა და ჩემს მოულოდნელ შეკითხვაზე უეცრად ხველა აუტყდა, ჩაი ლოგინზე დაიქცია, უკანასკნელი ყლუპი კი სასულეში გადაუცდა და ლამის გაიგუდა. საიდას თვალები პირველად მაშინ გაუფართოვდა. მაშინ მოხუცმა კარგა ხანს ახველ-ახველა და მგონი გაიგუდა კიდეც. სუნთქვა შეუწყდა და მზერაგაყინულს უსიცოცხლო თავი ბალიშზე გადაუვარდა...

მოხუცს ეს სასიკვდილო შეტევები მას მერე დაეწყო, რაც იმის შესახებ გაიგო, რომ მე რევოლუციის შემდგომ პერიოდზე რომანის წერას ვაპირებ. მანამდე იგი ოთახში ერთობ ლაღად დაბიჯებდა, მე როგორც კი მნახავდა, გახარებული ჩემიანებს მოიკითხავდა და ჩაისა და სადილზე მიმიპატიჟებდა ხოლმე. ერთ დღეს საიდამ უთხრა, რომ რომანის წერას ვაპირებ იმ პერიოდის შესახებ, როცა ის თანამდებობაზე იყო. ის, რომ მან ეს ამბავი სასიკვდილო განაჩენივით აღიქვა, მე და საიდამ იქიდან დავასკვენით, რომ მოხუცს ფერი ეცვალა და სახეზე სიკვდილის მაუწყებელი ჩრდილები აუთამაშდა. გაფითრებული მოხუცი ერთხანს ადგილზე გაიყინა, მერე წამოდგა და ოთახიდან ისე გავიდა, თითქოს იპარებაო. დერეფანში სააბაზანოს კარი ხელის კანკალით გააღო და შევიდა, კი არ შევიდა, შეიყუჟა. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, სანამ მე სახლში წავიდოდი, იქიდან არ გამოსულა.

მოხუცმა არ გაიგონოს-თქო, საიდასკენ გადავიხარე და ჩურჩულით ვკითხე:

– მომაკვდავი ადამიანი გინახავს?

საიდამ თავი გააქნია, ისე, რომ ჩემთვის არ შეუხედავს. თანაც მას ისეთი იერი ჰქონდა, თითქოს რაღაცას ნანობსო. მერე ჩვენ გავიხსენეთ, ერთი წლის წინ ამ ოთახში, სწორედ ამ საწოლში მთელი წლის განმავლობაში თუ როგორ იწვა სიკვდილნატრული დეიდა ხადიჯა და უდრეკად მისჩერებოდა თვალებში სიკვდილს, რომელიც გულისგამაწვრილებლად ითრევდა ფეხს...

გავიხსენეთ, სიკვდილის მოახლოვებისას თუ როგორ დაბერავდა ეს მხნე ქალბატონი, რომლის ნაბიჯებიც მთელ სახლს აზანზარებდა, მის ხმაზე ფრინველები ფრთხებოდნენ და ეზოში აცელქებული ბავშვები მყის გაიკრიფებოდნენ ხოლმე. სადარბაზოში მოხელთებულ დიდრონ ვირთხებს ხელის ერთი დაკვრით ისე კლავდა, ვითომც აქ არაფერიო. ახლა კი, როცა ერთწლიანი ლოდინის შემდეგ სიკვდილი თავს დაადგა, თვალები იატაკს ისე მიაშტერა, თითქოს თავის საფლავს ჩაჰყურებსო და მოზარდი ქალიშვილის მიკნავებული ხმით თქვა:

– მეშინია, შვილო, ძალიან მეშინია...

კარგად მახსოვს, მაშინ მეცა და საიდამაც დავლანდეთ სიკვდილის ბნელი კარიბჭე, ანუ იმქვეყნად ვიწრო გასასვლელი, რომელიც ამ ოთახში იყო სადღაც და შემზარავად პირდაღებულ სიცარიელეს ავსებდა. და ამ აღმოჩენამ ორივე ძლიერ შეგვაძრწუნა...ეს იყო შიში, რომელიც მოასწავებდა, რომ წინ შეუქცევადი გზაა და ამ ბნელი და უჰაერო გზით მიმავალნი აღარასოდეს ბრუნდებიან უკან...

დეიდა ხადიჯას შემდეგ ჩვენს ფართოფანჯრებიან ნათელ სახლში სასტუმრო ოთახში ლოგინში ვწრიალებდი და დიდი ხნის განმავლობაში ვიხსენებდი თუ როგორ ესალმებოდა მომაკვდავი ხადიჯა დეიდა თავისიანებს, რომლებიც მას იქ ეგებებოდნენ. ზოგჯერ წარმოვიდგენდი, რომ საიქიოს მიმავალი ქალი იქ დამხვდურებს შორიდან ხელსაც კი უქნევს...

იმ იდუმალმა სამყარომ წარიტაცა დეიდაჩემიცა და ახლობლებიც, რომლებიც სიხარულით ხვდებოდნენ მას. მე რაღაცნაირად ზუსტად ვიგრძენი როგორ უახლოვდებოდნენ და ყურადღებით აცქერდებოდნენ სახეში დეიდაჩემს ის ახლობლები, რომლებიც ეიმედებოდა საიქიოდ მიმავალს... ჩემი თვალებით ვნახე დეიდაჩემი მოულოდნელობისაგან გაფართოვებული თვალებით როგორ მისჩერებოდა ახლობელთა სულებს, რომლებიც მას ეხვივნენ გარშემო და მერე გულდამშვიდებული დეიდა მათ როგორ არხეინად აბარებდა თავის სულს...

***

– ეგ შენი რომანის გამო ჩავარდა ლოგინად, – მითხრა საიდამ მოგვიანებით, როცა სავახშმოდ ბრინჯს ვარჩევდით.

მე დამნაშავესავით ავიჩეჩე მხრები:

– ამაში განა ისეთი რა ნახა?...

ის, რომ მოხუცი ასე შესძრა და შეაძრწუნა ჩემმა გადაწყვეტილებამ და რომ იგი მზად იყო, თუნდაც თავისი სიკვდილის ფასად მიეჩქმალა და მიემალა მრავალი ცოდვა თუ დანაშაული, რომელიც რეპრესიის წლებში, ანუ იმ პერიოდში მოხდა, როცა იგი თანამდებობის პირი იყო, უკვე იმას ნიშნავდა, რომ წინ გაცილებით რთული და სერიოზული სამუშაო მელოდა... როგორც ჩანს მოხუცს შიში ჰქონდა, რომანის წერის დროს ფარდა აეხდება ბევრ საიდუმლოებით მოცულ ცოდვას, თუ მძიმე დანაშაულს, რომელსაც, საფიქრალია, რომ დეიდა ხადიჯასაც კი არ უმხელდა. მე ჯერ კიდევ ბავშვობაში დეიდა ხადიჯასგან მქონდა მოსმენილი, მან მძიმე ომის წლებში როგორ დაამთავრა ინსტიტუტი, მაშინვე როგორ დაბრუნდა სოფელში და ახალგაზრდული ენთუზიაზმით როგორ ჩაუდგა სათავეში აზერბაიჯანის განაპირა სოფლის დიდ კოლმეურნეობას. იქიდან კი სულ მალე რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ გაამწესეს და თურმე ცხენზე ამხედრებული სოფელ-სოფელ დაიარებოდა და ხორბლის აღებას უწევდა კონტროლს. ამგვარი შემოვლებისას ადგილზევე ხვრეტდნენ ახალგაზრდა ბიჭებს, რომლებმაც თავი აარიდეს სამამულო ომში წასვლას. ქვრივი ქალების, განსაკუთრებით ლამაზების მიმართ „განსაკუთრებულ მზრუნველობას“ იჩენდა და უნამუსოდ ეკურკურებოდა. ჯერ კიდევ მაშინ ვგრძნობდი, რომ ეს ყველაფრის პირში მთქმელი ქალი ბევრ რამეს ვერ ამბობს, ზოგიერთ ამბავს ისე მოხერხებულად უვლის გვერდს, როგორც უძირო უფსკრულებსა და ქარაფებს. ამიტომაც ამ მოხუცის მიმართ ინტერესი ერთი ათად გამეზარდა.

...როცა ჩვენ ბრინჯი ცეცხლზე შემოვდგით და ოთახში დავბრუნდით, ბიძაშვილი საწოლის ფერხთით იჯდა, ხელები ისე გადაეჯვარედებინა, თითქოს წიგნს კითხულობსო და ყურანიდან „იასინის“ სურას ამბობდა ჩურჩულით.

ბიჭს ხმადაწეული ტელევიზორის წინ სავარძელში ჩასძინებოდა.

მოხუცი წეღანდელ მდგომარეობაში იყო... ახლა მისი სახე რუსული ზღაპრების საშიში პერსონაჟების, უკვდავი კაშეისა და მისთანების სახეს წააგავდა....

მე საწოლს მივუახლოვდი და მის სახეს ახლოდან დავაკვირდი.

მოხუცს სახე წეღანდელს აქეთ შეუსაბამოდ შეცვლოდა... სახის მონაკვეთები დაპატარავებოდა, ლოყები ისე შეკუმშვოდა, თითქოს ცხელ ტაფაში მოუხრაკავთო.

მან ჩვენი შემოსვლა იგრძნო და გაძვალტყავებული თითები, თითქოს პიანინოზე უკრავსო, ჩავარდნილ მუცელზე აითამაშა, მერე კი, თითქოს ვიღაცას რაღაცას ანიშნებსო, უცნაური ფიგურები შემოხაზა.

საიდა და მე ჩვენს ადგილებს დავუბრუნდით საწოლის პირდაპირ, მაგიდასთან. აქედან მისი გამხდარი ხელები უდაბნოს სულისშემხუთავ სიცხეში დამწვარ ჯოჯოებს წააგავდა... სწორედ ეს ჯოჯოები მესიზმრა წინა ღამეს... ხელში ცალი ჩექმა მქონდა მომარჯვებული და მთელი ღამე ბნელ ოთახებში მათ დავდევდი მოსაკლავად, მაგრამ ვერცერთი ვერ მოვკალი. ეს უსწრაფესი ქვეწარმავლები მთელი ღამე კედლებზე დახტოდნენ, სინათლის სისწრაფით ძვრებოდნენ ძველი იატაკის ნასვრეტებში და იქ გამალებით ღრღნიდნენ რაღაცას. ასე, რომ მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, ვერცერთი ჯოჯო ვერ მოვიხელთე...

ბოლო დროს ამ მოხუცთან დაკავშირებით არეულ, ნახევრადბნელ სიზმრებს ვხედავდი. ამ სიზმრებში მისი რუხი ღანდი გამუდმებით თავს მადგა და თითქოს მოუთმენლად ელოდა ჩემს გამოღვიძებას. მერე გამალებული იქექებოდა ჯიბეებში და იქიდან ამოღებულ პატარა-პატარა ქაღალდის ნაფლეთებს შორის რაღაც ერთობ მნიშვნელოვან დოკუმენტს ეძებდა. ეს ყველაფერი მე ძლიერ მღელვარებას მგვრიდა და მაშფოთებდა კიდეც...

***

...ხადიჯამ ჩაი მოიტანა და მაგიდაზე დადო. თავად კი მაგიდას კუთხიდან მიუჯდა და სწორედ დედამისის, დეიდა ხადიჯას ტონით თქვა:

– სავახშმოდ ბრინჯს ვხარშავ.

ბიძაშვილმა თითქოს საიდას სიტყვები გვიან გაიგო. ყურანიდან სურას კითხვა დაამთავრა და სკამი მაგიდისაკენ მოაჩოჩა, მოხერხებულად მოკალათდა, მერე, ერთი ყლუპი ჩაი მოსვა.

– რა ვქნათ?... – იკითხა და მურაბიანი ჭურჭელი თავისკენ მიიწია.

მე ჩაი მურაბის გარეშე დავლიე. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ოთახის დამძიმებულ სუნს მურაბაშიც შეეღწია.

ჭაობისა და შმორის ეს მყრალი სუნი, დანამდვილებით ვიცოდი, რომ იმ თხილითვალება, ტანმორჩილ მოხუც მომვლელ ქალს ეკუთვნოდა, რომელიც მაშინ მოდიოდა, როცა საიდა სამსახურში იმყოფებოდა. თუ არ ვცდები, ეს ქალი შორეულ ნათესავადაც კი ერგებოდათ. სუნი საიდაზეც ცუდად მოქმედებდა. იგი, როგორც კი შინ ბრუნდებოდა, კარ-ფანჯრებს აღებდა და ოთახებს საგულდაგულოდ ანიავებდა. მერე ჰაერის განმაახლებელი დეზადორანტის ღილაკს აჭერდა თითს და ცდილობდა, შიგნით გამეფებული მძიმე სუნი ამ სურნელით ჩაენაცვლებინა. პირიქით კი ხდებოდა. თითქოსდა ჭერზე დაკიდებული შმორის სუნი დეზადორანტის სურნელს ისრუტავდა და რამოდენიმე წუთში ამ სურნელის ნატამალიც არ იგრძნობოდა ოთახებში.

ზოგჯერ ჭერზე ფარდასავით დაკიდებულ ამ შმორის სუნს, თითქოს, ვხედავდი კიდეც და როცა ოთახებში დავდიოდი, როგორც ცივი ცეცხლის ენებს შორის ისე მიმოვდიოდი ამ სუნში.

როგორც მომვლელი ქალი ამბობდა, იგი ოთახებს დღეში რამდენჯერმე ანიავებდა. ორმაგი ფანჯრები, რომლებიც ზღვის მხარეს იყვნენ განლაგებულნი, დღეში ორჯერ – დილით და საღამოს იღებოდა და ზღვის თევზის სუნით გაჟღენთილი ჰაერი ოთახებში შემოიჭრებოდა ხოლმე, მაგრამ ჭაობის სუნს, რომელიც მოხუცის საწოლის ირგვლივ იყო დაგუბებული, ზღვის ჰაერიც ვერაფერს აკლებდა.

შეიძლება მომვლელი ქალი არ ცრუობდა. იგი ამბობდა, რომ ამ სუნს თავისი ფერი გააჩნია. იგი ყვითელია და დილის ცვარივით გადაჰკვრია ოთახების კადლებსა და ავეჯს. იგი უტყუარი საბუთივით კედელზე გვითითებდა, რომელიც გაერეცხა და მისი უწინდელი ფერი მაინც ვერ აღედგინა. მერე კი სინანულით დასძენდა ხოლმე:

– ერთ დროს ეს შპალერი ღია ცისფერი იყო... ახლა კი ყვითელია. და ეს სიყვითლე უბრალოდ ფერი კი არაა, არამედ სუნიცაა, სიძველის სუნი...

***

– მგონი აღარ სუნთქავს... – საიდა ავადმყოფისაკენ დაიხარა და გაცრეცილი ლოყები მოხუცს თითქმის ცხვირზე მიადო.

აქედან რომ შეხედავდი, მოხუცის ნახევრად დაფჩენილი პირი იდუმალებით მოცულ გამოქვაბულის შესასვლელს მოგაგონებდათ, რომელსაც დიდი ხანია ფეხი არ გაჰკარებია და ამიტომაც შეძაძრწუნებლად გადახრიოკებულა...

– არა, ჯერ სუნთქავს... – ბიძაშვილმა მეორე ჭიქა ჩაი სულმოუთქმელად გამოცალა და ჭურჭელში დარჩენილი მურაბის მოხვრეპას შეუდგა. მერე კი წამოდგა და წიგნის თაროზე დალაგებული ძველი საქაღალდეების თვალიერებას მოჰყა, თანაც შიგადაშიგ თავისთვის დუდუნებდა:

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ხოზე ადეიშვილი – 80



80 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი პოეტი ხოზე ივანეს ძე ადეიშვილი. ამის გამო საქართველოს საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

პატივცემულო ხოზე!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან მხცოვან, ამაგდარ შემოქმედს და გილოცავენ დაბადების 80 წლისთავს.

თქვენი სამწერლო დებიუტი 1960 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „ქუთაისში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსი „გალაკტიონის პორტრეტისთვის“. მას შემდეგ თქვენი ლექსები პერიოდულად ქვეყნდება ქართულ სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ქართველი მკითხველი, გემოვნებიანი და მომთხოვნი მკითხველი დააინტერესა თქვენმა პოეტურმა კრებულებმა („გრემს“, „იმერეთის მონატრება“, „სიყვარული გრძელდება“, „სიყვარულის ახსნა-1“, „სიყვარულის ახსნა-2“...), რომლებშიც გატაცებით უმღერით სამშობლოს, ქართველ ერს, მის წარსულსა და აწმყოს, განსაკუთრებით კი – მერმისს. თქვენს პოეტურ ნააზრევს გულწრფელობა და უშუალობა გამოარჩევს სხვათაგან. თქვენს შემოქმედებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ლექსები, რომლებიც მშობლების ნათელ ხსოვნას მიუძღვენით. რამდენი სევდა და ტკივილია მათში დაბუდებული...

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ დიდი ხნის განმავლობაში მწერალთა კავშირში მუშაობდით და მის წინსვლას ემსახურებოდით. იყავით მწერალთა კავშირის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე და ხმალამღებული იბრძოდით, რათა ვერაფერს შეელახა მწერალთა რიგების სიწმინდე, ქართველი მწერლის სახელი...

თქვენ მუდამ ახლო მეგობრობა გაკავშირებდათ ქართული სიტყვის კორიფეებთან და, ალბათ, ესეც განაპირობებდა თქვენს საოცარ მომთხოვნელობას საკუთარი პიროვნებისადმი, საკუთარი შემოქმედებისადმი.

ღვაწლმოსილი პოეტი დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენით. მონიჭებული გაქვთ საქართველოს მწერალთა კავშირის პრემია.

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს მხცოვან შემოქმედს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით ზრდას.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ხოზე ადეიშვილი

არ ენდო ეშმას

არ ენდო ეშმას, არ წაყვე ფეხით,
ეშმასთან სახლში არ დაწვე გვერდით.

ცხოვრებას უნდა აუღო ალღო,
ღმერთის იმედად არ დარჩე მარტო.

უნდა იყიდო მანქანა ძველი,
რაღაცას უნდა მოკიდო ხელი.

არ დათმო შენი წინაპრის ფუძე,
იშოვე სადმე პატარა კუთხე.

ნუ წახვალ მაღლა, ჩამოდი ციდან,
არ გადახვიდე არჩეულ გზიდან.

წამით არ უნდა დახუჭო თვალი,
ჩხუბის დროს რისკზე არ დადო თავი.

მალე გადავა ღრუბელი მძიმე,
მხარის დამჭერი მონახე ვინმე.

არ გაალაღო მტრობა და შური,
იმქვეყნად წმინდად წაიღე გული.

არ ენდო ეშმას, არ წაყვე ფეხით,
ეშმასთან სახლში არ დაწვე გერდით.

წუთისთვის ვცხოვრობთ...

ზაქრო მამასახლისს

გამჩენთან ხალხის რიგი დგას მუდამ,
განგების ნებით მივყვებით უფალს.

ცაში ბინადრობს ღვთისმშობლის ხატი,
მაღლაა ჩვენი სამეფო ტახტი.

ასეა მუდამ, ვართ ცოდვის დღეში,
შიშით ვართ დღემდე სიკვდილის ხელში.

სიკვდილი ყველას ამარცხებს ძალით,
ემორჩილება კაცი და ქალი.

უფალთან მიდის, არ დაგწყდეს გული,
მიწაში ხორცი, ზეცაში სული.

სულყველა კვდება მუდმივად ბოლოს,
ამქვეყნად ერთი წუთისთვის ვცხოვრობთ.

მივდივარ უკან...
აწი იმედი მექნება შენი,
ბოლომდე შენთან ვიქნები ვიქნები დიდხანს.
სიკვდილი ჩემთვის არ არის ძნელი,
ჩემი სურვილით დავტოვებ მიწას.

მე არ მჭირდება იმქვეყნად ფანი,
ნუ გამაჩერებთ, პატივი დამდეთ.
კეთილ საქმეში ამიბით მხარი,
უფალთან მარტო დამტოვეთ ცალკე.

არ ჩამაყოლოთ მიწაში ლოდი,
არ შეურიოთ ნაღველი ხმაში,
ტირილის ნაცვლად გამართეთ დოღი,
დამასაფლავეთ ცეკვით და ტაშით.

როგორც ხართ ახლა, ისე იყავით,
ყელამდე სავსე კეთილი შურით,
ჯერ ორმოცი და მერე წლისთავი,
გადამიხადეთ დაფით და ზურნით.

ასე იყო და ასეა დღემდე,
მაგრად ჩაკიდეთ ერთმანეთს ხელი,
იმღერეთ ჩემი სიკვდილის შემდეგ,
არ დამანახოთ თვალებზე ცრემლი.

დარდს ნუ გაივლებთ, შვილებო, გულში,
ვინ დარჩენილა ამქვეყნად მუდამ,
ასე მგონია, მოვედი გუშინ,
გამეღვიძა და მივდივარ უკან.

ელენეს

არ ვაზვიადებ, ვიცი სრულებით,
ერთგულებაა შენთვის მთავარი,
საქმის კეთება გიყვარს ბუნებით,
გამჭრიახობით და სითამამით.

ცოდვილი ქვეყნის რომ არ გაქვს შიში,
მადლობას გიხდი ბევრი რამისთვის,
დადგომა გიყვარს ყოველთვის ჩრდილში,
ნაკლებად ზრუნავ შენი თავისთვის.

პატარა ბავშვი დიდივით ფიქრობ,
პატარობიდან ეძებ მეგობრებს.
ჩვენ ვუნაწილებთ ერთმანეთს სითბოს,
გულით ვამხნევებთ ერთიმეორეს.

ერთმანეთს ვგავართ სულისკვეთებით,
ერთმანეთს ვუგებთ სიტყვის უთქმელად,
ვიდრე მთლიანად არ დავიღლებით,
ბოლომდე ვივლით ასე გულწრფელად.

ჩვენ ვრჩებით, როგორც ამხანაგები,
შენთან ვიდგები, არ წავალ არსად,
როცა შენ დიდი ქალი გახდები,
მერე ვიქნები მშვიდად და ლაღად.

თა-ლს

როგორც ვიყავით ბოლომდე ისევ,
უნდა გავიყოთ ტკივილი მძიმე.
ვფიცავარ, მე რომ მიყვარხარ ისე,
ვერ შეგიყვარებს ვერასდროს ვინმე.

კარგად შეხედე, გააღე თვალი,
კეთილი შური შემომრჩა შენი,
გარედან უნდა დავიცვათ თავი,
ერთმანეთს უნდა შევუწყოთ ხელი.

სხვა გზას ვერ ვხედავ, გვერდიგვერდ დავდგეთ,
ყველამ აკეთოს, ვისაც რა აწყობს,
აღმა და დაღმა დინებას წავყვეთ,
მეტი იმედით ვუყუროთ აწმყოს.

როგორც ვიყავით ბოლომდე ისევ,
უნდა გავიყოთ ტკივილი მძიმე,
ვფიცავარ, მე რომ მიყვარხარ ისე,
ვერ შეგიყვარებს ვერასდროს ვინმე.

ვლოცულობ შენზე...

დღემდე ყოველთვის ვიყავით ერთად,
რა დამავიწყებს, შენ როცა შეგხვდი,
შენი აჩრდილი დამყვება ყველგან,
შენა ხარ ჩემი პატარა ღმერთი.

ანჩისხატის წინ ვლოცულობ შენზე,
შენთვის ვარსებობ და შენთვის ვიღწვი,
ნაკლებად ვფიქრობ ხვალინდელ დღეზე,
მაწუხებს უფრო წარსულზე ფიქრი.

მუდმივად მინდა, შენთან რომ ვიდგე,
მუდმივად მინდა, შენთან რომ დავრჩე,
სიმშვიდეს ვეძებ ყოველდღე ისევ,
არავინ, როგორც ვიყავი ადრე.

იმედი დამრჩა მარტოდენ ბედის,
ვერ დავამშვიდე ერთბაშად გული.
შერჩეული მაქვს ყვავილი შენთვის,
როდის შეგხვდები მაქვს ერთი სული.

ცისკენ...

ახალი პორტის შენებას ვიწყებ,
დაბრონილი მაქვს ბილეთი ცისკენ,
ჩემო ძვირფასო, ცოტა ხნის შემდეგ,
ერთად მივაღწევ სასურველ შედეგს.
მხარის დაჭერა მჭირდება შენი,
ცაში მუდმივად დავრჩები ზევით,
ახალი პორტის შენებას ვიწყებ,
დაბრონილი მაქვს ბილეთი ცისკენ.

შალვა საბაშვილი

ტრიუმფული სვლა

იგი შემოდის ცეცხლით და ზარით,
რისხვით და სევდით, როგორც
ზმანება,
იგი შემოდის, ვით შორი მგზავრი
და უჩვეულო გამოცხადება.

იგი შემოდის, ვით მინიშნება
შთაგონებათა ციურ ძალაზე,
როგორც გრძნობათა დაღვრა
ნისლებად
და პოეზიის სუნთქვა ხალასი.

ის, უცნაური და უნებური
ზიარი ვარდის, მზის და დაფნების
არის სათქმელით დამძიმებული,
მაგრამ მსუბუქი ზეაღმაფრენით.

მოაქვს უცნაურ ხაზთა ვარაყი
და ძალზე ხშირად ფიქრებს მიისევს,
უბრალო, როგორც იგავ–არაკი
და შთამბეჭდავი სიმფონიისებრ.

იგი დასცინის ღმერთების კიჟინს,
როგორც გამხელა ვინმეს შეცდომის,
და მის თვალებში კიაფობს შიში
ხან ზეატყორცნის, ხან
ვერშეწვდომის.

მას ეშინია თავისი გულის,
და ტყის უცები აშრიალების,
უყვარს დღეები, მზით დაქარგული
და დაღალული ფერი თვალების.

მოდის და მზერას წინასწარ გზავნის
ცის სილურჯეში, როგორც ხატება,
იგი შემოდის, ვით შორი მგზავრი
და უჩვეულო გამოცხადება.

თავისუფლება

თავისუფლება ნების –
წვდომა ცის ლურჯი ზოლის!
თავისუფლება ვნების!
თავისუფლება ქროლის!
ყველა სიმდიდრე ჭკნების
უნაშთოდ, უსიმბოლოდ;
შენ მის გარეშეც ძლებ, ის
შენ ფიქრთ გიძარცვავს მხოლოდ.

თავისუფლება აზრის!
თუნდ ცამ კვლავ ჩამოსთოვოს!
სული სივრცეებს ჰგაზრის –
სურს თავის სივრცე ჰპოვოს.
იგი მჩქეფარებს – ჩქარა
წალეკოს ყველა ხიდი!
ნუ შეეხებით – არრა
არსებობს სულზე დიდი!

არ შეიძლება ჰქოლოთ –
სულს ჰმართავს სულ სხვა ჟამი.
ხალხი რა არის?
მხოლოდ
თითოეულთა ჯამი,
ერთის მოსპობა ვინ თქვა!
ერთში ძალაა ჭურვის!
ერთით იწყება ბევრი –
ნუ გამორჩება ნურვის.

მე ვიყურები შორით
და სულ სხვა მიზნებს ვკონი,
არა ერთით და ორით –
ასი ხმით მძლავრობს გონი.
რად მინდა ყალბი ფერი?
ხალას ფერებით ვტკბები:
ხალხი, სამშობლო, ერი,
მხარე, ბილიკი, გზები.

თავს ნურვინ მახვევს ნურას –
(სულელურ თამაშს ჰგავს ეს!),
დავწაფებივარ სურას,
ლურჯი ლაჟვარდით სავსეს,
თავისუფლება ნების!
ფლობა ცის გაშლილ ბროლის,
თავისუფლება ვნების!
თავისუფლება ქროლის!

რა არის პოეზია?

მაინც რა არის პოეზია? –
სიზმრებში ცურვა,
ყვავილთა კონის ფიქრთა ზღვაში
ჩაძირვა, ვლება,
ხან – სივრცით ტკბობა,
მზენარევი ნისლის მობურვა,
ხან – გრანიტივით ჩაკირული
აზრი და ნება.

მაინც რა არის პოეზია?
გრძნობათ დახვეწა,
ურიცხვი ტკბობით მოფენილი
უსასრულო ცა,
ის, რაც პოეტმა ბევრჯერ ლოცვით
ღმერთს შეახვეწა,
ღმერთმა კი ისევ მოსავლელად
მას გადულოცა.

მაინც რა არის პოეზია?
შორი წლებიდან
გამოხმობილი ჩვენებანი,
ჟამს რომ ებარა,
იგი ცხოვრების უთვალავი
ხვეულები და
იმავ ცხოვრების უბოლოო
მდინარებაა.

კიდევ რა არის პოეზია?
ღელვა წყნარი,
ტკბობა და სევდა ჩაჰკირვია
რომელს ზიარად,
ნოემბრის ტყეში მოფენილი
ფოთოლი მჭკნარი,
მთები, ველები, ცისკიდური –
პოეზიაა.

პოეზიაა მზის ამოსვლა,
აისი, ბინდი,
წვიმა, თოვლ–ჭყაპი, წყნარი ზეცა,
ქარი მკვნესარი,
ჯაგით მოსილი გორაკები,
ყვითელი შინდი,
ტყე მოშრიალე –
პოეზია აი ეს არი!

პოეზიაა, როცა სულში
წყნარად შემოვა
სივრცე, ყოველმხრივ გადაშლილი
უხვად, მზიანად,
პოეზიაა ყოველივე,
რაც გარშემოა,
და არსებობაც –
უდიდესი პოეზიაა.

ზოგჯერ სიზმართა ტყე–ველებში,
ზოგჯერ ყვავილში!
ელავს ლაჟვარდი – დაპენტილი
ღრუბლის ქულებად,
პოეზიაა, თუ ათრთოლებს
სულის კლავიშებს –
მე სხვანაირი პოეზია
არ მეგულება!

მარად ასე იელვარებს!

ძოწია თუ ფირუზია, ლალია
თუ აქატია,
საქართველო ცისფერ გლობუსს
დამატკბობლად ახატია.

სულ ამ ნახატს დასტრიალებს,
რაც კი ფიქრთა ნაკადია,
საფიქრია, საბრძოლია, სამზერია,
სახატეა.

სისხლისმღვრელი ბევრი ომი მისთვის
გადანახადია,
რადგან ვინ არ უმზერს შურით:
მომხიბვლელად ახატია.

ბევრმა შვილმა სიცოცხლე და
ღამეები დაგათია,
ვერც ფრესკებით ამოგწურა,
ვერც რითმებში ჩაგატია.

სულს შეყრილი ხურვებაა,
მოუხდელი სახადია,

უცქერ ზღვიანს, ტყეებიანს, კორდიანს
თუ მაღალმთიანს.

მსოფლიო კი – კეთილად გმზერს თუ
სხვა მიზნებს სახავს ტიალს,
ვერ ამოშლის, ვერ წაუვა – ახატია,
ახატია...

... მარად ასე იელვარებს, ძველთაგან
დანაქადია:
ფირუზია, ბადახშია, უწმინდესი
აქატია...

კლავიშები

ისევ მოსწყურდათ თარეში თარებს
(ვინ მიუჩინოს ბინულებს ბინა?);
წითლად ირეკლავს სამრეკლო
მთვარეს
და მინაზებით მინათებს მინა.

მივყვებით აღმართს და გვიცდის
ღმერთი,
ქსოვს და წააგავს ფიქრი ფეიქარს,
როგორ გადახმეს ცის გადაღმეთი –
ყოვლის ბოლო და სიმწიფე იქ არს.

ტრიალებს დისკო. მიდის კოცონი,
ბინდი შინდისფერ ბაგეს აგებებს
და მეწამული სიზმრების ფონი
აგებს და ფანტავს ხშირ ქანდაკებებს.

რაა ამ მზარდი კაეშნის ფარდი?
დარდი ვარდივით გადაიშალა,
შენც შეღამების ეკრანს მოჰფარდი
და სევდამ მძაფრი მოიცა ძალა.

სულ სხვაა ღამის ბგერათა ძგერა,
ტაბუ – ბურუსი მუსიკისაკენ!
წკრიალებს კარი, კრიალებს კერა,
მისნები სჭვრეტენ მიზნებს
მისაკვლევს.

ამხელს განგება დაფარულ ჰანგებს,
გვჩხრეკს ღამის სული ბრძენი
მოგვისებრ,
თან უნებლიეთ, ან იქნებ განგებ
შეუცნობლობის ჯოგებს მოგვისევს.

ხოლო ჩვენ ვტკბებით. უცნაურ ძალით
გაკრთება ძილი. მსოფლიო სუფევს.
ვესევით ნაკრძალს; მწყობრი ციალით
შორეთი მგზავრებს შავ შრიალს უფენს.

მეც შემცვლის სივრცე, გვერდით
რომ მიძევს,
ცას ჩავთვლი სახლად – ახლად
ვიშვები,
მხარე კი ბრწყინავს, დრო
გარსებს იძენს
და სევდას კლავენ კვლავ კლავიშები...

დაატყდი მეხად!

გაიხსნა სივრცე. თვითმფრინავმა
აკრიფა შასი.
წარსული შეწყდა. კვლავ დაიწყო
ათვლა თავიდან.
ამგვარი წუთის ვერ შეიგრძნოს
ნამდვილი ფასი
ვერვინ მის გარდა, ვინც შორეთის
გზებით წავიდა!

ლაჟვარდებისკენ! არ ეგების
გადავადება,
შეუცნობია ყველაფერი, თუმც
თვალწინ გვიდევს,
რაც უკან რჩება, უსასრულოდ
პატარავდება,
რაც წინ იელვებს, მოელვარე
სიცოცხლეს იძენს.

წინ! ჭენებაა უსასრულო, ნიავქარული,
შესძელ მწვერვალთა შეჟრჟოლება,
გრიგალთა გრეხა,
თუ მოგელიან, ააცრემლე მძაფრ
სიხარულით,
ხოლო თუ არა, – მით უმეტეს,
დაატყდი მეხად!

შეფეთება იდუმალთან

დღეს, როდესაც იდუმალ უცხო
ძალებს ენებათ
ნატვრა გამაოგნები სამყაროთა ხსნის,
ჩემს წინაშე გაბრწყინდა მოულოდნელ
მშვენებად ის.

როს უნორჩეს ფერთა ჭავლს
სანეტარო სისხამთა
ასხურებდა ლაჟვარდი გარს
მოჯარულ მთებს,
სულის ოკეანიდან შთაგონება
ისხამდა ფრთებს.
მზერა ტრფობას აფრქვევდა
დაუვიწყარ ქალიშვილს,
თან კითხვათა კასკადებს
აღავლენდა ცად:
„სად აღდგება სიტურფე, რასაც
მარად ქარი შლის,

სად?“
უმწყობრესად ნაგები, მზაფრავი
სილამაზე,
თითქოს დროს არც ჩაევლოს,
ისევ იდგა წინ,
ვინ იზრუნა ამაზე, ვინ იზრუნა ამაზე,

ვინ?
იდგა მიღმეთავლილი ტალღისებრი
ნათება,
ვგრძნობდი – სივრცის ბურუსში
ახალ სანახს შლის
გრძნეულ ფიქრთა გადამწველ
აზრად აქათქათება –
ის!

რუსთაველის გამზირი

უთვალავ მშვენიერ ქალწულთა
ჩქერიდან
გრძნობათა სურნელი მეფრქვევა
სიოსებრ,
მიწიერ სიტურფით და ციურ ფერითაც
იგრძნობა სრულიად სხვა სიგენიოსე.

ფერების კასკადი, ფორმათა მუსიკა,
თბილისის გულში ვარ, მივყვები
რუსთაველს,
სიცოცხლის მათრობელ ცისფერ
ბურუსიდან
მესხმება თავბრუ და ზედიზედ
მნუსხავენ.

მკლავების თეთრ ელვებს თუ
თმების შადრევანს,
კაბების შრიალსაც სწყურია ამიხსნას,
რომ სულის სიბერე ჯერ კიდევ ადრეა,
ჯერ უნდა მზერამაც ბევრი რამ
ამოხსნას.

„სად ვიყავ?“ – მოვიცლი ფიქრების
ქენჯნისთვის,
„რად დავთმე, რაც ერთად სულს და
გულს წარიღებს?“
ვიღაცამ წარმტაცი გამართა მეჯლისი
და ამდენ თრობისთვის საფასურს
არ იღებს.

ივნისი გაშლილა საოცარ განძივით,
მე ვეტრფი ამ ხანას, სამზეო –
სადარეს,
ნეტარებს თბილისის მთავარი გამზირი
და მშვენიერების გაკვეთილს ატარებს.

სამყაროს ბილიკზე

ამდენი რამის მხილველი
თანდათან უფრო ღვინდები,
მთელი სამყაროს წინაშეც
სულ უფრო წარმოჩინდები,
გაგანათებენ აისნი,
გაგამუქებენ ბინდები,
გახმოვანდები მრავალჯერ,
ბევრჯერაც გაირინდები,
მოგაჯადოვებს ტყისპირზე
აყვავებული შინდები,
ომებით ჰპოვებ სიმშვიდეს,
ამღვრევით დაიწმინდები,
ველარაფერი დაგფარავს,
ნელინელ გამოვლინდები,
ყოველგვარ ვალებს ისტუმრებს
შენთა ნისქვილთა მინდები.
ზღვად მოასკდები მიდამოს,
მდინარედ წარმოდინდები,
რაც კი შენს ირგვლივ იქნება,
ყველაფერს ჩაეწინდები,
ვინც მოგინდომებს დასაზღვრას –
ყველას შორს გაუფრინდები...
ო, ჩაწვდენაო საწყისთა –
უფრო და უფრო მინდები!

ნიკოლოზ იოსებიძე – 80

80 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მეცნიერი და მწერალი ნიკოლოზ იოსების ძე იოსებიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ნიკოლოზ!

ჩვენო კარგო თანამოკალმევ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები სიყვარულით მოგესალმებიან ღვაწლმოსილ შემოქმედს და გილოცავენ დაბადების 80 წლისთავს.

თქვენი ლიტერატურული დებიუტი 1972 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „ნიანგში“ პირველი ლექსები გამოაქვეყნეთ. მას შემდეგ თქვენი ლირიკული ლექსები, მოთხრობები, საბავშვო და სატირული ნაწარმოებები, სამეცნიერო მონოგრაფიები პერიოდულად იბეჭდება ქართულ პერიოდიკაში, ქვეყნდება ცალკე წიგნებად.

მართლაც რომ ჩინებული საბავშვო პოეტი ბრძანდებით. პატარებისთვის განკუთვნილი თქვენი ლექსების კრებულები („ჭორიკანა მელა“, „ვარსკვლავმა რა გვიჩურჩულა“, „საბავშვო ლექსები“...) შეიყვარეს ნორჩებმა. ეს ლექსები მათ სამშობლოს წრფელ და უანგარო სიყვარულს ასწავლის, უნერგავს ვაჟკაცობას, კეთილშობილებას, ქედუხრელობას, ზრდის მართალ და პატიოსან მოქალაქეებად.

თქვენს კალამს ეკუთვნის ლირიკული და სატირული ლექსების კრებულები „გულისთქმა“ და „ინტერვიუ“, მოთხრობების კრებული „ცრემლიანი ღიმილი“...

ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ბრძანდებით და დიდი გატაცებით, ბრძენი მინდიასავით იკვლევთ საქართველოს ფლორას, სამკურნალო მცენარეების მახასიათებლებს. არაერთი მონოგრაფიული გამოკვლევისა და სამეცნიერო შრომის ავტორი ხართ. საყოველთაო ინტერესი გამოიწვია თქვენს მიერ შედგენილმა მეურნის ენციკლოპედიური ხასიათის ვრცელმა ნაშრომმა „ყველაფერი საოჯახი მეურნეობის შესახებ“, აგრეთვე მონოგრაფიამ „ყველაფერი სამკურნალო მცენარეთა შესახებ“. თქვენი ავტორობით გამოიცა 12 „მემამულის კალენდარი“. ყველას გვახსოვს, რა უნარიანად უძღვებოდით „კვირის პალიტრის“ ისეთ საინტერესო რუბრიკას, როგორიცაა „მამულ-დედული“.

სხვადასხვა დროს მუშაობდით ახალი სამგორის საშუალო სკოლის მასწავლებლად, გარდაბნის მეურნეობაში აგრონომ-ბრიგადირად, საქართველოს ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტში ნიადაგმცოდნედ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-მუშაკად.

ბატონო ნიკოლოზ!

ყველას გვახსოვს რა მძიმე განსაცდელების გადატანა მოგიხდათ ბოლო წლებში, მაგრამ არ გატეხილხართ და არ დაცემულხართ. ქართული შემართება და ვაჟკაცობა დაგეხმარათ ტრაგედიის დაძლევაში...

კიდევ ერთხელ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს საყვარელ კოლეგას, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და საქართველოს გაბრწყინებას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

დავით იაკობიძე – 75

75 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი პოეტი დავით რაფიელის ძე იაკობიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო ბატონო დავით!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან მხცოვან ამაგდარ შემოქმედს და გილოცავენ დაბადების 75 წლისთავს.

პირველი ნაბიჯები სამწერლო ასპარეზზე 1968 წელს გადადგით, როდესაც გაზეთ „ჭიათურის მაღაროელში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლექსი „საჩუქარი“. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები პერიოდულად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენი პოეტური კრებულები „გამოზამთრება“ და „აისი“ გულწრფელობითა და უშუალობით გამოირჩევა. ამ კრებულებში შესული ლექსების ავტორი ხომ სამშობლო ქვეყნის ერთი გულანთებული ჭირისუფალია. ამიტომაცაა, რომ თქვენი თითოეული ლექსი, თითოეული სტრიქონი მამულის ბედზე ღრმად დაფიქრებული გულმდუღარე პოეტის აღსარებას წარმოადგენს, რომელიც მედგრად უხვდება ყველა ქარბორბალასა და მეხთატეხას და მომავლის იმედი აქვს, ივერთა მიწის გაბრწყინებისა და გადარჩენის იმედი...

თქვენს ლექსებზე არაერთი მშვენიერი სიმღერა შეიქმნა.

უყურადღებოდ არც პატარები დაგიტოვებიათ, რომლებიც სიამოვნებით კითხულობენ მათთვის განკუთვნილ თქვენს საბავშვო ლექსებსა და ზღაპრებს.

სასახელო შრომითი ბიოგრაფია გამშვენებთ. სხვადასხვა დროს მუშაობდით ჭიათურმარგანეცის სამმართლოს მაღაროს ცვლის უფროსად, თბილისის მეტრომშენის გვირაბგამყვანად, იყავით გაზეთ „მეტრომშენებლის“ ლიტერატურული მუშაკი და ყველგან ადამიანურ სითბოს, კეთილშობილებას თესავდით, ყველგან პროფესიონალიზმით გამოირჩეოდით.

ბატონო დავით!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ქართულ სიტყვასთან ჭიდილში გაჭაღარავებულ შემოქმედს, ღირსეულ ვაჟკაცსა და მოქალაქეს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით წინსვლას.

საქართველოს მწერალთა კავშირი

კამილა-მარიამ კორინთელი – 85

85 წლისა შესრულდა ღვაწლმოსილი ქართველი მწერალი კამილა-მარიამ ნიკოლოზის ასული კორინთელი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ქალბატონო კამილა!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები პატივისცემით მოგესალმებიან ჩინებულ შემოქმედს, ქართული მწერლობისა და კულტურის დაუცხრომელ პოპულარიზატორს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში – დაბადების 85 წლისთავს.

თქვენი შემოქმედებითი ცხოვრება ათწლეულების განმავლობაში მჭიდროდ და განუყოფლად დაუკავშირდა ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას“, რომელმაც წინარე საუკუნის 60-იანი წლებიდან მყარი ბალავარი ჩაუყარა ქართული მწერლობის პროპაგანდასა და პოპულარიზაციას, ქართული მწერლობის მთარგმნელთა მობილიზაციას, მათ დაინტერესებას ქართული მწერლობით, მისი წარსულითა და აწმყოთი. და თუ ამ ჟურნალის რედაქციაში უაღრესად საქმიანი შემოქმედებითი ატმოსფერო სუფევდა, თუ ნებისმიერ მთარგმნელს გულისხმიერების, კეთილშობილების, ადამიანური სითბოს საბურველში ხვევდნენ, ამაში თქვენი დიდი დამსახურებაც იყო.

არაა შემთხვევითი, რომ თქვენი სამწერლო დებიუტიც ამ ჟურნალის ფურცლებზე შედგა, როდესაც 1959 წელს პირველი თარგმანები გამოაქვეყნეთ.

მას შემდეგ უაღრესად მნიშვნელოვან მთარგმნელობით საქმიანობას ეწევით. რუსულად თარგმნეთ ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, გრიგოლ რობაქიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, გერონტი ქიქოძის, სერგო კლდიაშვილის, გიორგი შატბერაშვილის, ნოდარ დუმბაძის, გურამ ასათიანის, რევაზ ჯაფარიძის, აკაკი გეწაძის, ჭაბუა ამირეჯიბის, გიორგი ციციშვილისა და სხვათა ნაწარმოები. ქართულად კი ფედერიკო გარსია ლორკასა და მარინა ცვეტაევას შემოქმედების ცალკეული ნიმუშები თარგმნეთ.

თქვენს თარგმანებს გამოარჩევს ენობრივი და სტილისტური სიმდიდრე და პლასტიკა, სახეობრივი და სამეტყველო ფაქტურის ძალა და ხატოვნება. მათში ზედმიწევნით ზუსტადაა გადმოცემული ორიგინალის სული და არსი, დაჭერილია ტონი და მუსიკა, გაცოცხლებულია ფრაზა და ინტონაცია.

უნაზესი ლირიზმითაა გამსჭვალული თქვენი ლექსები, რომლებშიც ნათლად კრთის ქალური სინაზე და კდემამოსილება, ცხოვრებისეული მსოფლგანცდა.

არაერთი ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური წერილის ავტორი ბრძანდებით, რომლებშიც გაცხადდა თქვენი დახვეწილი ლიტერატურული ალღო და გემოვნება.

წლების განმავლობაში მუშაობდით გაზეთების „მოლოდიოჟ გრუზიისა“ და „ზარია ვოსტოკას“ კორესპონდენტად, ეწეოდით პედაგოგიურ საქმიანობას. 1957 წლიდან თქვენი ბედი სამუდამოდ დაუკავშირეთ ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას“, იყავით ამ ჟურნალის კორექტორი, ლიტმუშაკი, განყოფილების გამგე, პასუხისმგებელი მდივანი, მთავარი რედაქტორის მოადგილე. არჩეული იყავით ჟურნალისტთა კავშირის წევრად, მწერალთა კავშირის რუსული ლიტერატურის სექციის ბიუროს წევრად. იყავით საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დეპორტირებულ მესხთა კომისიის წევრი, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წამყვანი სპეციალისტი.

დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენით. მონიჭებული გაქვთ ივანე მაჩაბლის სახელობის პრემია, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის წოდება.

ძვირფასო კამილა!

გულით გვიხარია, რომ წლები ვერარას აკლებს თქვენს შემოქმედებით პოტენციალს. ამის დასტურად ისიც იკმარებდა, თუ რა ჩინებულად თარგმნეთ ქართული მწერლობის კლასიკოსის გრიგოლ რობაქიძის ურთულესი რომანი „გველის პერანგი“...

კიდევ ერთხელ პატივისცემით გილოცავთ საიუბილეო თარიღს ძვირფას მეგობარს, ამაგდარ შემოქმედს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და დიდ ადამიანურ ბედნიერებას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

მეცნიერი, მოღვაწე, ქრონიკერი

პროფესორ ნელი ღუმბაძის დაბადებიდან 100 წლისთავის გამო

ნელი ღუმბაძე ოზურგეთის მაზრის სოფელ შემოქმედში აზნაურ ივანე ღუმბაძისა და ლიზა ქიქოძის ტრადიციულ ოჯახში 1917 წლის 17 ივლისს დაიბადა.

იმ დროის კვალობაზე კარგად გაწყობილ ოდა-სახლს და ეზო-მარანს არასოდეს აკლდა სტუმარი და ნათესავ-მოკეთე. ივანე ღუმბაძეს, დუშეთის მაზრის სახელმწიფო მოხელეს, მუდამ ხალხი ეხვია გარს, უყვარდა პოეზია, პოლიტიკაზე მსჯელობა და საუბარი. თავად მენშევიკური პარტიის წევრს მიუღებლად მიაჩნდა ბოლშევიკური იდეალები. ოჯახის დიასახლისი - ლიზა ქიქოძე გამორჩეულად კეთილშობილი, დარბაისელი ქალი ბრძანდებოდა, ქართული სიტყვიერების დიდი დამფასებელი და მოყვარული. მშობლები თავიანთ სამ შვილს - გივის, ნელის და ალექსანდრეს ქვეყნის, ხალხისა და წიგნის სიყვარულით ზრდიდნენ. მამას განსაკუთრებით ეამაყებოდა ღვთითნაჩუქარი ქალიშვილი, ხშირად მოიხმობდა სტუმრებთან და იოსებ გრიშაშვილის ლექსს ათქმევინებდა:

„თქვენ ამბობდით, - საქართველომ
რაგინდ ბევრი გაიბრძოლოს,
ის რუსეთის კოლონიად
გადიქცევა მაინც ბოლოს?!..“

ცხადია, მაშინ არავინ იფიქრებდა, რომ ეს პატარა „დეკლამატორი“ ქართველ მწერალთა შემოქმედების მკვლევარი გახდებოდა; უბრალოდ, თავად ოჯახის სულისკვეთება და განწყობილება იყო შეურიგებელი კოლონიურ რეჟიმთან, კომუნისტურ იდეალებთან, ამიტომ ბავშვებიც ამ სულისკვეთებით იზრდებოდნენ და ლექსებსაც შესაფერისს სწავლობდნენ.

თვალი, რომელიც „ყველაფერს ხედავდა“, არც ამ ბედნიერ ოჯახს ტოვებდა უყურადღებოდ. 37 წელს ივანე ღუმბაძე „ხალხის მტრის“ ბრალდებით დააპატიმრეს და შემდეგ დახვრიტეს კიდეც. მანამდე კი 13 წლის ასაკში ოჯახის უფროსი ვაჟიშვილი გარდაიცვალა. დედის უნუგეშო სასოწარკვეთამ და გლოვამ შეძრა მოზარდი გოგონას ფაქიზი სული. დარჩა სევდა უკურნებელი... იგი მის ხასიათს შეენივთა, ხოლო მერე და მერე თვისებად ექცა.

1934 წელს ნელი ღუმბაძემ დაამთავრა ოზურგეთის პედაგოგიური ტექნიკუმი და ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

ქუთაისი - ქართული სულით გაჯერებული ეს კოლორიტული ქალაქი სტუდენტი გოგონასათვის „რომად და ათინად“ იქცა. სწორედ აქ, ამ ქალაქში შეახვედრა განგებამ იგი „მარად ჭაბუკად“ გარდასახულ ქართული ლექსის რაინდს - ლადო ასათიანს, ლადომაც უმალ შეიცნო თავისი სწორფერი - „სევდისარი“ (პოეტს ხასიათის გამო მეგობრისათვის ასეთი მეტსახელი შეურქმევია; იგი მას სხვა ეპითეტებითაც ამკობდა: „ღრუბლების ფერია“, „კეთილო დაო“ და სხვ.). ისინი მარტო ერთი თაობის, ერთი წრის ადამიანები კი არ გამოდგნენ, არამედ - სულიერი ერთობითა და მხოლოდ ამ ორისთვის ცნობილი იდუმალებით შეკრული მოყვასნი. ლადოს ხიბლავდა მეგობარი ქალის უბრწყინვალება, სულის სიმაღლე, რომანტიკული ხედვა, თხემით ტერფამდე ქათქათა სიწმინდე, იდეალისტობა.

ცხრამეტი წლის ლადო ცნობილ მწერალ ქალს, იმ დროის ძალზე პოპულარული რომანის - „ლიანა ლორდიას“ ავტორს, საფო მგელაძეს, სწერს: „თქვენს წიგნებს სიხარულით ვკითხულობ, მიუხედავად ცალკეული ნაკლოვანებისა თქვენს ლიანას ჩვენი სასწავლებლის გოგონები და ვაჟები აღმერთებენ. ჩემი ამხანაგი ნელი დუმბაძე, რომელმაც თქვენ წერილი მოგწერათ, უდავოდ ლიანას განსახიერებაა - აი, აქ გაიმარჯვეთ თქვენ, ძვირფასო მწერალო!..“

ლადომ ნელის სახით იპოვა „იდუმალ ზრახვათა მესაიდუმლე“. ეული, მარტოსული ახალგაზრდა თავის განცდებს, გრძნობებს, შეხედულებებს თამამად ანდობდა, უძღვნიდა ლექსებს, წერდა წერილებს.

ამ წერილებსა და ლექსებში სრულად ჩანს ლადოს სტუდენტობის პერიოდის სულის მღელვარება, ერთი „შავთვალა გოგონას“ სიყვარულით გამოწვეული ფორიაქი, რომელიც ნელი დუმბაძის უახლოესი მეგობარი გახლდათ.

ეს ლექსები და წერილები, აგრეთვე სხვა სტუდენტი მეგობრებისადმი მიძღვნილი ლექსები ქალბატონმა ნელი დუმბაძემ და ცნობილმა ჟურნალისტმა, ბატონმა შოთა ქურიძემ, რომელიც ასევე ლადოს უახლოესი მეგობარი იყო, ერთ პატარა წიგნად შეკრეს, წინათქმა და შენიშვნები დაურთეს და გამოსცეს. ამ წიგნში ნელი დუმბაძესთან და შოთა ქურიძესთან ერთად ლადოს ლექსების ადრესატები არიან: მარო ბარჯაძე, მარუსია ტრაპაიძე, არკადი კაჭკაჭიშვილი, ზინა ხონელიძე, ქეთევან ხონელიძე, ქეთევან ხუნდაძე და თინათინ ყიფიანი.

აღნიშნულის შესახებ აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე წერს: „... პოეტის კეთილმა მეგობრებმა, რომლებიც ასე უყვარდა ლადო ასათიანს, ბევრი გააკეთეს მისი ხსოვნისათვის. აჭარაში ახლახან გამოცემული წიგნი - „ყმაწვილკაცობის ფურცლები“ ერთი უპრეტენზიო დადასტურებაა „ადრე წასული კაცისადმი“ უანგარო სიყვარულისა, მასზე ზრუნვისა და ერთგულებისა. ეს წიგნი გვიჩვენებს, რომ ლადო ასათიანს ბევრი მეგობარი ჰყავდა თანაკურსელ სტუდენტთა შორის. მათ უანგაროდ უყვარდათ თავიანთი ტოლსწორი. ისინი უეჭველად გრძნობდნენ მომავალი დიდი პოეტის ტალანტს, კეთილშობილებას, სისპეტაკეს, პირდაპირობას და ცდილობდნენ გაეზიარებინათ მისი იმდროინდელი პირადი სულიერი დრამატიზმის ტკივილები. ამ მეგობართაგან ლადო ასათიანისთვის ყველაზე მეტი გააკეთეს მიხეილ ალავიძემ, ნელი დუმბაძემ, შოთა ქურიძემ. ისინი რომ არა, ჩვენ ბევრი რამ არ გვეცოდინებოდა პოეტის არა მარტო ჭაბუკური წლების, არამედ საერთოდ, მთელი მისი შემოქმედებითი ცხოვრების არაერთ უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტის შესახებ“ (კრიტიკული ეტიუდები, თბ., 1981, ტ.II, გვ. 254).

ლადო ასათიანისა და ნელი დუმბაძის კურსზე (1934 წლის ქუთაისის პედინსტიტუტის №33 ჯგუფი) აკადემიურად ძლიერი სტუდენტები სწავლობდნენ. სწორედ ამ კურსიდან გამოვიდნენ ცნობილი მოღვაწეები: გიორგი შალამბერიძე, ნელი დუმბაძე, ლევან კიკნაძე, ავქსენტი მიშველაძე, შოთა ქურიძე, მიხეილ ალავიძე და სხვ.

აქ ლექციებს კითხულობდნენ ცნობილი მეცნიერები და პედაგოგები, მაგრამ სტუდენტები განსაკუთრებული სიმპათიით იყვნენ განწყობილი ერთი მათზე 4-5 წლით უფროსი ახალგაზრდა ლექტორის მიმართ. მათ მუდამ მისი ხილვა, მასთან ყოფნა ეწადათ. ეს იყო გიორგი ჯიბლაძე.

დიდია ბატონი გიორგის ღვაწლი ამ ახალგაზრდების წრთობა-ჩამოყალიბებაში. ცნობილია მისი განსაკუთრებული ზრუნვა მომავალ ნიჭიერ პოეტზე - ლადო ასათიანზეც.

ინსტიტუტდამთავრებული ახალგაზრდა სპეციალისტი ნელი დუმბაძე სამუშაოდ აჭარისწყლის სკოლაში მასწავლებლად იქნა გამწესებული.

„... აჭარისწყალი, აჭარისწყალი! ნეტავ, აჭარის ღვინო გერქვას შენ!“ - წერდა ლადო მეგობარს...

სოფელმა შეითვისა და შეიყვარა ახალგაზრდა მასწავლებელი. მოსწავლე გოგობიჭები ზეაწეული ხელებით მოაფრიალებდნენ ხოლმე ფოსტას მასწავლებელთან - უკვე ცნობილი პოეტის ლადო ასათიანის წერილებს.

1941 წელს ნელი დუმბაძე დააწინაურეს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის კაბინეტის გამგედ. 1943 წელს იგი მეცნიერ-თანამშრომლად იწყებს მუშაობას აჭარის მხარეთმცოდნეობის სახელმწიფო მუზეუმში.

პატარა ქალაქში უმალ შესამჩნევი გახდა ეგზომ ნატიფი ქალიშვილის შემომატება. ახალგაზრდა ქალი მრავალთა მხედველობის არეში მოექცა, გაჩნდნენ ახალი მეგობრები, მისი ღირსების დამფასებლები.

ნელი დუმბაძე აქტიურად ებმება ქვეყნის ლიტერატურულ-კულტურულ ცხოვრებაში. აქვეყნებს კრიტიკულ წერილებს, სტატიებს, თეტრალურ რეცენზიებს.

სწორედ ამ დროს იბეჭდება ლევან გოთუას „მეფე ერეკლე“, რომელსაც ბათუმის დრამატული თეტრი დგამს. ნ. დუმბაძე თავის მოსაზრებებს ავტორს უზიარებს. საპასუხო ბარათში ლევან გოთუა ნელის სწერს: „ ჰოი, ნეტავ, საქართველოში ქართველ მწერლებს ასეთი მკითხველები ბლომად და მრავლად ჰყავდეთ!..“ ეს იყო 1944 წელს. უფრო გვიანდელ ბარათში მწერალი ასე ეხმიანება მას: „... თქვენი შენიშვნები ჩემს ნაწერებზე მით უფრო საინტერესოა, რომ თქვენ უბრალო მკითხველი არ ბრძანდებით... და, რაც მთავარია, გულწრფელობა შესანიშნავად შემოგინახავთ... ვაგლახ, რომ ჩვენთან ამით ბევრი ვერ დაიქადნის...“

მწერლისა და მკითხველის ეს მიმოწერა გულითად მეგობრობასა და საქმიან თანამშრომლობაში გადაიზარდა.

1949 წლის სექტემბერში ნელი დუმბაძე სამუშაოდ გადადის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტიტში ქართულიენისა და ლიტერატურის კათედრაზე, რომელსაც წლების განმავლობაში თვალსაჩინო მეცნიერი, პროფესორი ალექსანდრე ჩავლეიშვილი ხელმძღვანელობდა. ნელი დუმბაძე ა. ჩავლეიშვილის ღირსეული კოლეგა აღმოჩნდა. მათმა ერთობლივმა საქმიანობამ მკვიდრი ნიადაგი შექმნა მომავალ ფილოლოგთა კადრების მომზადებისათვის. ამავე საქმეს ხელს უწყობდა მათი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული ახალგაზრდა შემოქმედთა წრე და ხელნაწერი ჟურნალი, რომლის ფურცლებზეც პირველი ნათლობა მიიღეს დღეს უკვე სახელგანთქმულმა პოეტებმა და მწერლებმა, მეცნიერებმა და საზოგადო მოღვაწეებმა: ნოდარ ჯალაღონიამ, გული სალუქვაძემ, იური ბიბილეიშვილმა, შოთა ზოიძემ, შუშანა ფუტკარაძემ, რეზო ართილაყვამ, ცისანა ანთაძემ, თენგიზ რამიშვილმა, დავით თევდორაძემ და სხვ., აწ განსვენებულმა ზურაბ გორგილაძემ და ნოდარ ძირკვაძემ. წარმატებული მეცნიერები არიან, აგრეთვე, ნ. დუმბაძის ყოფილი სტუდენტები, პროფესორები: მამია ფაღავა, ოთარ ფუტკარაძე, შორენა მახაჭაძე, მაია ბარამიძე, მალხაზ ჩოხარაძე და სხვ.

1956 წელს ნ. დუმბაძე იცავს დისერტაციას ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე - „რაჟდენ გვეტაძის შემოქმედება“, 1975 წელს კი - დისერტაციას დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე - „ „ქართული სიმბოლიზმი“.

იგი პირველი დოქტორ-პროფესორია აჭარაში მოღვაწე ქალთა შორის.

მისი პროფესიონალიზმი, ფართო განათლება და ერუდიცია, მაღალი გემოვნება, ლექციის კითხვის თავისებური მანერა განსაკუთრებულ ინტერესს აღუძრავდა ახალგაზრდობას საგნისადმი.

მისმა მეცნიერულმა ნაღვაწმა, გამოკვლევებმა და წერილებმა დამსახურებული ავტორიტეტი მოუხვეჭა მას ქართველ მწერალთა შორის. განსაკუთრებით აჭარაში მოღვაწე მწერლები, მისი ყოფილი სტუდენტები, ყველა, ვინც ქალბატონ ნელის პირადად იცნობდა, ხაზგასმული მოკრძალებითა და ღრმა პატივისცემით არის მისი ხსოვნისადმი განწყობილი.

1977 წელს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ლიტერატურის კვლევაში შეტანილი წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ნელი დუმბაძე ღირსების ორდენით დაჯილდოვდა.

2003 წელს იგი აბუსერისძე ტბელის სახელობის პრემიის ლაურეატი გახდა.

პროფესორი ნელი დუმბაძე გარადაიცვალა 2005 წლის 27 აპრილს. იგი დაკრძალულია მისი მშობლიური შემოქმედის თემის სოფელ ჭალის სასაფლაოზე.

უფალმა ნათელში ამყოფოს მისი ამაღლებული სული.

ლუბა გიბილეიშვილი

***

საქართველოს მწერალთა კავშირმა ბულგარეთის მთარგმნელთა კავშირისგან სასიხარულო ცნობა მიიღო : ,,ძვირფასო კოლეგებო, ბულგარეთის მთარგმნელთა კავშირის საბჭოს სახელით გვინდა გაუწყოთ, რომ 30 სექტემბერს მთარგმნელთა საერთაშორისო დღეს კომპეტენტურმა ჟიურიმ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება : მაყვალა გონაშვილი დაჯილდოვდეს სპეციალური პრიზით ბულგარელი კლასიკოსის ,,ხრისტო ბოტევი"ს ქართულად მაღალ მხატვრულ დონეზე თარგმანისათვის.

ტეოდორა ცანკოვა მხატვრული ლიტერატურის სექციის ხელმძღვანელი

ივო ანოვი ბულგარეთის მთარგმნელთა კავშირის თავმჯდომარე

31 ოქტომბერს ბულგარეთის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩის დუსისლავა ივანოვას მიწვევით მაყვალა გონაშვილი ბულგარეთის საელჩოს ესტუმრა. შეხვედრას ესწრებოდნენ : ქალბატონი დუსისლავა, საელჩოს კონსულტანტი დანჩო მიჩევი, საქართველოში ბულგარეთის სათვისტომოს აღორძინების თავმჯდომარე რაინა ბელევა და საქართველოს უცხოეთის განყოფილების უფროსი ვლადიმერ სარიშვილი. ბულგარეთის ელჩმა დუსისლავა ივანოვამ მადლობა გადაუხადა პოეტ მაყვალა გონაშვილს ხრისტო ბოტევის ნაწარმოებების თარგმანისა და საქართველოში მისი პოპულარიზაციისთვის და მიულოცა ღირსეული გამარჯვება.

ისაუბრეს ქართულ-ბულგარული ურთიერთობების მომავალ გეგმებზე.

***

11 და 12 ოქტომბერს საქართველოს მწერალთა კავშირს სტუმრობდა აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის დელეგაცია, აზერბაიჯანის მინისტრთა კაბინეტთან არსებული თარგმანის ცენტრის დირექტორის, სახელმოხვეჭილი მწერლის და მთარგმნელის აფაგ მასუდის ხელმძღვანელობით. დელეგაციაში შედიოდნენ ცნობილი მწერლები იაშარი და ეთიმად ბაშქეჩიდი.

საქართველოს მწერალთა კავშირში ჩატარდა ქართულად თარგმნილი თანამედროვე აზერბაიჯანული ლიტერატურის ანთოლოგიის პრეზენტაცია, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია. შეხვედრა გახსნა და ამ ღონისძიების მნიშვნელობაზე, ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხთა მეგობრობაზე ისაუბრა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ბაღათერ არაბულმა. სიტყვით გამოვიდნენ აზერბაიჯანის ელჩი საქართველოში დურსუნ ჰუსაინოვი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი გურამ ოდიშარია, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე ალეკო გრიგალაშვილი, მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარეები რევაზ მიშველაძე და მაყვალა გონაშვილი, აგრეთვე ბადრი ქუთათელაძე და ზაალ ბოტკოველი. საქართველოს მწერალთა კავშირის გადაწყვეტილებით ქართულ-აზერბაიჯანულ ლიტერატურაში შეტანილი წვლილისათვის, აღნიშნული, აზერბაიჯანული ანთოლოგიის მთარგმნელს იმირ მამედლის მიენიჭა ქართული კულტურის ამაგდარის წოდება, ხოლო აზერბაიჯანის მინისტრთა კაბინეტთან არსებული თარგმანის ცენტრის დირექტორს აფაგ მასუდს, რომელიც აპირებს აზერბაიჯანში ქართული პროზის და პოეზიის ანთოლოგიების გამოცემას, ქართული კულტურის დესპანის წოდება, ამავე შეხვედრაზე გადაწყდა, რომ საქართველოში გამოიცეს ყოველკვარტალური ქართულ-აზერბაიჯანული ლიტერატურული, ორენოვანი ალმანახი, რომელიც ხელს შეუწყობს ქართულ-აზერბაიჯანული მწერლების დამეგობრებას და პროპაგანდას და რომელშიც დაიბეჭდება აზერბაიჯანელი მწერლების თარგმანები ქართულად და ქართველი მწერლების ნაწარმოებების თარგმანები აზერბაიჯანულად. ალმანახს დაიფინანსებს აზერბაიჯანული მხარე. ამასთან ერთად, გადაწყდა, რომ საქართველოს მწერალთა კავშირში აღდგება აზერბაიჯანული ლიტერატურის სექცია, რაც ასევე მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება ქართულ-აზერბაიჯანული კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის გაღრმავების საქმეში.

სექციას უხელმძღვანელებს საქართველოში მცხოვრები პოეტი და მთარგმნელი, აზერბაიჯანის და საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი ალახვერდ თახლალი ახმედოვი.

***

6 ოქტომბერს საქართველოს მწერალთა კავშირში მოეწყო ქართველ ებრაელთა პოეზიის ანთოლოგიის პრეზენტაცია, რომელშიც გამოქვეყნებულია 65 პოეტის ლექსები: აქედან მხოლოდ სამი პოეტი, მედეა ჯანაშვილი, ია პალტაგაშვილი-ხანუქაშვილი და ლია აჯიაშვილი-მიხელაშვილი ცხოვრობს საქართველოში, დანარჩენი მწერლები, საქართველოდან წასვლის შემდეგ, უმეტესად დასახლდნენ მათ ისტორიულ სამშობლოში, ნაწილი კი სამწუხაროდ – ევროპისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში მიმოიფანტა... ეს ანთოლოგია არის ქართველ და ებრაელ ხალხთა მეგობრობის საგალობელი, წიგნში კარგად არის ნაჩვენები ის დიდი სიყვარული, რაც ებრაელებს გააჩნიათ თავისი სამშობლოს – საქართველოს მიმართ, ჩანს ის ტკივილიც და საოცარი ნოსტალგიაც რაც მათ თან გაჰყვათ საქართველოსა და მათი წინაპრების საფლავების მიტოვების შემდეგ...

ამ პრეზენტაციაზე ისრაელიდან სპეციალურად ჩამოვიდა პოეტი და ბიზნესმენი, დიდებული პიროვნება – რობერტ აჯიაშვილი, რომელსაც საქართველოს მიმართ დიდი სიყვარული გააჩნია და ამ სიყვარულს მთელი მისი ოჯახი გულით ატარებს...

შეხვედრამ განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია.

შეხვედრა გახსნა და ქართველ და ებრაელ ხალხთა დიდ მეგობრობაზე ისაუბრა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ბაღათერ არაბულმა.

სიტყვით გამოვიდნენ ისრაელის ელჩი საქართველოში

შაბთაი ცური, საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარეები რევაზ მიშველაძე და მაყვალა გონაშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი გურამ ოდიშარია, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე ალეკო გრიგალაშვილი, ჯამლეტ ხუხაშვილი, ზაირა დავარაშვილი, ბადრი ქუთათელაძე, გივი შაჰნაზარი, ნოდარ კობერიძე, ვაჟა აზარაშვილი, მადონა კალანდია, კობა არაბული და სხვები. პრეზენტაციის ბოლოს, მწერალთა კავშირის გადაწყვეტილებით ქართველ ებრაელ პოეტთა ანთოლოგიის გამოცემისათვის და საერთოდ, ქართულ-ებრაულ ურთიერთობების გაღრმავებისათვის მწერალი და მეცნიერი შალვა წინუაშვილი დაჯილდოვდა ქართული კულტურის ამაგდარის დიპლომით, ხოლო პოეტი რობერტ აჯიაშვილი – ქართული კულტურის დესპანის დიპლომით, ამასთან ერთად რობერტ აჯიაშვილი და ისრაელში მცხოვრები მწერალი ნუგზარ ჯანაშვილი არჩეული იქნენ საქართველოს მწერალთა კავშირის საპატიო წევრებად! შეხვედრაზე დაისახა საქართველოში და ისრაელში ქართველი და ებრაელი მწერლების ურთიერთობის გაღრმავების სამომავლო გეგმებიც.

***

1893 წლის 25 აპრილს ყრმა გენიოსის ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტი განჯიდან თბილისს გადმოასვენეს. როგორც იონა მეუნარგია წერდა, დიდუბის ეკლესიასთან ხალხმა პოეტს მუხლმოყრით სცა თაყვანი.

საფლავზე გადახდილი იქნა მცირე პანაშვიდი და წარმოითქვა რამდენიმე სიტყვა. ლექსები წაიკითხეს აკაკი წერეთელმა, ილია ჭავჭავაძემ და სომეხთა ახალგაზრდა პოეტმა ჰოვანეს თუმანიანცმა. არ იმარხება, არა კვდება, არ იბინდება, აწ და მარადის ცოცხალია მისი დიდება. ასეთი სიტყვებით ეთხოვებოდა თუმანიანი ბარათაშვილს.

3 ნოემბერს სწორედ თუმანიანის სახლი იყო მასპინძელი ახალგაზრდა მწერლებისა და პოეტების შემოქმედებითი საღამოსი. ღონისძიება „თბილისური მოზაიკა" ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან 200 წლისთავს მიეძღვნა. საღამო გახსნა თუმანიანის სახლის დირექტორმა გისანე ჰოვსეფიანმა. სიტყვით გამოვიდნენ : მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ბაღათერ არაბული და მხატვართა კავშირის თავმჯდომარე გურამ ცერცვაძე, პრემიერის მრჩეველი მწერალი გურამ ოდიშარია. გაზეთ ,,ვრასტანი"ს რედაქტორი ვან ბაიბურთი, წმინდა გევორგის ეკლესიის სულიერი მწყემსი მამა სამუელ თოროსიანი, მერუჟან შაჰუმიანი და სხვები. მხატვარმა ივანე კეზუამ მწერალ გივი შაჰნაზარს საჩუქრად გადასცა მისი პორტრეტი. სიტყვით გამოვიდნენ და ლექსები წაიკითეს ახალგაზრდა მწერლებმა: ქეთევან ნათელაძემ, ირაკლი შამათავამ, ნიკა ქვრივიშვილმა და მონიკა ქურქჩიანმა. დიდი ინტერესით დაათვალიერეს ახალგაზრდა მხატვრების: გიორგი ბერიაშვილის, კახაბერ კუხალაშვილის, ლევან ჭაბუკიანის,

ნატალი ლაშხის, ივანე კეზუას, ელა სააკიანის, არმენ ჰოვანისიანის, არტემ ანტანოსიანის, გაიანე მანასიანის და კრისტინა ბაგდაციანის ნამუშევრები. მაყვალა გონაშვილმა ,,ოქროს ფონდი"-ს სახელით საბერძნეთში მოღვაწე ხატ-მწერს ელგუჯა მაღულარიას დიპლომი გადასცა და ქართული კულტურის დესპანის წოდება მიულოცა .

როგორც არაერთხელ, არც ამ უმნიშვნელოვანესი ღონისძიებით დაინტერესებულან ქართული ტელევიზიები.

ქარლო კობერიძე

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ მეტად მტკივნეული დანაკარგი განიცადა.

გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე კარლო ალექსანდრეს ძე კობერიძე.

კარლო კობერიძე მთელი მისი არცთუ ისე ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში ქართული სამწერლო ოჯახის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და კოლორიტული წარმომადგენელი იყო და ათწლეულების განმავლობაში ამაყად, შეურცხვენლად ატარებდა ქართველი მწერლის საპატიო სახელს...

კარლო კობერიძე დაიბადა 1931 წლის 27 ნოემბერს გურჯაანის რაიონის სოფელ შაშიანში. 1951 წელს, საშუალო განათლების მიღების შემდეგ, სწავლა განაგრძო თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომელიც 1957 წელს დაასრულა.

კარლო კობერიძე სხვადასხვა დროს მუშაობდა ჟურნალ „ცისკრის„ ლიტერატურულ მუშაკად, საქართველოს კინოსტუდიის სცენარისტად, საქართველოს მწერალთა კავშირის რეგიონალური ორგანოს - ჟურნალ „ალაზანის„ მთავარ რედაქტორად, გაზეთ „გურჯაანის„ მთავარ რედაქტორად და ყველგან დიდი პროფესიონალიზმით, კაცთმოყვარეობით, უშუალობითა და პირდაპირობით გამოირჩეოდა.

კარლო კობერიძის დებიუტი სამწერლო ასპარეზზე 1952 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „პიონერში„ დაიბეჭდა მისი პირველი ლექსები. მას შემდეგ მწერლის ნაწარმოებები - მოთხრობები, ლექსები, პიესები, კინოსცენარები, მხატვრული თარგმანები სისტემატურად ქვეყნდებოდა ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად, იდგმებოდა თეატრების სცენაზე.

კარლო კობერიძის პროზაული კრებულები, ისეთები, როგორიცაა „მეწყერი„, „გვალვა„, „ვენახიდან სახლამდე„, „მიწა მერვე სართულიდან„, „ჩემო ცაგახსნილო ვენახო„, „ზღაპარი დაკარგულ სიმღერაზე„, „მთვარის გადაბრუნების ღამე„, „ოფოფების გადაფრენა„, „ მწყრები იანვარში„ ქართველი მკითხველის ცხოველი დაინტერესებით სარგებლობს. ეს კრებულები ყურადღებას იპყრობს მართლაც რომ თავანკარა ქართულით, საგნებსა თუ მოვლენებში ნვდომის უნარით, ხალასი იუმორით... უმთავრესი კი ის გახლავთ, რომ კარლო კობერიძის თითოეულ სტრიქონს ივერთა მიწის უსაზღვრო და უნაპირო სიყვარული გასდევს ლაიტმოტივად, სიამაყე და განცდა იმისა, რომ ქართველად დაიბადა, დიდი და სათაყვანებელი წინაპრების შთამომავლად, რომლის სწრაფვა თავისუფლებისკენ მართლაც რომ სამაგალითოა და სანიმუშო...

კარლო კობერიძის პოეტური კრებულები „ველი, როგორც მეგობარს„ და „თქვენო კეთილშობილებავ!„ ორგანულად ერწყმის მის პროზას და ავტორის ნიჭიერების მშვენიერი დასტური გახლავთ.

კარლო კობერიძის თვალთახედვას არასოდეს გამოჰპარვია ნორჩი თაობის პრობლემები და მათ არაერთი მნიშვნელოვანი კრებული უძღვნა („ყვანჩო„, „მოთხრობები ბიჭებზე„, „სათიბის მარწყვი„). პატარები ამ ნაწარმოებებით ეზიარებიან ქართული სიტყვის მადლსა და მირონს, გაისიგრძეგანებენ, თუ რა საგანძურის პატრონები არიან და თუ არიან, როგორ უნდა მოუარონ ამ საგანძურს, როგორ უნდა უბერონ სული იმ სიწმინდეებს, რომლებმაც დღევანდლამდე მოიყვანა ჩვენი სამშობლო.

კარლო კობერიძემ ჩინებულად თარგმნა სელმა ლაგერლოფის „ნილსის თავგადასავალი„ და „ჩრდილოეთის ზღაპრები„.

კარლო კობერიძის სცენარით შეიქმნა სრულმეტრაჟიანი ქართული მხატვრული ფილმი „მოუსვენარი არდადაგები„. მისი პიესები წარმატებით დაიდგა მესხეთისა და რუსთავის თეატრების სცენაზე.

მწერლის ნაწარმოებები ითარგმნა რუსულ, აზერბაიჯანულ, თურქმენულ, ტაჯიკურ, ესტონურ, ლიტვურ ენებზე...

კარლო კობერიძის მრავალწლიანი სამწერლო მოღვაწეობა გიორგი ლეონიძისა და შიო მღვიმელის სახელობის პრემიებით აღინიშნა.

ჩვენთვის, კარლო კობერიძის მეგობრებისთვის, განსაკუთრებით საგულისხმოა იმის აღნიშვნა, რომ იგი უბადლო მექართულე, ქართული ენის სიწმინდისთვის მებრძოლი ჭეშმარიტი მეციხოვნე იყო, რომელიც ხმალამოღებული ებრძოდა ყველას, ვინც კი მშობლიურ ენას უდიერად მოეკიდებოდა.

სწორედ ასეთად დაგვამახსოვრებდა ყველას ეს დიდებული მწერალი, პიროვნება და ერისკაცი.

საქართველოს მწერალთა კავშირი

გიორგი ავალიანი

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ საკმაოდ მტკივნეული დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა მხცოვანი, ამაგდარი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე გიორგი არსენის ძე ავალიანი.

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა ღვაწლმოსილი შემოქმედი და მეცნიერი, რომელმაც ათწლეულების განმავლობაში რაინდულად იცხოვრა და თავისი კვალიც დაამჩნია ქართული მწერლობის განვითარებას.

გიორგი ავალიანი დაიბადა 1930 წლის 15 მაისს მესტიის რაიონის სოფელ ხაიშში. 1949 წელს დაამთავრა ხაიშის საშუალო სკოლა, 1952 წელს კი – თბილისის სამხედრო სასწავლებელი. მას შემდეგ იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა მესტიის სამხედრო კომისრად, ზუგდიდის სამხედრო კომისარიატის მესამე განყოფილების უფროსად, საქართველოს სამხედრო კომისარიატის პოლიტგანყოფილების პროპაგანდისტად, თბილისის კალინინის რაიონის სამხედრო კომისრის მოადგილედ, საქართველოს სამხედრო კომისარიატის პირველი განყოფილების უფროსის თანაშემწედ და პოლიტგანყოფილების უფროს ინსტრუქტორად, გორის სამხედრო კომისრად...

1957 წელს გიორგი ავალიანი ჩაირიცხა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომელიც დაუსწრებლად დაამთავრა 1963 წელს. 1969 წელს მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება, 1980 წელს კი – დოქტორისა. 1970 წლიდან ლექციების კურსს კითხულობდა თბილისის ა.პუშკინის სახელობისა და გორის ნ.ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტებში, იყო გორის ინსტიტუტის ენების კათედრის გამგე და პროფესორი.

გიორგი ავალიანი ლიტერატურულ-შემოქმედებით მოღვაწეობას 1967 წლიდან ეწეოდა, როდესაც გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში" გამოქვეყნდა მისი პირველი მოთხრობა „სიხარული".

ქართველი მკითხველი ინტერესით შეხვდა გიორგი ავალიანის ისეთ პროზაულ კრებულებს, როგორიცაა „ბუბა ქაქუჩელა", „ბებერი მაჩვის ტყვე", „საკარგყმო", „სნაიპერების მეთაური", „ისევ გეწვევით, მწვერვალებო", „მეომარი სპორტსმენები". მაგრამ მწერლის უმთავრეს თხზულებად რომანი „მოქიშპენი" იქცა, რომელიც ორ ტომად გამოიცა. ამ რომანის მთავარი მოქმედი პირების – კონსტანტინე (მურზაყან) დადეშქელიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის ფონზე ნაჩვენებია სვანეთის – საქართველოს ამ უმშვენიერესი და დაუმორჩილებელი კუთხის ბრძოლა თავისუფლებისთვის...

საინტერესოდ იკითხება გიორგი ავალიანის ისეთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის წიგნები, როგორიცაა „ქართველი მხედართმთავრები რუსეთის არმიაში", „ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე", „სამშობლოს დამცველი", „ფრონტული ძმობის ექო", „რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან"...

აღსანიშნავია, რომ მწერლის წიგნი „ბუბა ქაქუჩელა", მთლიანად ითარგმნა და ცალკე წიგნადაც გამოიცა რუსულ ენაზე.

გიორგი ავალიანის ღვაწლი არაერთი სამთავრობო ჯილდოთი აღინიშნა, რომელთა შორის საპატიო ადგილი უკავია ღირსების ორდენს.

ქართველ მწერლებს დიდხანს ემახსოვრებათ გიორგი ავალიანი, ამაგდარი შემოქმედი, მეცნიერი, მოღვაწე და საყვარელი კოლეგა.

საქართველოს მწერალთა კავშირი

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის" რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მწერალი

თემურ ქორიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ძველის ცნობები

№8

ფასი 1 ლარი

1-30 ნოემბერი

2015

მისამართი: ვაჩნაძის ქუჩა №13 მეორე სართული. ტელ.:293-55-75

გაზეთი გამოდის 2001 წლის 8 ნოემბრიდან

მთავარი რედაქტორი სოსო სიგუა

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე რევაზ მიშველაძე

პასუხისმგებელი მდივანი მანანა გორგიშვილი

რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიერ.

რეგისტრაციის № 5ა-4-3098

e-mail: mgorgishvili@mail.ru; luizagogelia@mail.ru

9 771987 698009 >